ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა - ეკონომიკა

მერაბ ლომინაძე

პრივატიზაცია და კერძო მეწარმეობის განვითარება საქართველოში

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,

თსუ პროფესორი ***ეთერ ხარაიშვილი***

თბილისი

2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბსტრაქტი

Abstract

შესავალი ---------- 8

თავი I. პრივატიზაციის როლი პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოურ სისტემურ ტრანსფორმაციაში ---------- 18

1.1. კერძო საკუთრების გენეზისი და პერსპექტივა ---------- 18

1.2. სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ---------- 31

1.3. პრივატიზაციის გამოცდილების კრიტიკული ანალიზი (ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნების მაგალითზე) ---------- 36

თავი II. პრივატიზაციის პროცესის კანონზომიერებები და მეტამორფოზები საქართველოში ---------- 60

2.1. პრივატიზაციის ეტაპები, მიმართულებები და წინააღმდეგობები ---------- 60

2.2. მიწის პრივატიზაცია სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ---------- 76

2.3. პრივატიზაცია და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების პრობლემები ---------- 86

თავი III. მეწარმეობის მდგომარეობა და განვითარების მიმართულებები საქართველოში ---------- 100

3.1. მეწარმეობის თანამედროვე მდგომარეობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი ---------- 105

3.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა ---------- 122

დასკვნა ---------- 138

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 148

აბსტრაქტი

ქვეყნები, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფომაციის საწყის ეტაპზე თითქმის თანაბარ სასტარტო პირობებში იმყოფებოდნენ, დღეს მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ეკონომიკური განვითარების და ცხოვრების დონის მიხედვით. გამოიკვეთა ქვეყნების ორი ჯგუფი: პირველს მიეკუთვნება წარმატებული სახელმწიფოები, რომლებმაც შედარებით სწრაფად მოახერხეს ტრანსფორმაციული კრიზისის გადალახვა, შეძლეს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლება, მოახდინეს საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილიზაცია. მეორე ჯგუფი შედარებით წარუმატებელ ქვეყნებს მოიცავს, რომლებშიაც სისტემური კრიზისი ძალიან გახანგრძლივდა და ქრონიკული ხასიათი მიიღო, ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა, უმუშევრობამ საგრძნობლად მოიმატა, მოსახლეობის ცხოვრების პირობები მნიშვნელოვნად გაუარესდა, გახშირდა პოლიტიკური კრიზისები და გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა. საქართველო, სამწუხაროდ, ამ მეორე ჯგუფში იმყოფება.

რამ განაპირობა ზემოაღნიშნული განსხვავება? ამაზე პასუხი პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული პრივატიზაციის ფორმებში, მეთოდებში, შედეგებში, მისი ეფექტიანობის ხარისხში უნდა ვეძებოთ. რატომ პრივატიზაციის? იმიტომ, რომ სწორედ ის გულისხმობს სახელმწიფო ქონების განკერძოებას, ანუ მისი კერძო პირების ხელში გადასვლას და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შინაარსის განმსაზღვრელ, ძირითად ფაქტორად გვევლინება.

საქართველოში პრივატიზაცია სწრაფი ტემპებით განხორციელდა დ ოთხი ეტაპი განვლო. ამჟამად ქვეყანა იმყოფება მეხუთე ეტაპის წინ, როცა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი საწარმოების აბსოლუტურად უმეტესი ნაწილის განკერძოება. მრავალი წინააღმდეგობის, პრობლემის, ნაკლოვანების, უხეში დარღვევის მიუხედავად, რომლებიც საქართველოში პრივატიზაციას ახასიათებდა მისი განხორციელების ოთხივე ეტაპზე, მისი აუცილებლობის ეჭვის ქვეშ დაყენება პრინციპულად უნდა გამოირიცხოს. პრივატიზაციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ძველი, არაეფექტიანი, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემის საბაზრო ეკონომიკით

შეცვლის პროცესში და საქართველო დააბრუნა საკუთარი განვითარების ბუნებრივ ისტორიულ გზაზე, რომლისგანაც იგი იძულებით იყო ჩამოშორებული შვიდი ათეული წლის განმავლობაში.

საქართველო სასოფლო-სამეურნო წარმოების უძველესი ტრადიციების და კულტურის ქვეყანაა, რის გამოც აგრარული რეფორმის მნიშვნელობა ძალიან დიდია სოფლად საბაზრო ურთიერობების ჩამოყალიბებაში. საბაზრო ორიენტაციის რეფორმის მთავარი შინაარსია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლა, მიწების კაპიტალიზაცია და მიწის ბაზრის შექმნა. მიწის ბაზრის არსებობა მიწის ყიდვა-გაყიდვას გულისხმობს. ამ იდეას ჰყავს თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნულია, რომ ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლებები. გაყიდვა უნდა შეეძლოს მიწის ყველა მესაკუთრეს, ყიდვა კი - მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. ტყეები, ნაკრძალები, ტბები, მდინარეები, წყალსაცავები და სხვ. უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, ისე, როგორც საზღვრისპირა ტერიტორიები.

პრივატიზაციის ეფექტიანი განხორციელებისათვის აუცილებელია ფასიანი ქაღალდების სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება. პრივატიზაცია, საწარმოთა კაპიტალიზაცია და საფონდო ბირჟის შექმნა სინქრონულად უნდა ხდებოდეს და მხოლოდ მაშინ მივიღებთ სასურველ შედეგებს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო კრედიტის ბაზარი ერთმანეთის კონკურენტებიც არიან და, ამავე დროს, ავსებენ ერთმანეთს. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ვერ ჩამოყალიბდა იმის გამო, რომ მას ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ბანკები. ეს არის ძალიან ცუდი სიტუაცია, რომელიც იწვევს ბევრ უარყოფით ეკონომიკურ შედეგს: სესხების გაძვირებას, ფინანსური სახსრების მიმართ ეკონომიკის ქრონიკულ შიმშილს, საწარმოების გაკოტრებას, უმუშევრობის ზრდას და ა.შ.

აუცილებელია ფინანსურ სფეროში საბანკო მონოპოლიის დანგრევა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნისთვის ხელის შეწყობა. ამის გარეშე შეუძლებელია ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის არსებობა.

პრივატიზაცია გადამწყვეტ როლს თამაშობს კერძო მეწარმეობის ფორმირებაში. ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა ბოლო წლების განმავლობაში სამეწარმეო საქმიანობის თითქმის ყველა მაჩვენებლის გაუმჯობესება, რაც მკვეთრი

არ არის, მაგრამ დადებითი ტენდენციის ჩამოყალიბება იმედის მომცემია. რეგიონულ ჭრილში ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური აქტიურობის თითქმის ნახევარი თბილისშია თავმოყრილი. სხვა დანარჩენი რეგიონებიდან ზრდა შეინიშნება აჭარაში, სტაბილურობას ინარჩუნებს იმერეთის რეგიონი, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, აგრეთვე გურიის რეგიონები დეპრესიულ მდგომარეობაში იმყოფებიან. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას არ გააჩნია რეგიონული პოლიტიკა, რის გამოც, ფაქტობრივად, არ ხდება ამ რეგიონების მხარდაჭრა.

საქართველოს რეალობაში მცირე და საშუალო მეწამეობის განსაკუთრებული როლიდან გამომდინარე, ნაშრომის ავტორის მიერ შემუშვდა მსმ-ს სახელმწიფო მხადაჭერის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ-სამართლებრივ, საკრედიტო-საფინანსო, ტექნიკურ, კონსალტინგურ მომსახურებას, ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა-განვითარებას და სხვა მექანიზმებს.

Abstract

Countries, that at the early stage of post-communist transformation were almost on equal level, today differ significantly in terms of economic development and standard of living. Two groups of countries emerged: the first are the successful states, which managed to overcome the transformation crisis relatively quickly, were able to achieve high rates of economic growth, increase the material well-being of the population, and stabilized the society socially and politically. The second group includes relatively unsuccessful countries, in which the systemic crisis has become very prolonged and chronic, economic growth has slowed, unemployment has risen sharply, living conditions have deteriorated significantly, political crises have become more frequent and social inequality has deepened. Georgia, unfortunately, is in this second group.

What caused the above difference? The answer to this must be found in the forms, methods, results of privatization, implemented in post-communist countries, in the degree of its effectiveness. Why privatization? Because it implies the segregation of state property, the transfer it into the hands of private individuals, and appears to be the main determinant of the content of the post-communist transformation.

Privatization in Georgia was carried out at a fast pace and four stages were passed. The country is currently facing the fifth stage, when the absolute majority of the remaining

part of the state-owned enterprises must be privatized. Despite the many obstacles, problems, shortcomings, gross violations that characterized privatization in Georgia at all four stages of its implementation, questioning its necessity should be ruled out in principle. Privatization played a crucial role in replacing the old, inefficient, administrative-command economic system with a market economy, and returned Georgia to its natural historical path of development, from which it had been forcibly removed for seven decades.

Georgia is a country of ancient traditions and culture of agricultural production, which is why the importance of agrarian reform is very important in establishing rural market relations. The main content of the market orientation reform is the transfer of state-owned lands to private ownership, the capitalization of lands and the creation of a land market. Existence of land market means buying and selling land. This idea has its supporters and opponents as well. The dissertation states that the rights to buy and sell land should be separated from each other. All landowners should be able to sell, and only Georgian citizens should be able to buy. Forests, reserves, lakes, rivers, reservoirs, etc. should remain state-owned, as should border areas.

For the effective implementation of privatization, it is necessary to establish and develop a full-fledged securities market. Privatization, capitalization of enterprises and creation of a stock exchange must take place synchronously, and only then will we get the desired results. The securities market and the bank credit market are also competitors and, at the same time, compete with each other. The securities market in Georgia could not be established due to the fact that it was hindered by banks in every way. This is a very bad situation that leads to many negative economic consequences: rising loans, chronic economic starvation of financial resources, bankruptcy of enterprises, rising unemployment, etc.

It is necessary to break the banking monopoly in the financial sphere and promote the creation of a securities market. Without this, the existence of a civilized market economy is impossible.

Privatization plays a crucial role in the formation of private entrepreneurship. The analysis showed that almost all indicators of entrepreneurial activity have improved in recent years, which is not sharp, but the emergence of a positive trend is promising. Analysis in the regional context shows that almost half of economic activity is concentrated in

Tbilisi.Ffrom other regions, growth is observed in Adjara, Imereti region is stable, Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti regions, as well as Guria - are in a depressed state. Unfortunately, the Georgian government does not have a regional policy, which is why, in fact, these regions are not supported.

Due to the special role of small and medium-sized enterprises in the reality of Georgia, the author of the paper developed a targeted program of state support for SME, which includes institutional-legal, credit-financial, technical, consulting services, creation and development of business incubators and other mechanisms.

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. საბჭოთა ეკონომიკა, თავისი არსებობის არც თუ ისე ხანგრძლივი დროის სხვადასხვა ეტაპზე, პერიოდულად განიცდიდა ეკონომიკურ კრიზისებს. პროცესები განსაკუთრებით გამწვავდა 1980-ანი წლების ბოლოს და დამთავრდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის სრული კრახით. დღის წესრიგში დადგა საბაზრო ეკონომიკასა დ პლურალისტურ პოლიტიკურ სისტემაზე გადასვლის (ტრანზიციის) აუცილებლობა. პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის განმსაზღვრელ მიმართულებად ერთხმად იქნა აღიარებული ტოტალურად გასახელმწიფოებული საკუთრების პრივატიზაციის გზით განსახელმწიფოება, კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება და კერძო მეწარმეთა ფენის, როგორც ეკონომიკური პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალის სწრაფად ჩამოყალიბება. პრივატიზაციის გზით საკუთრების გაბატონებული ფორმის ძირეული შეცვლის თეორიული და პრაქტიკული აქტუალურობა განპირობებული იყო საკუთრების განმსაზღვრელი როლით ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

კაცობრიობის ისტორიაში არსებული ყველა ეკონომიკური წყობა ეფუძნებოდა მისთვის ადეკვატური საკუთრების ფორმას. ერთი სისტემის მეორით შეცვლა ყოველთვის ხდებოდა საკუთრებაში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე და მის კვალდაკვალ.

დასავლეთის ეკონომისტები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საკუთრების პრობლემას. ამის მიზეზად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ საკუთრებას და განსაკუთრებით მის კერძო ფორმას ისინი მიიჩნევდნენ ადამიანის ბუნებისათვის ყველაზე ადეკვატურ, ისტორიული პროცესების მიღმა არსებულ ობიექტურ მოცემულობად, რომელიც არ საჭიროებდა ზედმეტ განხილვას და, მითუმეტეს, რაიმე დისკუსიას.

მსოფლიო მასშტაბით პრივატიზაციის პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით 1980-ან წლებში განხორციელდა. პრივატიზაციის იმ პერიოდში არსებული პრაქტიკიდან, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ჩილეს მაგალითი. ამ ქვეყანაში პრივატიზაციის მთავარი ამოცანა იყო სახელმწიფო საწარმოების სწრაფი ლიკვიდაცია, რამაც განსაზღვრა პრივატიზაცის მაღალი ტემპი.

ათი წლის მანძილზე პრივატიზებული იქნა ს. ალიენდეს სოციალისტური მთავრობის მიერ ნაციონალიზებული საწარმოების 75%. მოსახლეობას მიეცა შეღავათიანი კრედიტები საპრივატიზაციო ბარათების შესაძენად. პრივატიზაციასთან ერთად, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების საბაზრო ურთიერობებში ჩართვის პროცესი.

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში პრივატიზაციის კლასიკურ ნიმუშად აღიარებულია ინგლისში, 1980-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული პრივატიზაციის გამოცდილება. მისი მთავარი შინაარსი მდგომარეობდა დაბალრენტაბელური და წამგებინი საწარმოების კერძო მესაკუთრეთა ხელში გადასვლაში. პრივატიზაციის მთავარი ამოცანა იყო ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლება, თუმცა მას ჰქონდა იდეოლოგიური ამოცანაც - ლეიბორისტული პარტიის პოზიციების შესუსტება და კონსერვატიული პარტიის გაძლიერება, რომელსაც იმჟამად სათავეში ედგა „რკინის ლედად“ წოდებული, პრემიერ-მინისტრი მ. ტეტჩერი.

თავისებურებებით ხასიათდებოდა პრივატიზაცია აზიის რიგ განვითარებად ქვეყნებში, სადაც თავის დროზე მიღებული იქნა პრივატიზაციის გრანდიოზული პროგრამები. მათი უმეტესი ნაწილი ვერ შესრულდა, რისი მიზეზიც გახლდათ ფულადი კაპიტალის ბაზრის განვითარების დაბალი დონე, ცალკეული სოციალური ჯგუფების წინააღმდეგობა პრიატიზაციისადმი, კვლაიფიციური კადრების ნაკლებობა და სხვ.

საკუთრების პრობლემა აქტუალურია თანამედროვე კაპიტალიზმის ანგლო-ამერიკული და კონტინენტურ-ევროპული (ე.წ. „რეინის“ მოდელების) შედარებითი ანალიზის თვალსაზრისით. პირველ მოდელში იგულისხმება აქციონერული საკუთრების სუბიექტის შეცვლა სწრაფად, დაბრკოლების გარეშე და საფონდო ბირჟა გადამწყვეტ როლს თამაშობს კომპანიათა დაფინანსებაში. აქციათა 40-60%-ს ამ მოდელში ფლობენ ინსტიტუციური ინვესტორები, კერძოდ - სადაზღვევო და საპენსიო ფონდები. სახელმწიფო სექტორი მცირე მასშტაბითაა წარმოდგენილი, ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა შეზღუდულია, სოციალური უთანასწორობა კონკურენციის ხელშემწყობ ფაქტორადაა მიჩნეული, სიღარიბე კი აღიქმება არა იმდენად ეკონომიკურ, რამდენადაც ეთიკურ პრობლემად.

კონტინენტურ ევროპულ მოდელში აქციონერ მესაკუთრეთა რაოდენობა და შედგენილობა სტაბილურობით გამოირჩევა, აქციონერულ საწარმოთა დაფინანსებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ბანკებს, საფინანსო ბაზრები შედარებით შეზღუდულია. სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს მთლიანი სამამულო პროდუქტის განაწილებაში, თანაბარი კონკურენტული პირობების შექმნა-უზრუნველყოფასა და სოციალური საკითხების გადაწყვეტაში.

საკუთრების პრობლემის კვლევის რენესანსი განაპირობა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში პრივატიზაციისადმი გადამწყვეტი როლის მინიჭებამ.

კერძო საკუთრება შინაგანი ობიექტური წინააღმდეგობის მატარებელია, რაც გამოიხატება: ჯერ ერთი, მისი შექმნა და დაგროვება-გაფართოვება ადამიანის შემოქმედებითი, სამეწარმეო და, ზოგადად, შრომითი პოტენციალის განვითარების შედეგია. მეორე მხრივ, იგივეს მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა არაეკონომიკური მექანიზმის გამოყენებით და გულისხმობს საკუთრების გადანაწილებას ერთი ადამიანიდან (ჯგუფიდან, სოციალური ფენიდან, კლასიდან) მეორეზე. ასეთი გადანაწილების იარაღად უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური ძალაუფლება გამოიყენება. ხშირად საკუთრების ეს ორადი ბუნება შეუმჩნევლია და ადამიანები მხოლოდ რომელიმე ერთ მხარეზე ამახვილებენ ყურადღებას, რის გამოც ხდება ან კერძო საკუთრების ფეტიშიზაცია - მისი გამოცხადება ღვთისგან ბოძებულ საჩუქრად, კაცობრიობის მთავარ სიკეთედ და ა.შ., ან პირიქით - კერძო საკუთრებაში ხედავენ ყველა ეპოქისა და ხალხში არსებული მანკიერებების უმთავრეს მიზეზს (Pipes R., 1999, p.3).

კერძო საკუთრების წინააღმდეგობრივი ბუნების ცოდნა და გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო პრივატიზაციის განხორციელების პროცესში, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო თავიდან აცილებული მისი უარყოფითი მომენტები და ფართო ასპარეზი მისცემოდა კერძო საკუთრების პოზიტიურ-კონსტრუქციული პოტენციალის დამკვიდრებას. ამის გაკეთება რთული აღმოჩნდა, ვინაიდან პოსტკომუნისტური და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიაში მანამდე უცნობ და უნიკალურ პროცესს. მის შესახებ ცოდნა არ გააჩნდა არც თეორეტიკოს და არც პრაქტიკოს ეკონომისტებს. შესაბამისად, ბევრი რამ უნდა გაკეთებულიყო ე.წ. „ცდისა და შეცდომის“ მეთოდით, რაც, ბუნებრივია,

საგრძნობლად ზრდიდა როგორც ზოგადად ტრანსფორმაციის პროცესის, ისე პრივატიზაცის ეკონომიკურ-სოციალურ დანახარჯებს.

პრივატიზაცია ყველა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭთა სივრცეში განხორციელდა, თუმცა მისი ფორმები, მეთოდები, მექანიზმი, განხორციელების ტემპები, ინტენსიურობა და ა.შ. განსხვავებული იყო, რასაც განაპირობებდა ბევრი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი და ქვეყნების წინაშე მდგარი ამოცანების ხასიათი. ზოგიერთ ქვეყანაში პრიორიტეტი მიენიჭა ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, ზოგან კი წინა პლანზე წამოწეული იყო სოციალური სამართლიანობის პრინციპი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ პრივატიზაციამ შესაძლებელი გახადა უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, გარდატეხის მოხდენა მთელ საზოგადოებრივ სისტემაში და ხელი შეუწყო ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

აღნიშნული პოზიტიური გამოცდილების გვერდით ჩვენ ვხედავთ პრივატიზაციით გამოწვეულ სერიოზულ პრობლემებსა და სიძნელეებს, რომლებიც განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის იყო დამახასიათებელი. იქ, სადაც პრივატიზაცია დაიწყო სათანადო ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობების, ეფექტიანი სასამართლო სისტემის, განუვითარებელი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი მარეგულირებელი ჩარჩოს გარეშე და მიმდინარეობდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ლიბერალიზაციის, სტრუქტურულ-ინვესტიციური გარდაქმნების პროცესებთან ასინქრონულად, ვერ მოხერხდა პრივატიზაციის პრიორიტეტული მიზნების სრულყოფილი მიღწევა. პირიქით, მსგავს სიტუაციებში პრივატიზაცია ახალი მწვავე პრობლემების წარმოშობის წყარო გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები: პირველი, პრივატიზაცია არის არა საზოგადოების მიზანი და, მითუმეტეს, თვითმიზანი, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება იმ თვალსაზრისით, რომ შეუძლია ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარების პირობების შექმნა. მეორე, პრივატიზაციის წარმატებით განხორციელებას სჭირდება სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და თანმიმდევრული განხორციელება,

რომელიც პრივატიზაციას პირდაპირ დაუქვემდებარებს ქვეყნის სტრატეგიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს მიზნებს.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოში დღის წესრიგში დადგა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, რომელიც მოითხოვდა სიღრმისეული რეფორმების განხორციელებას. განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკის საბაზრო რეფორმირების პროცესი წარიმართა ე.წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ რეკომენდაციების შესაბამისად. პროგრამა ითვალისწინებდა სამ მთავარ მიმართულებას: პრივატიზაციას, ლიბერალიზაციას და სტაბილიზაციას. მათ შორის წამყვანი ადგილი ეკავა პრივატიზაციას, ვინაიდან მხოლოდ მის საფუძველზე იყო შესაძლებელი ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სტაბილიზაციას კი უნდა შეექმნა ორივე ამ პროცესის განხორციელებისათვის ხელშემწყობი გარემო.

პრივატიზაციის გადამწყვეტი როლი პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე მყოფი საქართველოსთვის მდგომარეობდა ცენტრალიზებული მართვისა და დაგეგმვის სისტემის სამოცდაათწლიანი ბატონობის პირობებში დაკარგული ეკონომიკური და სოციალური მემკვიდრეობის აღდგენაში, როცა ეროვნული ეკონომიკა ფუნქციონირებდა, როგორც საკუთარ ბუნებრივ ფესვებს მოწყვეტილი, მსოფლიო პროგრესული სამეურნეო გამოცდილების მიღმა მყოფი, ჩამორჩენილი, პერიფერიული და პერმანენტულ კრიზისში მყოფი სისტემა.

პრივატიზაცია საქართველოში დაჩქარებული ტემპით წარიმართა, რაც ცეცხლმოკიდებული გვირაბის სწრაფად გარბენას შეიძლება შევადაროთ. საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების მოკლე დროში ჩამოყალიბებას შეეძლო თავიდან აეცილებინა ძველ სისტემაზე უკან დაბრუნების ნებისმიერი შესაძლო მცდელობა. ამასთანავე, უტოპიაა იმაზე ფიქრი, რომ პრივატიზაციით და კერძო სექტორის შექმნით უმალ შეიძლებოდა გადაჭრილიყო ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი ეკონომიკური და სოციალური პრობლემები. პირიქით, საწყის ეტაპზე, პრივატიზაცია დაკავშირებული იყო სერიოზულ ეკონომიკურ და სოციალურ დანახარჯებთან, დანაკარგებთან და ნეგატიურ გავლენას ახდენდა ადამიანთა კეთილდღეობაზე. მთავარი იყო ადამიანებს გარკვეული დროის შემდეგ საკუთარ თავზე ეგრძნოთ პრივატიზაციის დადებითი შედეგები, რის გარეშეც თავად პროცესი დაკარგავდა

პოზიტიურ შინაარს და საქმე გვექნებოდა ადამიანთა საყოველთაო იმედგაცრუებასთან, ნიჰილიზმთან და, ზოგადად, საბაზრო რეფორმების მიუღებლობასთან, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ პრივატიზაციის შედეგად საკუთრებით ურთიერთობაში მომხდარი სიღრმისეული ცვლილება, რომელიც კერძო საკუთრების წამყვანი როლის დამკვიდრებაში გამოიხატა, წარმოადგენდა პრინციპულად ახალი ინსტიტუციური სისტემის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

პრივატიზაცია საქართველოს უახლესი ეკონომიკური ისტორიის არა მხოლოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, არამედ მისი შესწავლის აქტუალურობას განსაზღვრავს დღევანდელი რეალობაც. პროცესი ჯერ არ დამთავრებულა, სახელმწიფოს ხელშია ქონების საკმაოდ დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად.

პრივატიზაცის პრობლემის გარშემო ვრცელი ლიტერატურა არსებობს როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. მათი დიდი ნაწილი მიმოხილულია სადისერტაციო ნაშრომის ტექსტში, ხოლო უფრო სრული სახით მითითებულია გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში. ამასთანავე, პრივატიზაციის პროცესის ანალიზი, მისი მიმართების შესწავლა კერძო მეწარმეობის ფორმირების პროცესთან, სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელბული პრივატიზაციის გამოცდილების შედარება საქართველოში დამკვიდრებულ პრაქტიკასთან და სხვ. ჯერჯერობით არ მომხდარა. სწორედ აღნიშნულ საკითხებზეა კონცენტრირებული ყურადღება მოცემულ ნაშრომში. კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც ჩვენს კვლევას ახასიათებს, მდგომარეობს თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტისა და ემპირიული ანალიზის თანაბარზომიერ წარმოდგენაში. ეკონომიკურ ლიტერატურაში, როგორც წესი, ეს ორი მხარე ერთმანეთისაგან იზოლირებულად არის განხილული.

ამგვარად, პრივატიზაციის ისტორიული ამოცანა საქართველოს რეალობაში მდგომარეობდა კერძო საკუთრების, კერძო მეწარმეობის და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებაში. როგორც აღვნიშნეთ, ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს, მომავალშიც გაგრძელდება და, შესაბამისად, იმ პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების ანალიზს, რომელიც, როგორც სხვა პოსტკომუნისტურ, ისე ჩვენ

ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესში დაგროვდა, დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოში, ასევე სხვა პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განხორციელებული პრივატიზაციის კანონზომიერებათა სისტემური შესწავლის საფუძველზე მისი წამყვანი როლის წარმოჩენა თავისუფალი და ეფექტიანი მეწარმეობის ჩამოყალიბება-განვითარების პროცესში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულია კვლევის შემდეგი ამოცანები:

- პრივატიზაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განსაზღვრა საკუთრების პრობლემის ანალიზის ზოგად ჩარჩოში;
- ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტურ და ბალტიის ქვეყნებში ჩატარებული პრივატიზაციის გამოცდილების შედარება საქართველოში განხორციელებული პრივატიზაციის პრაქტიკასთან მისი საერთო და სპეციფიკური ნიშნების დადგენის მიზნით;
- საქართველოში განხორციელებული პრივატიზაციის კანონზომიერებების შესწავლა, ამ პროცესში არსებული პრობლემებისა და ნაკლოვანებების ანალიზი;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბირჟის) როლის გააზრება პრივატიზაციის განხორციელების პროცესში. საფონდო ბირჟის ჩამოყალიბების პრობლემებისა და პერსპექტივების განსაზღვრა;
- საქართველოს სამეწარმეო სფეროს თანამედროვე მდგომარეობის აღწერა და ამ სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის როლის გამოკვეთა მეურნეობრიობის ერთიან სისტემაში და მისი მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის მთავარი მიმართულებების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: რაოდენობრივი და თვისობრივი, სინთეზისა და ანალიზის, ლოგიკურისა და ისტორიულის ერთიანობის, კომპარატივისტიკის, სტატისტიკური ანალიზის და ევრისტიკული. ნაშრომი ეყრდნობა პოსკომუნისტური სისტემური

ტრანსფორმაციის, პრივატიზციის, კერძო სექტორის ჩამოყალიბება-განვითარების ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტტერატურას ქართულ და უცხოურ ენებზე. მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (geostat), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური კრებულებიდან. ასევე გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის ოფიციალური მასალები.

კვლევის მეცნიერული სიახლე გამოიხატება შემდეგში:

- პრივატიზაცია განხილულია კერძო საკუთრების გენეზისის ზოგადცივილიზაციურ კონტექსტში და მისი აუცილებლობა დასაბუთებულია კერძო საკუთრების ინსტიტუტის როლიდან გამომდინარე ეკონომიკური პროგრესის განხორციელებასა და პიროვნების თავისუფლების ეკონომიკური სფეროს გაფართოების უზრუნველყოფაში ;
- პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, პრივატიზაციის გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე, და მისი საქართველოში განხორციელებულ პრივატიზაციასთან შედარების საფუძველზე, შემოთავაზებულია და დასაბუთებულია შემდეგი ჰიპოთეზა: სისტემური ტარნსფორმაციის საწყის ეტაპზე თითქმის თანაბარ პირობებში მყოფი ქვეყნების ამჟამინდელი საგრძნობი განსხვავება, ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონეების თვალსაზრისით, შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნებში განხორციელებული პრივატიზაციის სხვადასხვა ეფექტიანობით;
- საქართველოში, პრივატიზაციის ეტაპების კანონზომიერებათა სისტემური ანალიზის საფუძველზე, გამოვლენილია როგორც მისი პოზიტიური შედეგები, ისე ნაკლოვანებები, ხარვეზები და შეცდომები, რომელთა გათვალისწინებაც პრინციპულად მნიშვნელოვანია პრივატიზაციის თანამედროვე პროცესის რაციონალურად და ეფექტიანად წარმართვისათვის;
- წარმოჩენილია მიწის პრივატიზაციის, კაპიტალიზაციის და მიწის ბაზრის შექმნის ერთობლივი პროცესის გადამწყვეტი როლი აგრარული რეფორმის განხორციელებაში. მიწის ყიდვა-გაყიდვის პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმულია ავტორის ორიგინალური მოსაზრება;

- შესწავლილია საფონდო ბაზრის ფორმირების როლი პრივატიზაციის ეფექტიანად განხორციელების პროცესში, გამოვლენილია ამ პროცესთან დაკავშირებული სირთულეები და წინააღმდეგობები, შემოთავაზებულია მათი დაძლევის გზები;
- გაანალიზებულია საქართველოში სამეწარმეო სფეროს არსებული მდგომარეობა და დინამიკა, დახასიათებულია სამეწარმეო ეკონომიკური აქტიურობის სხვადასხვა მაჩვენებელი. იდენტიფიცირებულია კერძო სექტორში არსებული პრობლემები და გამოწვევები;
- ჩამოყალიბებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის, როგორც საქართველოს ეკონომიკის „ხერხემლის“ სახელმწიფო მხარდაჭერის კომპლექსური პროგრამის მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები და მიმართულებები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა გამოიხატება სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება-პრივატიზაციის, როგორც ეკონომიკის სისტემური ტრანსფორმაციის ძირითადი შემადგენელი ნაწილის და კერძო მეწარმეობის ფორმირების საფუძვლის შესწავლაში. ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს ჰოლისტური შეხედულება პოსტკომუნისტურ, პოსტსაბჭოთა და კერძოდ - საქართველოში გარდამავალ პერიოდში განხორციელებული გარდაქმნების ეპოქალურ მნიშვნელობაზე.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაციაში ჩამოყალიბებული დასკვნები და რეკომენდაციები შეიძლება მიწოდებული იქნეს ეკონომიკური პროფილის უწყებებისათვის - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განითარების სამინისტროსთვის. სადისერტაციო ნაშრომის მასალების გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკის მიმართულების სამაგისტრო პროგრამის ისეთ კურსებში, როგორიცაა „ტრანსფორმაციული ეკონომიკა“ და „მეწარმეობის ეკონომიკა“.

ნაშრომის სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, რვა პარაგრაფის, დასკვნის და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისგან. შესავალში ვრცლად არის დასაბუთებული საკვლევი პრობლემის

აქტუალურობა, ნაჩვენებია მისი შესწავლის დონე, და განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ჯერ კიდევ არსებულ სადისკუსიო საკითხებზე, დასახულია კვლევის მთავარი მიმართულებები. პირველი თავი ეძღვნება პრივატიზაციის პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიურ დახასიათებას, წარმოჩენილია კერძო საკუთრების, როგორც პრივატიზაციის უშუალო და პირდაპირი შედეგის ისტორიული ხასიათი, მოცემულია სხვადასხვა პოსტკომუნისტურ ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზაციის დახასიათება - მისი საერთო და სპეციფიური ნიშნებზე ხაზგასმით. ნაშრომის მეორე თავში გაანალიზებულია საქართველოში პრივატიზაციის განხორციელების კანონზომიერებები, გამოყოფილია პრივატიზაციის ეტაპები, იდენტიფიცირებულია პრივატიზაციის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. ცალკე არის განხილული მიწის პრივატიზაციის საკითხი, რომელიც აგრარული რეფორმის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს. შესწავლილია საფონდო ბაზრის ჩამოყალიბების როლი პრივატიზაციის ეფექტიანი განხორციელების პროცესში, გაანალიზებულია საფონდო ბაზრის ფორმირების ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური წინააღმდეგობები, მითითებულია მათი დაძლევის გზები. ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება საქართველოში კერძო მეწარმეობის ფორმირებისა და განვითარების საკითხების კვლევებს. შესწავლილია სამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის მაჩვენებლები და მათი დინამიკა ბოლო ხუთი წლის მანძილზე. შემუშავებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭრის კომპლექსური პროგრამის კონცეპტუალური საფუძვლები და ძირითადი მიმართულებები.

თავი I. პრივატიზაციის როლი პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოურ სისტემურ ტრანსფორმაციაში

1.1. კერძო საკუთრების გენეზისი და პერსპექტივა

საკუთრება ის უნიშვნელოვანესი კატეგორიაა, რომელიც საფუძვლად უდევს ეკონომიკურ სისტემას და მის ისტორიულ ტიპს (ფორმას) განსაზღვრავს. კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე საკუთრების დიფერენციაციამ კერძო და საზოგადოებრივ საკუთრებად გადამწყვეტი როლი შეასრულა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

ამასთანავე, საკუთრება საკმაოდ რთული კატეგორიაა, რომელიც საკუთარ თავში მოიცავს სამ კომპონენტს: ფლობას, განკარგვას და გამოყენებას. ფლობა (possession) ნიშნავს მატერიალურ-ნივთობრივი ქონების დაუფლებას მასზე რეალური უფლების არარსებობის პირობებში. ეს არის საკუთრება de facto, მაგრამ არა de jure. ამ შემთხვევაში ქონება არ ექვემდებარება გაყიდვას, თუმცა შესაძლებლია მისი მემკვიდრეობით გადაცემა, რაც წარმოქმნის ფლობის საკუთრებად ტრანსფორმირების ტენდენციას.

როგორც ისტორია მოწმობს, სხვადასხვა პერიოდში უპირატესად გამოიყენებოდა ფლობის და არა საკუთრების უფლება. საკუთრება (property) არის სახელმწიფოს მიერ ფორმალურად აღიარებული მესაკუთრის უფლება ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვაზე - გაყიდვის უფლების ჩათვლით. ეს დეფინიცია ძველი რომის სამართალშია მოცემული და საკუთრება მთელი თავისი შინაარსით მაშინ წარმოჩინდება სრულად, როცა ერთდროულად ადგილი აქვს სამივე ჩამოთვლილ კომპონენტს.

უძველესი დროიდანვე საკუთრების მიმართ ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება არსებობდა. ზოგიერთი მოაზროვნე მას საზოგადოებაში არსებული ყველა პრობლემის მთავარ წყაროდ მიიჩნევდა. „სიღარიბე ჩნდება სიუხვისაგან“ - წერდა შ. ფურიე (სილაგაძე ა., 2010, გვ. 152). თ. მორი მიიჩნევდა, რომ „ადამიანთა საქმეების მართვა შეუძლებელია საკუთრების განადგურების გარეშე“. ჟ. პრუდონს ეკუთვნის ცნობილი სიტყვები: „საკუთრება არის ქურდობა“. სხვები თვლიდნენ, რომ საკუთრება იყო საზოგადოებაში სტაბილურობის გარანტი და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის განმაპირობებელი ფაქტორი.

საზოგადოების განვითარების რაღაც ეტაპზე საკუთრების ცნება საერთოდ არ არსებობდა, ან ამჟამად მიღებული დეფინიციიდან სრულიად განსხვავდებოდა. ასე მაგალითად, არისტოტელე საუბრობდა ქონებაზე (khremata) და მის ფლობაზე (ktema), თუმცა აქ საკუთრება არ იგულისხმებოდა. რომის სამართალში ფართო გავრცელება ჰპოვა ტერმინმა “proprietas”, რომელიც გულისხმობდა პირად და არა სათემო მფლობელობაში მყოფ ობიექტს, მაგალითად - სათემო მიწებს - ager publicus. ამასთან ერთად, არსებობდა ლათინური წარმოშობის სხვა ტემინი - posedere, რომელიც იგივე შინაარსის მატარებელი იყო, როგორც proprietas და ფართოდ გამოიყენებოდა ადრეევროპულ ცივილიზაციაში. თავდაპირველად არ არსებობდა დაყოფა „კერძო“ და „საზოგადოებრივ“ საკუთრებად, ვინაიდან proprietas იმთავითვე გულისხმობდა რაიმე საგნის (ობიექტის) ყოფნას ვინმე კერძო პირის მფლობელობაში. მსგავსი დაყოფა მოხდა XVII საუკუნეში, რაც დაკავშირებული იყო „ბუნებრივი უფლების“ ცნების ფართო გავრცელებასთან. სწორედ ამ პერიოდში აღმოცენდა „საკუთრების“ ცნება და მოხდა proprietas-ის ცნების ტრანსფორმირება property-ის, ანუ საკუთრების ცნებაში.

ისტორიულად, ეკონომიკური ცხოვრების პირველი ფორმა - თემური ორგანიზაცია ემყარებოდა კოლექტიურ საკუთრებას როგორც წარმოების პრიმიტიულ საშუალებებზე, ისე წარმოებულ პროდუქტზე. ცალკეული ადამიანი უძლური იყო ბუნებასთან ბრძოლაში და ფიზიკური არსებობის შენარჩუნება შეეძლო მხოლოდ თემის შიგნით და მისი საშუალებით. არსებობის პირობებს წარმოადგენდა კოლექტიური შრომა, კოლექტიური საკუთრება და შექმნილი პროდუქტის თანაბარი განაწილება.

შრომის იარაღებში მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა, შრომის დანაწილების გაღრმავებასთან ერთად, განაპირობა ადამიანის შრომის მწარმოებლურობის გაზრდა და როგორც ამის შედეგი - პროდუქტების წარმოების ნამეტის შექმნა. ეს უკანასკნელი ცალკეული ადამიანების თუ ადამიანთა ჯგუფების მხრიდან მითვისების ობიექტი გახდა. მაშასადამე, კოლექტიური შრომა თემის შიგნით კოლექტიურ საკუთრებას მოითხოვდა და მას ემყარებოდა. ინდივიდუალიზებულმა შრომამ, რომელიც შრომის საშუალებების განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო, დღის წესრიგში დააყენა ინდივიდუალიზებული (კერძო) საკუთრების აუცილებლობის საკითხი. აქედან გამომდინარე, დაიწყო ქონებრივი უთანასწორობა ადამიანებს შორის, წარმოიშვნენ მდიდრები და ღარიბები - თემის უხუცესებმა, სამხედრო ბელადებმა, ქურუმებმა თანდათანობით დაიწყეს საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის გამოყენება პირადი გამდიდრების მიზნით. თემებს გამოეყო ცალკეული ოჯახები და მათი წევრების მიერ შექმნილი პროდუქტები თემის მფლობელობაში კი აღარ გადადიოდა, არამედ ოჯახის წევრებს შორის ნაწილდებოდა. მოგვიანებით ცალკეული ოჯახების საკუთრებაში მიწაც გადავიდა.

კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების გვერდით ფილოსოფოსი ჯ. ლოკი გამოჰყოფდა პირად საკუთრებას (own property). მისი სიტყვებით: „ყოველ ადამიანს გააჩნია საკუთრება თავის პირად მფლობელობაში და ... ყველა ადამიანის პიროვნებაში უკვე მოქცეულია საკუთრება“ (Loke J. Chap. V, par. 27, p. 2-4). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში პირადი საკუთრების კატეგორია ნაკლებად გამოიყენებოდა ეკონომიკურ თეორიასა და სამეურნეო პრაქტიკაში, რასაც, ჩვენი აზრით, ობიექტური მიზეზი ჰქონდა. პირადი საკუთრება ნიშნავს, რომ ნივთი „მე მეკუთვნის და რადგან ის ჩემია“, ე.ი. „საკუთარია“. ამავე დროს „სხვა საგანი არ არის ჩემი, ანუ სხვისია“. პირადი საკუთრების არსებობა ამავე დროს იმასაც ნიშნავდა, რომ მასთან ერთად არსებობდა მისი ანტიპოდი კოლექტიური საკუთრების სახით.

ჩვენი აზრით, კერძო და პირად საკუთრებას შორის ის ძირითადი განსხვავება არსებობს, რომ კერძო საკუთრება არის ახალი ქონების შექმნის პირობა, პირადი საკუთრება კი უკავშირდება არა ახალი ქონების შექმნას, არამედ უკვე შექმნილის პირადი საჭიროებისთვის მოხმარებას.

ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ისტორიული პროცესი სწორედ ინდივიდუალური და კოლექტიური საკუთრების დიალექტიკას შეეხება და იმაზეა მიმანიშნებელი, რომ ისინი წინ უსწრებდნენ კერძო და საზოგადოებრივი საკუთრების ჩამოყალიბებას.

კერძო საკუთრება შეიძლება ჩაითვალოს პირადი საკუთრების განსაკუთრებულ სახეობად, რომელიც სპეციფიკურ ფორმას იღებს კაპიტალისტური სისტემის პირობებში და უშუალო მწარმოებლის წარმოების საშუალებებიდან გაუცხოების შედეგად წარმოიშობა. ახლა უთანასწორობას უკვე საზოგადოების შიგნით სოციალური ხასიათი გააჩნია და იგი განპირობებულია არამხოლოდ ბუნებრივი პრივილეგიებით ან ძალაუფლებით, არამედ, პირველ რიგში, ქონებრივი დიფერენციაციით. როგორც ა. სმიტი თავის დროზე შენიშნავდა: „საკუთრება გახდა ღარიბებისგან მდიდრების დაცვის იარაღი“ (Smith A., 1986, p.20).

ამ შემთხვევაში შრომისადმი იძულება არ მოითხოვს პირდაპირ ძალმომრეობას, რასაც ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმამდელ საზოგადოებებში და იგი ხორციელდება ეკონომიკური ინსტრუმენტების (მეთოდების) გამოყენებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომისადმი გარე ეკონომიკურ იძულებას ცვლის ეკონომიკური იძულება, რომელიც ემყარება კაპიტალისტურ კერძო საკუთრებას. ეს უკანასკნელი ყალიბდება ცალკეული ინდივიდების პირადი საკუთრების დაგროვებისა და მისი საბაზრო ბრუნვაში ჩართვის გზით, ანუ ადგილი აქვს პირადი საკუთრების კომერციალიზაციას. ამგვარად, ეკონომიკური განვითარების პროცესში პირადი საკუთრება თვითზრდის უზრუნველმყოფელ კერძო საკუთრებად ტრანსფორმირდება. აღნიშნული პროცესის ლოგიკური დასრულება ნიშნავს სასაქონლო წარმოების მიერ საყოველთაო ფორმის შექმნას და საბაზრო ეკონომიკის, როგორც მთლიანი სისტემის ფუნქციონირების დაწყებას საკუთარ საფუძველზე. ასეთ პირობებში ზღვარი პირად და კერძო საკუთრებას შორის წაშლილია და, როგორც აღვნიშნეთ, კერძო საკუთრება შთანთქავს პირად საკუთრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია ის ფაქტი, რომ კერძო საკუთრებამ განვითარების უმაღლეს საფეხურს ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებში მიაღწია, რომელშიაც სიმდიდრის გამოხატულება

ძირითადად მისი საქონლური ფორმით ხდება. როგორც კ. მარქსი წერდა: „სიმდიდრე საზოგადოებისა, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი ბატონობს, უამრავი საქონლის გროვას წარმოადგენს, ცალკეული საქონელი კი - მის ელემენტარულ ფორმას“ (მარქსი კ.,1954, გვ. 49).

აუცილებელია აღინიშნოს, რომ საკუთრებისა და სიმდიდრის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მაგალითად, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფილოსოფოსი და სოციოლოგი ჰ. არდენტი აღნიშნავს: „ბევრმა მდიდარმა (wealthy) საზოგადოებამ არ იცის საკუთრება, რადგანაც მათი სიმდიდრის შემადგენელი ფასეულობები არ შეიძლება ინდივიდუალური წესით იქნეს მითვისებული“ (Ardent H., 1998). (Ardent H. 1998, p. 61).

სოციალური მეცნიერებების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სათემო (კოლექტიური), საზოგადოებრივი (საჯარო) და კერძო საკუთრების ერთმანეთისგან გამიჯვნამ, რომელიც კ. მარქსმა განახორციელა ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდზე დაყრდნობით და ეს ტრიადა შემდეგ გამოიყენა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების სოციალური დინამიკის ასახსნელად. ამასთან, მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიაში საზოგადოებრივი განვითარების დაყოფა კლასობრივამდელ, კლასობრივ და უკლასო ეტაპებად (საფეხურებად) პირდაპირ იყო დაკავშირებული საკუთრების ტიპებთან. მარქსისტი მოაზროვნეები მიიჩნევდნენ, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტის გაუქმება შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოების კომუნისტური საზოგადოებით შეცვლის გზით. ჩვენი აზრით, ჯერ-ერთი, კერძო საკუთრებასა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას შორის ტოლობის ნიშნის დასმა არასწორია და, მეორე - კერძო საკუთრების ტრადიციული შინაარსის შეცვლა შესაძლებელია განვითარებული კაპიტალისტური სისტემის ჩარჩოებშიაც. აღნიშნული მოსაზრების დასადასტურებლად ორ ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ფაქტი პირველი. საბჭოთა კავშირის ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი საკუთრების ინსტიტუტის შექმნისა და საკუთრების მონოპოლიურ ფორმად მისი გადაქცევის მცდელობამ განაპირობა კერძო საკუთრების

რადიკალური გადანაწილება სახელმწიფოს სასარგებლოდ. სახელმწიფო საკუთრება მხოლოდ ფორმალურად იყო აღიარებული მთელი ხალხის, ანუ ე.წ. „საერთო-სახალხო საკუთრებად“. ფაქტიურად, მას განკარგავდა ბიუროკრატია, ანუ ე.წ. „უქმე კლასი“ , რომელიც თავის ამ მდგომარეობას პირადი და კორპორატიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებდა. აქ, ჩვენი აზრით, საქმე გვაქვს ადამიანთა მცირე ჯგუფების (პარტიულ-სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ელიტები, ბიუროკრატია) მიერ საზოგადოების უმეტესი ნაწილის ექსპლოატაციასთან, თუმცა ამ შემთხვევაში ეს ხდება კერძო საკუთრების არარსებობის პირობებში. გარკვეული აზრით შეიძლება აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისტემაში ძველი აღმოსავლეთის პიროვნული დესპოტიზმის ადგილი სახელმწიფომ დაიკავა.

ფაქტი მეორე. წარუმატებელი კომუნისტური ექსპერიმენტის გვერდით, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან აღმოცენდა კერძო საკუთრების პირადი საკუთრებით თანდათანობით ჩანაცვლების ტენდენცია. საკითხი შეეხება მოსახლეობის ფართო ფენებში სამრეწველო და სერვისკომპანიების მასობრივ გავრცელებას, ანუ ე.წ. „აქციების გაფანტვას“. ასე მაგალითად, მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ამერიკული ოჯახების 55.5%-დან 59.8%-მდე ფლობდა სხვადასხვა კომპანიების აქციებს და მათგან მიღებულმა შემოსავლებმა დივიდენდების სახით შეადგინა 10 ტრლნ აშშ დოლარზე მეტი (Elias D., 1999, p. 14).

კერძო საკუთრების ტრანსფორმაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური რევოლუციის და მისგან გამომდინარე მაღალი ტექნოლოგიების (განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების) როლი; ასევე ცოდნის ეკონომიკის და საინფორმაციო ქსელური საზოგადოების ჩამოყალიბება-ფუნქციონირების კანონზომიერებები. ეს პროცესები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებულია.

მეოცე საუკუნის დასაწყისში განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროში შეიმჩნეოდა მეცნიერებასა და განათლებაზე დაფინანსების მკვეთრი ზრდა. ამ თვალსაზრისით, უპირობო ლიდერი აშშ იყო, რომელიც სამეცნიერო კვლევებსა და

დამუშავებებზე ხარჯავდა 12-ჯერ მეტ თანხებს, ვიდრე დიდი ბრიტანეთი და 13.5-ჯერ მეტს, ვიდრე გერმანია. ამავე პერიოდში აშშ-ს ყველაზე გამორჩეული მეწარმეები - ისტმენი, მელონი, კარნეგი, როკფელერი, ვანდერბილტი და სხვ. მთელი ამერიკის მასშტაბით მასობრივად აშენებდნენ ბიბლიოთეკებს და უნივერსიტეტებს. ამით ისინი ხაზს უსვამდნენ განათლების გადამწყვეტ როლს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის წინა და შემდგომ პერიოდებში ევროპიდან აშშ-ში იმ დროის ყველაზე საუკეთესო მეცნიერების მასობრივ ემიგრაციას. მეცნიერების გადაქცევა უშუალო მწარმოებელ ძალად იმას ნიშნავს, რომ ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები უაღრესად აქტიურადაა ჩართული საზოგადოებრივი სიმდიდრის შექმნის პროცესში. მაგალითად, აშშ სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე ხარჯავდა მშპ-ს 2.6%-ს, იაპონია უფრო მეტს - 2.8%-ს, თუმცა გამოყოფილი თანხების მეტი ნაწილი აქ მიდიოდა გამოყენებითი ხასიათის ამოცანების შესრულებაზე, პირველ რიგში კი - ტექნოლოგიური მიღწევების წარმოებაში დანერგვაზე.

მსოფლიოში სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების 96%-ზე მეტი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებზე მოდის. ამასთანავე, უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნული მიზნით გამოყოფილი სახსრების ხვედრითი წილის შემცირება და მსხვილი კორპორაციების წილის ზრდა. ასევე აღსანიშნავია იმ პროდუქციის მოცულობის მკვეთრი გადიდება, რომელიც ბოლო 2-3 წლის მანძილზეა შექმნილი (Heilbroner B., Milberg W., 1998, p. 159).

მეცნიერებასა და განათლებაზე გამოყოფილი თანხების ასეთმა გიგანტურმა მასშტაბებმა განაპირობა ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარება, რომელმაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ცოდნის ეკონომკის და ინფორმაციული საზოგადოების აღმოცენებას.

ცოდნის ეკონომიკა (knowledge economy) - ეს არის დამოუკიდებელი, კომპლექსური და რთული სისტემა, რომლის სიცოცხლისუნარიანობა და დინამიზმი ეფუძნება თანამედროვე ადამიანის, როგორც ინტელექტუალური მუშაკის (knowledge worker) შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. ამ ფენომენის

ცნობილი მკვლევრები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინფორმაცია და ცოდნა არის თანამედროვე წარმოების მთავარი და გადამწყვეტი რესურსი. კერძოდ, თანამედროვე მენეჯმენტის „მამად“ აღიარებული პ. დრუკერი წერს: „გამრავალჯერებული ცოდნა თანამედროვე ეკონომიკური პროგრესის ძირითადი პირობაა“ (Druker P.F., 1999, p. 52). მსგავსი მოსაზრება აქვს გამოთქმული ცნობილ ამერიკელ ეკონომისტს, ლ. ტუროუს: „ნებისმიერი კორპორაციის და მთელი საზოგადოების ყველაზე ფასეულ კაპიტალს XX საუკუნეში წარმოადგენდა საწარმოო მოწყობილობა. XXI საუკუნეში, ნებისმიერი, როგორც კომერციული, ისე არაკომერციული კომპანის ყველაზე ფასეული კაპიტალი გახდება ინტელექტუალური შრომით დაკავებული მათი მუშაკები“ (Thurow L., 1999, p. 52). მისივე აზრით, „ადრე, როცა კაპიტალისტები ლაპარაკობდნენ თავიანთ სიმდიდრეზე, მხედველობაში ჰქონდათ საკუთრება (ownership) ქარხნებზე, მოწყობილობებზე და მატერიალურ რესურსებზე. მომავალში, საკუთრებაზე მათ საუბარში აქცენტი გაკეთდება ცოდნაზე კონტროლის შესაძლებლობაზე. შეიცვლება სიმდიდრის შექმნის აღმწერი ენა. თუკი შესაძლებელია მსჯელობა კაპიტალური დოვლათისა და მატერიალური რესურსის საკუთრებაზე.... იგივე წესით შეუძლებელია ცოდნაზე „საკუთრების“ განსაზღვრა. ადამიანები, რომლებიც ფლობენ (who posses) ცოდნას, უკვე აღარ შეიძლება იყვნენ „მონები“. როგორ ფლობს ადამიანი ცოდნას - ეს წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ცენტრალურ პრობლემას“ (იგივე წყარო). ინტელექტუალური მუშაკისთვის დამახასიათებელია ავტონომიურობა, დამოუკიდებლობა და სწრაფვა საკუთარი შემოქმედებითი უნარების სრულყოფისაკენ. არსებითად იცვლება მისი ადგილი და როლი წარმოების თანამედროვე ორგანიზაციულ სისტემებში. როგორც ცოდნის ეკონომიკის ერთ-ერთი აღიარებული მკვლევარი ტ. საკაია შენიშნავს: „საინფორმაციო ფასეულობებზე ორიენტირებულ საზოგადოებაში („in the knowledge-value society”) კაპიტალის შრომისაგან გამოყოფის ტენდენცია დიამეტრულად საპირისპირო მიმართულებით იცვლება“ (Sakaya T., 1991, p. 66). შესაბამისად, ინტელექტუალური შრომით დაკავებული მუშაკების სულ უფრო ნაკლები რაოდენობა იმყოფება ვინმეს „დაქვემდებარებაში“ და მეტწილად ისინი ერთმანეთის პარტნიორები არიან. ინტელექტუალური შრომის მუშაკები და თანამდროვე კომპანიები სიმბიოზს

წარმოქმნიან, რომელშიც ერთი მხარე თანაბრად სჭირდება მეორე მხარეს და - პირიქით (Druker P.F., 1999). ცოდნის ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების ჩარჩოში ზოგადად საკუთრების ინსტიტუტი ფუნდამენტურ სახეცვლილებას განიცდის. ამ პირობებში ინტელექტუალური შრომის მუშაკებს გააჩნიათ სრული საკუთრება საკუთარ უნარებსა და შესაძლებლობებზე. ამასთანავე, ამ საკუთრების გაუცხოება მისი მატარებლისგან და მისი ობიექტივიზაცია (რაც გულისხმობს შრომის „განსხეულებას“ საქონელსა და მომსახურებაში) შეუძლებელია. იმის გამო, რომ „წარმოების საშუალებები თავიანთი ბუნებით უფრო მეტად ინფორმაციულია, ვიდრე მატერიალური, მათზე კონტროლი, გარკვეული სახით, მუშაკებზე გადადის“ (Croek S., Parulski J., Waters M. 1993, p. 114-115).

ინფორმაციული პროდუქტის თავისებურებებიდან გამომდინარე, მის რეალიზებას მფლობელისთვის მოაქვს შემოსავლები, მოგება და ამავე დროს რჩება მის საკუთრებაში. ინტელექტუალური საკუთრება კი არ ეწინააღმდეგება საკუთრების ინსტიტუციას, არამედ „ობიექტზე საკუთრებიდან აქცენტი გადააქვს „პროტოტიპის საკუთრებაზე“, ანუ ობიექტის შექმნის ამოსავალ პირობაზე.

საკუთრების ტრანსფორმაციაში უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემური გამოყენების საფუძველზე ინფორმაციის შექმნის, გავრცელების და კვლავწარმოებისათვის აუცილებელი საშუალებები მათი საგრძნობი გაიაფების გამო სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება ყველა იმ მუშაკისათვის, ვისაც მისი ადეკვატურად გამოყენება შეუძლია. ჩვენს მიერ ციტირებული საკაია ამასთან დაკავშირებით შენიშნავს: „...აუცილებელი მოწყობილობა უკვე აღარაა ხელმიუწვდომლად ძვირი. მისი შეძენა კერძო პირებისთვის არნახულად გაადვილებულია. ...ამასთანავე, საინფორმაციო ფასეულობების (knowledge-value) შექმნა პროცესია, რომელშიაც შრომა და წარმოების საშუალებები განუყოფელ ერთიანობად გვევლინება“ (Sakaya T., 1991, p. 70).

ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებულ საინფორმაციო საზოგადოებაში, რომელიც პოსტინდუსტრიალიზმის ახალი საფეხური იქნება, კერძო საკუთრების მოდიფიკაცია რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება. ესენია:

- კერძო საკუთრების გარდაქმნა პირად საკუთრებად;
- საკუთრებასა და უშუალოდ მწარმოებელს შორის „გაუცხოების“ დაძლევა;
- კერძო საკუთრების იმგვარი გაუჩინარება, როცა იგი აღარ განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ სტატუსს, რასაც მთელი ისტორიის მანძილზე ტრადიციულად აკეთებდა;

ამგვარად, სოციალური სამართლიანობის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევაში

კერძო საკუთრების აღნიშნული მეტამორფოზა უდავოდ პროგრესული ხასიათისაა. თუმცა აქვე იბადება კითხვა - რა შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაში საკუთრების თანასწორობასთან მიმართებაში?

ცოდნის ეკონომიკაში ადამიანთა ინდივიდუალური შესაძლებლობების როლის არნახული ზრდა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს განსხვავებას განათლების მიღებასა და ინფორმაციის წვდომაში. როგორც ცნობილი სოციოლოგი და ფუტუროლოგი ფ. ფუკუიამა შენიშნავს: “პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ჩვენ საქმე გვაქვს კლასობრივი უთანასწორობის ახალ ტიპთან, რომელსაც განათლების დონეში განსხვავება განაპირობებს (Fukuyama F., 1992 p. 116). აქ ჩვენ ფაქტობრივად საქმე გვაქვს იმ ფენომენთან, რომელსაც გერმანელი განმანათლებლები „ბუნებრივ არისტოკრატიას“ უწოდებდნენ.

კაპიტალისტური სისტემის მოდიფიკაციის პროცესში მოხდება უშუალო მწარმოებელთა დიფერენციაცია. როდესაც მატერიალური დოვლათის დაგროვებას ცოდნის დაგროვება შეცვლის, ერთი მხრივ - ინტელექტუალური შრომის მუშაკების შემოსავლები საგრძნობლად გაიზრდება, მეორე მხრივ კი - ადგილი ექნება სამრეწველო შრომის მარგინალიზაციას. შრომის ეს სახეობა იმ ადამიანთა ხვედრი გახდება, რომლებიც ძალიან რთულად ან საერთოდ ვერ მოახერხებენ ახალ ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ სისტემასთან ადაპტაციას.

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებები მთელი მსოფლიოს მასშტაბით აკავშირებენ ადამიანებს ერთმანეთან, „თუმცა დღეს, ისე როგორც წინათ არასდროს, ისინი გვიჩვენებენ ადამიანთა შორის ღრმა განსხვავებებს“. (Coyle D., 2001, p. 167). ეს მოვლენა სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია „ციფრული უთანასწორობის“ სახელწოდებით.

2019 წლის ბოლოს ჩინეთში წარმოშობილმა ეპიდემიამ, რომელიც COVID-19-ის სახელწოდებით შედგომში მთელს მსოფლიოში გავრცელდა და პანდემიის ფორმა მიიღო, ძირეულად შეცვალა როგორც ცალკეული ინდივიდების, ისე მთელი მსოფლიოს ცხოვრების წესი. პანდემიამ ორადი ზეგავლენა იქონია ჩვენს მიერ ზემოაღწერილ პროცესზე. ერთის მხრივ, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, სადაც წამყვანი როლი ინტერნეტს ენიჭება, მნიშვნელოვნად გაფართოვდა ინდივიდუალიზებული შრომის არეალი, რასაც ადამიანები საკუთარი საცხოვრებელი ბინებიდან გაუსვლელად ახორციელებენ ვირტუალურ რეჟიმში. მეორე მხრივ - ზემოაღნიშნული „ციფრული უთანასწორობა“ კიდევ უფრო გაღრმავდა, ვინაიდან ძალიან ბევრ ადამიანს ხელი არ მიუწვდება კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებზე და ვერ ახორციელებს შრომის პროცესს.

მაშასადამე, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, განსაკუთრებით მის ისეთ მაღალ საფეხურზე, როგორიცაა „საინფორმაციო ქსელური საზოგადოება“ (Castels M. 1996, p.162). უთანასწორობა არ უკავშირდება კერძო საკუთრების ფენომენს. იგი არ წამოადგენს უშუალო მწარმოებლის როგორც წარმოების პირობებიდან, ისე წარმოების შედეგებიდან გაუცხოების პროდუქტს. ამ თვალსაზრისით, უთანასწორობა არ შეიძლება გაიგივდეს უსამართლობასთან, ყოველ შემთხვევაში ამ უკანასკნელის ძველი, ტრადიციული გაგებით (Helbroner B. and Milberg W., 1998).

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზი შეეხო კერძო საკუთრების მეტამორფოზებს ზოგადცივილიზაციური განვითარების კონტექსტში. განსაკუთრებით გამოვყავით კერძო საკუთრების მოდიფიკაციის პერსპექტივა ცოდნაზე დამყარებული და ქსელური პრინციპებით მართულ ეკონომიკაში.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ ქართულ ისტორიულ, იურიდიულ, ეკონომიკურ, მხატვრულ, პუბლიცისტურ ლიტერატურაში საკუთრების პრობლემის ზოგიერთ საინტერესო ინტერპრეტაციაზე.

საქართველოში საკუთარი, ინდივიდუალური მეურნეობის ისტორია, სულ ცოტა, 15 საუკუნეს მოიცავს. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „აღმოსავლეთ საქართველოში, პირველი საუკუნის დამდეგს, ქრ.შ. მიწის კერძო საკუთრება არ არსებობდა: მთელი

უძრავი ქონება საგვარეულოს ერთობლივსა და დაუნაწილებელს საკუთრებას შეადგენდა“. (ჯავახიშვილი ივ., 1970, გვ. 572). მისივე აზრით, „...უკვე მეხუთე საუკუნეში ღვიძლ ძმებს ერთსახლად არ უცხოვრიათ, თუ უძრავი გაყოფილი არ ჰქონდათ, თითოეულს მაინც თავისი საკუთარი მეურნეობა და საკუთარი მონაგები უნდა ჰქონოდა. უეჭველია ამაზე ადრეც, მაგრამ მაინცდამაინც მე-VIII-IX-ე საუკ. საკუთრების გაყოფაცა და მემკვიდრეობის სამართალი უკვე არსებობდა“. (ჯავახიშვილი ივ. 1984, გვ. 270).

ისტორიული წყაროებიდან ასევე ირკვევა, რომ უკვე X საუკუნეში საქართველოში არამარტო ჩამოყალიბებული იყო საკუთრების ინსტიტუტი, არამედ ფართოდ იყო გავრცელებული ქონების „განთვისების“, ანუ თანამედროვე გაგებით - გაყიდვის უფლება, რაც სრულფასოვან საკუთრების არსებობას ნიშნავდა. ამ შემთხვევაში ქონების მესაკუთრეს განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა და „მის სულსა და უცილობელ ნებასურვილზე იყო დამოკიდებული ქონების ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, მზითვად მიცემა, შეწირვა ან სხვა გზით გასხვისება.“ (დოლიძე ი., 1953, გვ. 148).

აღნიშნული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან საკუთრებისა და დროებითი მფლობელობის (ფლობის) განსხვავება. ქართულ ისტორიულ წყაროებში პირველს ეწოდებოდა „მამული“ და „მონაგები“, მეორეს კი - ქონება. (ჯანაშია ს. 1949, გვ.288)

საქართველოში უძველესი დროიდან ასევე არსებობდა ინდივიდუალური და სათემო (სასოფლო) საკუთრებად დაყოფის ტრადიცია, რომელიც გვიანდელ ფეოდალურ ხანაშიც შემორჩა ქართლსა და, განსაკუთრებით - კახეთში. XIII-XVIII კახეთში საგლეხო სახნავების მეტი ნაწილი სათემო იყო, სათიბ-საძოვრები და ტყე კი - მთლიანად თემს ეკუთვნოდა. პერიოდულად, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდებოდა ინდივიდუალურ სარგებლობაში მიწების გაცემა, რაც სასოფლო თემის შიდა იურიდიული კომპეტენცია იყო და დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა. იგი ორ მთავარ მიზანს ემსახურებოდა: თემის კოლექტივის ინტერესების დაცვას და მიწის ნაკვეთების გაცემით ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავების შეზღუდვას.

ილია ჭავჭავაძე, განსაკუთრებით თავის პუბლიცისტურ წერილებში საკუთრების პრობლემას არაერთხელ უბრუნდებოდა. იგი საუბრობდა რა „ეკონომიკურ აგებულებასა და წყობაზე“, როგორც ქართველი ხალხის მარადიულობის უშრეტ წყაროზე, მის საფუძვლად კერძო საკუთრებას მიიჩნევდა, მის ხელშეუხებლობის დაცვაზე ამახვილებდა ყურადღებას და მკაცრად ილაშქრებდა ამ პრინციპის დარღვევის ნებისმიერი მცდელობის წინააღმდეგ. პუბლიცისტურ ნაშრომში „თანამედროვე სპარსეთი“ ილია წერდა: „სადაც საკუთრების ხელშეუხებლობა დაცული არ არის, იქ შეუძლებელია რაიმე ეკონომიკური წარმატება“. (ჭავჭავაძე ი., 1955, გვ. 176). აღნიშნული ნაშრომი დაწერილია გლეხთა მასობრივი გამოსვლების პერიოდში, რომლის დროსაც ისინი მოითხოვდნენ მემამულეებისთვის მიწების ჩამორთმევას და გლეხებისთვის გადაცემას.

ი. ჭავჭავაძე წერს: „რა სიმართლე, რა საბუთი აქვს გლეხკაცს, რომ თქვენს მამულზე ხელი გაიწოდოს მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ქავკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებრივ წყობას რუსეთისას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელს დედამიწის ზურგზე:. (ჭავჭავაძე ი., 1955, გვ. 279-280). ვინაიდან „კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდს პატივში, მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, არავის ეპატიება და იაფად არ დაუჯდება“.(ჭავჭავაძე ი., 1955, გვ. 46-47).

ჩვენს მიერ გაკეთებული მოკლე ექსკურსიც კი საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ქართველი პროგრესული მოაზროვნეების მიერ საკუთრების ფენომენის შესწავლაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილი.

თუ ისტორიიდან დღევანდელ რეალობაში გადმოვინაცვლებთ, შევნიშნავთ იმ გარემოებას, რომ საკუთრებასთან მიმართებით საქართველოსათვის ამჟამად ბევრი პრობლემაა ნიშანდობლივი. შესაბამისად, ისეთი საკითხების კვლევა, როგორიცაა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში პრივატიზაციის გზით კერძო საკუთრების, როგორც ახალი ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების საფუძვლის ჩამოყალიბება, ამ პროცესში არსებული წინააღმდეგობები, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის დაცვა, კერძო საკუთრებაში არსებული

კონსტრუქციული პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება, კერძო საკუთრების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა, კერძო საკუთრებაზე დამყარებული მეწარმეობის სრულყოფის ღონისძიებები და სხვ. უაღრესად აქტუალურია. ამ საკითხების დეტალურ ანალიზს ეძღვნება ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო ნაწილი.

1.2. სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება და პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია

საბჭოური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით მართული ეკონომიკის მწვავე და გაჭიანურებული კრიზისი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში სისტემის დაშლით დამთავრდა. აღნიშნული მოვლენა ბევრმა მიზეზმა განაპირობა, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო ტოტალურად გასახელმწიფოებული ე.წ. „სოციალისტური“ საკუთრების კრახი.

ჩვენი ნაშრომის წინა ნაწილში უკვე მივუთითეთ იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის საფუძველი იყო სახელმწიფო საკუთრება, საკოლმეურნეო-კოოპერატიულად წოდებული საკუთრება კი მის ნაირსახეობას წარმოადგენდა. პირადი საკუთრება მთლიანად ექვემდებარებოდა სახელმწიფო საკუთრებას და გამოყენების ვიწრო არეალი გააჩნდა. სახელმწიფო საკუთრების მთავარი პარადოქსი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იყო „ერთად ყველასი“ და ამასთანავე - „ცალკე არავისი“. იმის მიუხედავად, რომ ამ ტიპის საკუთრება ფორმალურ-დეკლარაციულად „საერთო-სახალხო საკუთრებად“ იწოდებოდა, სინამდვილეში მას განკარგავდნენ პარტიულ-სახელმწიფოებრივი და სამეურნეო ელიტის მცირერიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებას საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად იყენებდნენ. მეორე მხრივ, საზოგადოების უდიდეს ნაწილში ჩამოყალიბებული იყო ნიჰილისტური და ვიწრომომხმარებლური დამოკიდებულება სახელმწიფო საკუთრების მიმართ. ადამიანები მოქმედებდნენ პრინციპით - „მოიპარე და სახლში წაიღე, რასაც მოახერხებ და შეძლებ“.

ბუნებრივია, სახელმწიფო საკუთრების გაუპიროვნებულობა იწვევდა შრომისადმი სტიმულების დაკარგვას, რაც ვლინდებოდა შრომის

მწარმოებლურობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაქვეითებაში. სამეცნიერო-ეკონომიკური ლიტერატურიდან კარგადაა ცნობილი, რომ ცალკეული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკას და ერთმანეთისგან მათ განსხვავებულობას საკუთრება და მისგან გამომდინარე ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვის ფორმა განაპირობებს. ამასთანავე, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება აჩვენებს, რომ ეკონომიკურ სისტემებს შორის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ეკონომიკაა, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ახერხებს საზოგადოებაში არსებული შეზღუდული რესურსების განაწილება-გამოყენებას, უზრუნველყოფს ეკონომიკური და, მასთან ერთად, პიროვნული თავისუფლების შედარებით მაღალ ხარისხს. მას ასევე ახასიათებს ოპტიმალური კავშირი წარმოებასა და მოხმარებას შორის, ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის ადეკვატური საზოგადოებრივი შეფასება, კონკურენტის, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის მამოძრავებელი მექანიზმის საყოველთაობა და ა.შ. საბაზრო ეკონომიკა მეტნაკლები წარმატებით ასევე წყვეტს ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, ფასების სტაბილურობის, საზოგადოების წევრთა კეთილდღეობის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სხვა საკითხებს.

ერთი მხრივ, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის იმანენტური მანკიერებებიდან, ხოლო მეორე მხრივ - საბაზრო ეკონომიკის რიგი უპირატესობებიდან გამომდინარე, ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, დადგნენ სისტემური ცვლილებების აუცილებლობის წინაშე, რომელსაც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაცია ეწოდა.

კაცობრიობის განვითარების ისტორიიდან ცნობილია, რომ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების შეცვლა უცბად კი არ ხდება, არამედ გარკვეულ დროს მოითხოვს, რომელიც გარდამავალი პერიოდის შინაარსს წარმოქმნის. მის ჩარჩოებში ადგილი აქვს სხვადასხვა ეკონომიკური წყობის თანაარსებობას, რაც, თავის მხრივ, საკუთრების პლურალიზმს ემყარება.

ფეოდალიზმის ცალკეული ელემენტი მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში აღმოცენდა კოლონატის ინსტიტუტის სახით. კოლონა იყო მონა, რომელმაც მონათმფლობელისაგან მიწის პატარა ნაკვეთი და შრომის იარაღები მიიღო. კერძო

საკუთრება ფეოდალური წყობის ბატონობის პირობებში, ბურჟუაზიის ხელში პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციამდე დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა. ბურჟუაზიული რევოლუცია და მის შემდეგ განხორციელებული ღონისძიებები უკვე არსებული ბაზისისადმი პოლიტიკური ზედნაშენის შესაბამისობაში მოყვანის პროცესს წარმოადგენდა.

„სოციალისტური“, ანუ ტოტალურად გასახლმწიფოებული საკუთრება ძალდატანების გზით წარმოიქმნა პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გატარებული სრული ნაციონალიზაციის შედეგად. პოლიტიკურ სტრუქტურებთან ეკონომიკური სისტემის შესაბამისობაში მოყვანისთვის აქაც გარკვეული დრო აღმოჩნდა საჭირო, რომელსაც პოსტკაპიტალისტური გარდამავალი პერიოდი შეიძლება ეწოდოს.

პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზაზე დამდგარი ვერცერთი ქვეყანა ვერ გადაურჩა სერიოზულ ეკონომიკური კრიზისს. მისი საყოველთაო ხასიათიდან გამომდინარე, ეს კრიზისი ცნობილია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის სისტემური კრიზისის სახელწოდებით. მისი სიღრმე, სიმწვავე და ხანგრძლივობა განსხვავებული იყო ცალკეული ქვეყნების მიხედვით (Labor Market and Social Policy in Central and Eastern Europe. The Transition and Beyond (1997). ამ თვალსაზრისით, ჩვენ გამოვყოფთ ქვეყნების ორ ჯგუფს. პირველში ვაერთიანებთ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს და აქვე განვიხილავთ ბალტიის ქვეყნებს. ამ ჯგუფს პირობითად ვუწოდებთ პოსტკომუნისტურ ქვეყნებს. მეორე ჯგუფს მივაკუთვნებთ ყოფილი საბჭოთა კავშირის ე.წ. „მოკავშირე“ რესპუბლიკებს, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოკლებით. პირველი ჯგუფის ქვეყნებში გაცილებით სწრაფად და ეფექტიანად განხორციელდა საბაზრო რფორმები, რაც რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. პირველი იყო ის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს საბჭოთა ბლოკში იძულებით გაერთიანების შემდეგაც არ დაუკარგავთ საკუთარი სახელმწიფოებრიობა, რაც სსრ კავშირის შემთხვევაში მოხდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელთა წინაშე გარდამავალი პერიოდის დასაწყისში დადგა ორი ურთულესი ამოცანა: ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების

შექმნა და ადმინსიტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ბუნებრივია, ეს არსებითად ართულებდა ტრანსფორმაციის პროცესს.

მეორე მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი პოლონეთსა და უნგრეთში სახელმწიფო საკუთრებას არ ჰქონდა ისეთი ტოტალური მასშტაბი, როგორც საბჭოთა კავშირში. ასე მაგალითად, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყების წინ სახელმწიფოს ხვედრითი წილი დამატებული ღირებულების წარმოებაში შეადგენდა: საბჭოთა კავშირში - 96%-ს, უნგრთში - 86%-ს, პოლონეთში - 82%-ს. (ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. 2001, გვ. 239). მესამე მიზეზი: ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნების გასაბჭოება უფრო გვიან მოხდა. შესაბამისად, იმ თაობის ხვედრითი წილი, რომელსაც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოუხდა ცხოვრება, ამ ქვეყნებში გაცილებით მაღალი იყო. მაგ.: პოსტკომუნისტური გარდაქმნების დასაწყისში საქართველოს მოსახლეობის 63% საბჭოთა, ხოლო 37% - პოსტსაბჭოთა თაობებისგან შედგებოდა (ჯიბუტი მ. 2003. გვ. 32). პოლონეთში აღნიშნული თანაფარდობა შეადგენდა 52/48 (Labor Market.. 1997, p. 112). ასეთი განსხვავება ობიექტურად განაპირობებდა ადამიანების არაერთგვაროვან დამოკიდებულებას კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუტების მიმართ. პოსტსბჭოთა ქვეყნებში ძალიან რთული და, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელიც კი აღმოჩნდა კერძო საკუთრება, როგორც მოცემულობა, რამაც დაღი დაასვა პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობას.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციული კრიზისი განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩეოდა საქართველოში. ამას განაპირობებდა როგორც ქვეყნის შიგნით არსებული უაღრესად დაძაბული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია, ისე საგარეო ფაქტორები. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ძველი, ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლა. საბჭოთა კავშირის პირობებში არსებობდა ერთიანი ეკონომიკა და როდესაც ის დაინგრა, კავშირებიც გაწყდა. მათ ადგილას ახალი ურთიეთობების ჩამოყალიბება არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა დროის მცირე მონაკვეთში. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ჩვენი ქვეყნის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ტიპის საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობაში შეწყდა წარმოების პროცესი, კატასტროფულად გაიზარდა

უმუშევრობა, დაიწყო მოსახლეობის დიდი ნაწილის, განსაკუთრებით მისი შრომისუნარიანი კატეგორიის მასობრივი გადინება ქვეყნიდან, სიღარიბემ არნახულ მასშტაბებს მიაღწია; დაუძლეველი სირთულეები წარმოიშვა ქვეყნის საერთაშორისო ანგარიშსწორებაში. განვითარდა მოუთოკავი ჰიპერინფლაცია და ა.შ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი: 1994 წელს ქვეყნის მშპ-ს მოცულობა შეადგენდა 1988 წლის დონის მხოლოდ 27.8%-ს. ამავე პერიოდში სამრეწველო წარმოების მოცულობა დაეცა 85%-ლი პუნქტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება - 2-ჯერ, კაპიტალური დაბანდებები - 97.2%-ით და ა.შ. (ჭითანავა ნ. 1997, გვ. 47). 1993 წლის გაზაფხულზე საქართველოს მთავრობამ შემოიღო დროებითი ფულის ერთეული - კუპონი, რომელმაც იმთავითვე დაიწყო გაუფასურება და ეს პროცესი პერმანენტულად გაგრძელდა. მაგ., 1994 წლის შემოდგომისთვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად ღირდა 2.5 მლნ კუპონი, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსი აღწევდა 5.4 მლნ კუპონს (პაპავა ვ. 2015, გვ. 51). 1993-94 წ.წ. ინფლაცია თვეში საშუალოდ 50-60%-ს აღწევდა, ხოლო 1994 წლის ბოლოს წლიური ინფლაციის დონე გაიზარდა 7380%-მდე (!), საშუალო ხელფასი თვეში 1,5 აშშ დოლარის, პენსია - 10 ცენტის ეკვივალენტი იყო (საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წ.წ. ინდიკატური გეგმა. 1996, გვ.15).

მწვავე ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული სოციალური ვითარების საგრძნობი გაუარესება, რომელიც, პირველ რიგში, გამოვლინდა სოციალური უთანასწორობის უკიდურესი გაღრმავების ფაქტში. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით, საქართველო არასდროს ყოფილა სოციალური სამართლიანობისა და თანასწორობის ნიმუში, თუმცა დეცირული კოეფიციენტის სიდიდე, რომელიც მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლია და გაიანგარიშება მოსახლეობის ყველაზე მაღალშემოსავლიანი მე-10 ჯგუფის შემოსავლების/ხარჯების თანაფარდობით ყველაზე დაბალშემოსავლიანი პირველი ჯგუფის შემოსავლებთან/ხარჯებთან, 1980-იანი წლების ბოლოსთვისაც კი არ აღემატებოდა 4/1. 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში აღნიშნული მაჩვენებელი ფულადი შემოსავლების მიხედვით შეადგენდა 17/1, მთლიანი ხარჯების მიხედვით კი - 16/3 (არჩვაძე ი. 2009, გვ. 166). აქვე ისიც უნდა

აღინიშნოს, რომ მთელ პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭთა სივრცეში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციის აღნიშნული კოეფიციენტი საქართველოში ყველაზე მაღალი იყო და აჭარბებდა: უკრაინის ანალოგიურ მაჩვენებელს 2.5-ჯერ, სომხეთისას - 1.9-ჯერ, აზერბაიჯანისას - 1.6-ჯერ, რუსეთისას- 1.3-ჯერ დ ა.შ. (იგივე წყარო).

არსებული ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად, პრივატიზაციის გზით კერძო საკუთრების ინსტიტუტის ჩამოყალიბების და მის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებლობა არასდროს დამდგარა ეჭვის ქვეშ ეკონომისტებს შორის. მათი დავის საგანი იყო და ნაწილობრივ დღესაც რჩება ძველიდან ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის გზებისა და მეთოდების საკითხი, რომელსაც ჩვენ მომდევნო პარაგრაფში შევეხებით და განვიხილავთ პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებული პრივატიზაციის გამოცდილებას მისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეების დახასიათებით.

1.3. პრივატიზაციის გამოცდილების კრიტიკული ანალიზი (ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის და ბალტიის ქვეყნების მაგალითზე)

პრივატიზაცია არის ის წყალგამყოფი, რომელიც კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკურ სისტემას ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისგან აშორებს. ამასთან ერთად, პრივატიზაცია ფუნდამენტურ ცვლილებებს იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში - პოლიტიკაში, სოციალურ ურთიერთობებში, სამართალში, მორალში და ა.შ.

პრივატიზაციის ცნება გულისხმობს ქონების (აქტივების) სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო პირების ხელში გადასვლას. პრივატიზაციასთან ახლოს დგას „განსახელმწიფოების“ ცნება, თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავებაც. განსახელმწიფოება პრივატიზაციასთან ერთად ნიშნავს სახელმწიფო ქონების კოლექტიურ საკუთრებაში გადასვლასაც. ათწლეულების მანძილზე ყოფილ იუგოსლავიაში ფუნქციონირებდა ე.წ. „თვითმართვადი“ სოციალიზმის მოდელი,

რომელიც არა სახელმწიფო, არამედ კოლექტიური საკუთრების პრიორიტეტს ემყარებოდა. თანამედროვე განვითარებულ საბაზრო სისტემებშიც არსებობს კოლექტიური საკუთრება, მაგრამ მისი როლი უმნიშვნელოა. პროფ. ვ. პაპავა პრივატიზაციის ცნების გარდა, აუცილებლად მიიჩნევს მასთან დაკავშირებული ორი ტერმინის „რეპრივატიზაციისა“ და „დეპრივატიზაციის“ გამოყოფას. პირველი ნიშნავს ადრე კერძო საკუთრებაში არსებული და შემდგომში ნაციონალიზებული ქონების ისევ კერძო საკუთრებაში დაბრუნებას. ეკონომიკურ და იურიდიულ ლიტერატურაში მას ხშირად უწოდებენ რესტიტუციას. დეპრივატიზაცია კი ნიშნავს ქონების დროებით ნაციონალიზაციას მისი ხელახალი პრივატიზაციისათვის (პაპავა ვ. 2020, გვ. 162).

პრივატიზაციის სტრატეგიის შემუშავება, როგორც უკვე აღინიშნა, პირველ რიგში გულისხმობს პრივატიზაციის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას. გამოიყოფა პრივატიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნები. ეკონომიკური მიზნები შეიძლება დაიყოს ზოგად და შედარებით კონკრეტულ ქვემიზნებად. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დასაწყისში პრივატიზაციის მთავარი ეკონომიკური მიზანი იყო სამი პროცესის ერთდროულად განხორციელება: ა) სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიის დანგრევა; ბ) კერძო საკუთრების დამკვიდრება საკუთრებით ურთიერთობათა სისტემაში მისი წამყვანი როლის უზრუნველყოფით; გ) კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის დაწყება.

კონკრეტული მიზნები გამოიხატებოდა შემდეგში:

- განვითარების მნიშვნელოვანი პერსპექტივის მქონე კერძო სექტორის და მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება;
- შრომის მწარმოებლურობის ამაღლების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა (მწარმოებელთა მატერიალურ-ფინანსური დაინტერესების ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებით);
- ალოკაციური ეფექტიანობის ამაღლება, რაც გულისხმობს რესურსების გადანაწილებას საქმიანობის ძველი სფეროებიდან ახალში, ანუ ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას;

- საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება.*
- კონკურენტული გარემოს შექმნა;
- უცხოური კაპიტალის მოზიდვისათვის ხელშეწყობა;
- საქონლისა და მომსახურების საყოველთაო და მწვავე დეფიციტის ჯერ შერბილება, შემდეგ კი საერთოდ აღმოფხვრა.
- ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდა და, შესაბამისად, უმუშევრობის დონის შემცირება. *

პრივატიზაციის პოლიტიკურ მიზნებად შეიძლება განხილული იქნეს:

- ეკონომიკის დეპოლიტიზაცია. ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში სახელმწიფო საკუთრება უზრუნველყოფდა მთელი ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციას პარტიული სახელმწიფო ნომენკლატურის ხელში, რითაც უზრუნველყოფილი იყო მათი პოლიტიკური ბატონობა. პრივატიზაციას და კერძო საკუთრებას, როგორც მის შედეგს, მატერიალური საფუძველი უნდა გამოეცალა პარტიულ-პოლიტიკური ელიტების ყოვლისშემძლეობისთვის და მინიმუმამდე დაეყვანა ეკონომიკაზე მათი გავლენის ხარისხი. საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკოსებს მაქსიმალურად აცალკევებს საკუთრებისგან და ბევრი ეკონომისტის აზრით, ეს გაცილებით

---

* *უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში ძალიან ვრცელი თეორიული და ემპირიული მასალა არსებობს, რომელიც ადასტურებს კერძო საწარმოების უფრო ეფექტიან ფუნქციონირებას სახელმწიფო ან სხვა ტიპის საწარმოებთან შედარებით (იხ. Vining Adan R. and Anthony Boardman (1992). Ownership Versus Competition: Efficiency n Public Enterprise". Public Choice 73: 205-239; Megginson William L., Robbert C. Nash, and Mathias wan Pandenborgh (1994). "The financial and Operating Performance of Newly Privatized Firms: an International Empirical Analysis", journal f Finance 49 (2): 403-452; Lieberman Ira W., Stilpon S. Nestor, and Raj M. Desai, eds (1997). Between State and Market: Mass Privatization in transition Economies. Washington, D.C.: The World Bank and the OECD და სხვა).*

* *აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვეთანხმებით პროფ. ლ ბალცეროვიჩის შემდეგ მოსაზრებას: „არსებობს შეხედულება, რომ პრივატიზაცია ხელს უწყობს უმუშევრობის ზრდას, რაც მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტებად. საწყის ეტაპზე პრივატიზაცია, მართლაც, განაპირობებს უმუშევრობას, მაგრამ შემდგომ, პრივატიზებული საწარმოების ეფექტიანობის ამაღლების კვალდაკვალ, რაც ასევე გარდაუვალია, დასაქმების დონე იზრდება". (ბალცეროვიჩი ლ. 2002. გვ. 112; ბალცეროვიჩი ლ. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ.)*

უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კომპანიის ეფექტიანი ხელმძღვანელობის საკითხი. *

მეორე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მიზანია საკუთრების მქონე ადამიანებისაგან შემდგარი ახალი საშუალო კლასის ჩამოყალიბება. * თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთი კლასიკოსი მაქს ვებერი მათ შესახებ წერდა, რომ ისინი არიან სულით ჯანმრთელი ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებული პიროვნული პასუხისმგებლობით და თვითდისციპლინით გამოირჩევიან. (ვებერი მ., 2004, გვ. 67).

საკითხის პრინციპული მნიშვნელობიდან გამომდინარე, უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მის განხილვაზე. საკუთრების პრივატიზაცია ქმნის მცირე და საშუალო კერძო მეწარმეობის საფუძველს, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოებაში საშუალო ფენის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. საზოგადოების სტრუქტურიზაციის თეორიის ფუძემდებლები არიან კ. მარქსი და მ. ვებერი. პირველის სახელს უკავშირდება ბურჟუაზიული საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფისა და მათ შორის კლასობრივი ბრძოლოს თეზისი, რომელსაც მეცნიერი უპირისპირებდა უკლასო კომუნისტური საზოგადოების მოდელს. ეს საკითხები დეტალურადაა განხილული მარქსის ნაშრომში „გოთას პროგრამის კრიტიკა“. მარქსის ამ თეორიას ვებერმა დაუპირისპირა საზოგადოების სტრატებად დაყოფის, ანუ სტრატიფიკაციის თეორია, რომელშიაც საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფას ცვლის დაყოფა მაღალ, საშუალო და დაბალ ფენებად. ვებერიანულ და ნეოვებერიანულ

---

* *„ჩვენ ვთვლით, რომ მენეჯერებზე კონტროლი ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკოსებზე კონტროლი, ვინაიდან მენეჯერების ინტერესები გაცილებით უფრო ახლოს დგას ეკონომიკურ ეფექტიანობასთან, ვიდრე პოლიტიკოსების ინტერესები“ (Maxim Boyko, Andrei Shleifer and Rober Vishny (1995), p. 65; Boyko Maxim, Shleifer Andrei and Vishny Rober.Privatizing Russia. Cambridge, Mass.MIT Press). იგივე მოსაზრება აქვს გამოთქმული Kaufman Daniel and Paul Siegelbaum (1996) და სხვებს (Kaufman Daniel, and Paul Siegelbaum (1996). “Privatization and Corruption in Transition Economies. Journal of International Affairs 50 (2): 419-458).*

* *პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის დაწყებიდან სამი ათეული წლის შემდეგ აშკარაა განსხვავება, რომელიც აღნიშნული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით, არსებობს ქვეყნებს შორის. რიგმა ქვეყნებმა, მაგ. პოლონეთმა, უნგრეთმა, ჩეხეთმა, ესტონეთმა შეძლეს ძლიერი და გავლენიანი საშუალო კლასის ჩამოყალიბება, რომელიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მთავარია გარანტია. პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში საშუალო კლასის შექმნის პროცესი ძალიან გაჭიანურდა და მის ნაცვლად საზოგადოების დიფერენციაცია კიდევ უფრო გაღრმავდა. საქართველო, სამწუხაროდ, ამ ქვეყნების სიაში იმყოფება.*

თეორიებში სტრატიფიკაციის კრიტერიუმი ძირითადად განპირობებულია განაწილებითი ფაქტორებით და მათთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს განათლება და საკუთრებისადმი დამოკიდებულება. ვებერი გამოყოფდა საშუალო ფენის ორ კატეგორიას: „ქვედა საშუალო ფენას“, რომელსაც შეადგენდა შეძლებული გლეხები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და „ზედა საშუალო ფენას“ - სპეციალისტები, მოხელეები, საშუალო და მსხვილი ვაჭრები. ზედა საშუალო ფენის შევსების მთავარ წყაროდ მეცნიერი მიიჩნევდა ბიუროკრატიას და წერდა: „საშუალო ფენა მომავალში უნდა გაიზარდოს რაოდენობრივად და ხარისხობრივად ბიუროკრატიის ხარჯზე, რაც მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოებისთვის“ (Вебер М. 1990, с. 65).

საშუალო ფენის მეცნიერულ შესწავლას ძლიერი ბიძგი მისცა XX საუკუნის პირველი ათწლეულიდან დაწყებულმა საზოგადოების ინდუსტრიალიზაციამ, რომლის შედეგადაც ძველი საშუალო ფენა თანდათანობით იცვლება „ახალი საშუალო კლასით“. ეს უკანასკნელი გულისხმობს როგორც ამ კატეგორიაში შემავალი ადამიანების ასაკობრივ გაახალგაზრდავებას, ისე ზოგიერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმის ცვლილებას. მაგალითად, თუკი ძველი საშუალო კლასისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმი იყო საკუთრების ფლობა, ახალი საშუალო კლასის დიდ ნაწილს შეადგენს ხელფასის რეგულარულად მიმღები ადამიანები.

„გერმანული სასწაულის მამად“ წოდებული ლ. ერჰარდი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა გერმანულ საზოგადოებაში საშუალო კლასის არსებობას და მას განმარტავდა, როგორც ადამიანთა ერთობლიობას, „რომლებიც მზად არიან პასუხსმგებლობა აიღონ საკუთარ თავზე და საკუთარი არსებობა უზრუნველყონ მაღალმწარმოებლური შრომით. საშუალო კლასის ნიშნებს წარმოადგენს - საკუთარი ღირსების გრძნობა, მყარი და სტაბილური სოციალური მდგომარეობა“ (Эрхард Л. 1990, с. 108). ერჰარდის შეხედულებებში საშუალო კლასის ცნება ორგანულადაა ჩართული სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორიაში (მოდელში), რომელსაც მოგვიანებით დაემყარა ეკონომიკური პოლიტიკა არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ კონტინენტური ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაშიც, ხოლო საშუალო კლასი კი საზოგადოების მთავარ ძალად იქცა.

თანამედროვე ევროპულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია საზოგადოების სოციალური სტრუქტურის მოდელი, რომელშიაც გამოიყოფა მოქალაქეთა ღარიბი,

საშუალო და მდიდარი ფენები. მათ შორის ყველაზე მრავალრიცხოვანი საშუალო ფენაა. სოციოლოგები და ეკონომისტები თანხმდებიან, რომ ნორმალურ სტრატიფიკაციად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოება, რომელშიაც მდიდრების და ღარიბების თითოეული ჯგუფი შეადგენს 15-20%, საშუალო ფენაზე კი 60-65% მოდის.

საშუალო ფენა, როგორც სოციალურ-სტრუქტურული ფენომენი, შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ნიშნებით: შემოსავალი, მიმდინარე ხარჯებისა და დაგროვილი დანაზოგების სიდიდე, ეკონომიკური სტატუსის სტაბილურობის მაღალი დონე, მყარი ეკონომიკური თვითუზრუნველყოფა, ცოდნის, მაღალი კვალიფიკაციისა და ინფორმაციის ფლობა ამა თუ იმ სფეროში, წარმოების (შრომის) ორგანიზაციასა და მართვაში მაღალი ხარისხის ჩართულობა. ჩამოთვლილი პარამეტრების ერთი ნაწილი შეიძლება რაოდენობრივად შეფასდეს, მეორე კი - ხარისხობრივი შინაარსისაა. შესაბამისად, საშუალო კლასში შეიძლება გაერთიანდეს:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროში დასაქმებულები, ფერმერები;
- მაღალკვალფიციური სპეციალისტები და მენეჯერები;
- სახელმწიფო მმართველობის საშუალო რგოლში დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი;
- მეცნიერები, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები (მხატვრები, მსახიობები, მუსიკოსები და ა.შ);
- სასულიერო პირები...

ზემოთჩამოთვლილიდან აშკარაა, რომ საშუალო ფენა, ანუ საშუალო კლასი თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ რთულ კონგლომერატს წარმოადგენს და მისი მეცნიერული შესწავლა არ არის ადვილი ამოცანა. თუ საშუალო კლასის როლსა და დანიშნულებას ფართო საზოგადოებრივი თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში იგი ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. პირველ რიგში შეიძლება გამოიყოს მისი, როგორც საზოგადოების სტაბილიზაციის უზრუნველმყოფის ფუნქცია. ეკონომიკური თვალსაზრისით, საშუალო კლასი არის ქვეყნის ბიუჯეტის მთავარი ფინანსური დონორი, ვინაიდან სწორედ მისგან აკრეფილი შემოსავლებიდან ივსება ბიუჯეტის დიდი ნაწილი. ასევე მნიშვნელოვანია საშუალო კლასის მონაწილეობა ქვეყნის მთლიანი სამამულო პროდუქტის კომპონენტში, ვინაიდან იგი, როგორც

ყველაზე მრავალრიცხოვანი სტრატიფიკაციული ელემენტი, განსაზღვრავს მოხმარების სტანდარტებს. ხშირ შემთხვევაში საშუალო კლასი გამოდის საზოგადოების ცხოვრების წესის განმსაზღვრელ სუბიექტად.

კერძო საკუთრება განუყრელადაა დაკავშირებული ეკონომიკურ თავისუფლებასთან, რომლის ქვეშ, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება საკუთარი ქონების თავისუფალი ფლობის, განკარგვისა და გამოყენების უფლება. პიროვნულ თავისუფლებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ადამიანს ეძლევა უფლება და შესაძლებლობა მოიქცეს ისე, როგორც სურს, ოღონდ იმ პირობით, რომ არ შელახოს სხვისი უფლება და თავისუფლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პიროვნული თავისუფლება იძულების გამორიცხვაა (ფრიდმანი მ., 2002, გვ. 17).

პრივატიზაციის გზით პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში ინსტიტუციური გარდაქმნების საფუძვლის მომზადება, ჩვენი აზრით, თანაბრად შეიძლება ჩაითვალოს როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ მიზნად, ვინაიდან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ახალი საზოგადოებრივი ფასეულობების ფორმირებასთან.

პრივატიზაციის მესამე პოლიტიკურ მიზნად ჩვენ მივიჩნევთ დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებისათვის ნოყიერი ნიადაგის მომზადებას. დასავლეთში მრავალრიცხოვანი კვლევები არსებობს, რომლებიც გვიჩვენებს მჭიდრო კორელაციას კერძო საკუთრების ინსტიტუტსა და დემოკრატიას შორის. ქვეყნები, სადაც კერძო სექტორის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაბალია, როგორც წესი, ხასიათდებიან ავტორიტარული მართვის სისტემის არსებობით და ამის ეკონომიკური საფუძველი უპირატესად სახელმწიფო საკუთრებაა. მსგავს შემთხვევაში, ბუნებრივია, ნაკლები სივრცე რჩება პოლიტიკურ-ეკონომიკური და პიროვნული თავისუფლებისთვის.

დემოკრატიზციის პროცესში პრივატიზაციისათვის წამყვანი როლის მინიჭებით ჩვენ არ ვამტკიცებთ თეზისს, რომ პირველი არ არსებობს მეორის გარეშე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ე.წ. ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც კერძო საკუთრების ინსტიტუტის რამდენიმე ასწლოვანი ტრადიცია არსებობს, დემოკრატიული სისტემები ავტომატურ რეჟიმში ფუნქციონირებენ ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. აღნიშნულთან დაკავშირებით, საყურადღებოდ

მიგვაჩნია პროფ. ვ. პაპავას შემდეგი მოსაზრება: „ეკონომიკის ტრადიციულ სახელმძღვანელოებში საკუთრების პრობლემის განხილვას ყურადღება არ ეთმობა, რაც, ჩვენი აზრით, იმითაა განპირობებული, რომ საკუთრება, მისი კერძო ფორმის სახით, ანუ კერძო საკუთრება apriori მოცემულობადაა მიჩნეული“. (პაპავა ვ. 2020; გვ. 160; Pipes R., 1999; p. 3).

პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ჩატარებული პრივატიზაცია მოიცავდა ზოგადი და სპეციფიკური ნიშნების ერთობლიობას, რაც ზოგადად დამახასიათებელია ბევრი ისტორიული პროცესისათვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იგი გამოვლინდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებაში. პრივატიზაციის სპეციფიკა დეტერმინირებული იყო ცალკეული ქვეყნების მიხედვით საწარმოო ძალთა განვითარების დონით, ეკონომიკის ჩამოყალიბებული სტრუქტურით, ეკონომიკური რეფორმების სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნებით, ამოცანებით, საპროგნოზო ორიენტირებით და ა.შ. ყოველივე ეს უნდა აუცილებლად გათვალისწინებულიყო პრაქტიკული ღონისძიებების გატარებისას, ვინაიდან ის, რაც ეფექტიანია ერთ ქვეყანაში, შესაძლოა სრულიად კონპროდუქტიული აღმოჩნდეს სხვა ქვეყანაში. ამასთან ერთად, არსებობდა შესაძლებლობებისა და შემზღუდველების ერთიანი ჩარჩო, რომელიც ყველა ქვეყანას უნდა გაეთვალისწინებინა საპრივატიზაციო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ეს უკანასკნელი შემდეგ გარემოებაში გამოვლინდა - პრივატიზაციის განხორციელების ღონისძიებათა თანმიმდევრობაში, ანუ პრივატიზაციის ლოგიკაში. ყველა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყანაში პროცესი დაიწყო მცირე პრივატიზაციით, განკერძოებას დაექვემდებარა ძირითადად ვაჭრობისა და მომსახურების ობიექტები. პრივატიზაცია სწრაფად წარიმართა და ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკის ელემენტების ჩამოყალიბებას. თუმცა თავდაპირველად ცხარე დისკუსია მიმდინარეობდა, თუ რა წესით მომხდარიყო პატარა ობიექტების განსხვისება - აუქციონზე მათი გაყიდვით თუ უპირატესობა მინიჭებოდა საწარმოში დასაქმებულ მუშაკებს. მაგ. ჩეხეთსა და პოლონეთში მთელი მცირე საწარმოები აუქციონზე გაიყიდა. სხვა ქვეყნებში კი პრივატიზაციის შერეული ფორმები იქნა გამოყენებული. ტარდებოდა აუქციონები, რომლებიც ხელს უწყობდნენ სწრაფ სტრუქტურულ ცვლილებებს ეკონომიკში, ვინაიდან ამ დროს საკუთრების უფლება

უფრო ზუსტად ფიქსირდებოდა და ნაკლებად ექვემდებარებოდა სხვადასხვა შემზღუდავ ბიუროკრატიულ პროცედურას. ამის მიუხედავად, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუროკრატია (განსაკუთრებით დსთ-ს ქვეყნებში) მაქსიმალურად ცდილობდა მცირე პრივატიზაციის შეფერხება-შეზღუდვას. იგი მოითხოვდა ლიცენზიების ხშირ განახლებას, ხელს უშლიდა საწარმოების პროფილის შეცვლას და ა.შ.

ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით, გაცილებით რთული და მტკივნეული აღმოჩნდა დიდი საწარმოების პრივატიზაცია, რასაც სხვადასხვა ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი ფაქტორი განაპირობებდა. კერძოდ:

- საჭირო იყო, პირველ რიგში, იმის გარკვევა, რისი პრივატიზაცია უნდა მომხდარიყო და ვის უნდა გაეკეთებინა ეს;
- აუცილებელი იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, მსხვილი საწარმოების კორპორაციებად გარდაქმნა და მათი დემონოპოლიზაცია;
- ხელისუფლებას უნდა განესაზღვრა საპრივატიზაციოდ განკუთვნილი სახელმწიფო ქონების ღირებულება;
- აუცილებელი იყო ქონების გაყიდვის პროცესის უზრუნველყოფა;
- აქტუალურ ამოცანას წარმოადგენდა ქონებაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, რომლის გარეშეც, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ქვეყნები რთული ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, რომელთა შორის ყველაზე მწვავე ჰიპერინფლაცია იყო;
- გასათვალისწინებელი იყო ცალკეული ქვეყნის ამოსავალი პირობები და მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რომლებსაც პირდაპირ შეეძლოთ ემოქმედათ საპრივატიზაციო პოლიტიკის მიმართულებებსა და ხასიათზე.

პრივატიზაციის მეორე საერთო ნიშანი მდგომარეობს პრივატიზაციის მეთოდების შემდეგი ერთობლიობიდან - მასობრივი პრივატიზაცია ვაუჩერიზაციის გზით, ინსაიდერული პრივატიზაცია, პირდაპირი (ღია) გაყიდვა, რესტიტუცია, ლიკვიდაცია - ერთ-ერთი მათგანის გამოყენებით, ან რამდენიმეს კომბინაციაში.

ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ზემოჩამოთვლილ მეთოდებს და დავინახავთ იმ თავისებურებებს, რომლებიც პრივატიზაციას ახასიათებდა სხვადასხვა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყანაში.

მასობრივი პრივატიზაცია ვაუჩერიზაციის გზით. სავაუჩერო პრივატიზაციის პიონერი და კლასიკური ქვეყანა ჩეხეთია, ხოლო მისი პრემიერ-მინისტრი ***ვაცლავ კლაუსი*** იყო ამ იდეის ავტორი. ჩეხეთის გარდა, ამ ფორმით პრივატიზაცია ნაწილობრივ განხორციელდა სლოვაკეთში, პოლონეთში, ბულგარეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში, ყაზახეთში, მოლდოვაში, სომხეთში და ყირგიზეთში. სავაუჩერო პრივატიზაციის იდეა, რამდენიმე თვალსაზრისით, აღმოჩნდა მიმზიდველი ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის. ჯერ ერთი, იგი კარგად შეესაბამებოდა სამართლიანობის პრინციპს, გულისხმობდა რა სახელმწიფო ქონების თანაბარ განაწილებას მთელ მოსახლეობაზე. მეორე, მისი განხორციელება სწრაფად იყო შესაძლებელი. მესამე - იგი ხელს უწყობდა ბაზრის ფორმირების დაჩქარებას. მეოთხე - არბილებდა საშინაო მოთხოვნის უკმარისობას საკუთრების შეძენაზე. მეხუთე, მისი განხორციელება იყო მარტივი და ნაკლებ ხარჯებთან დაკავშირებული, ვინაიდან მნიშვნელოვნად აიოლებდა გასაყიდი ქონების შეფასების პრობლემას. მეექვსე - იგი იძლეოდა მოსახლეობაში საკუთრების საკმაოდ ფართო გაბნევის შესაძლებლობას და აჩქარებდა მესაკუთრეთა ფართო ფენის ჩამოყალიბების პროცესს.

ჩეხეთში სავაუჩერო პრივატიზაცია დაიწყო 1991 წლიდან. ამ ქვეყნის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ მიღო სახელობითი (საკუპონე) წიგნაკი, რომელიც ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარებოდა. მისი საშუალებით კუპონის მფლობელს შეეძლო მიეღო აქციების პაკეტი 70 000 ჩეხური კრონის, ანუ 2800 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით (ბასილია, სილაგაძე, ჩიკვაიძე, 2001, გვ. 112). აქციების მიღება ხორციელდებოდა საინვესტიციო ფონდების საშუალებით. სავაუჩერო პრივატიზაციას ჩეხეთში, დადებით მხარეებთან ერთად, ნაკლოვანებებიც გააჩნდა - საკუპონე წიგნაკების უსასყიდლოდ დარიგებას რეალური კაპიტალის დაგროვება არ მოჰყოლია. ამის გამო მსხვილი პრივატიზებული საწარმოების უმრავლესობა საჭირო კაპიტალის არქონის გამო, სანაციისა და მოდერნიზაციის მიღმა აღმოჩნდა. ვაუჩერი

არ წარმოადგენდა ფასიან ქაღალდს, ამ ცნების კლასიკური გაგებით, ვინადან საკუთარ თავში არ აერთიანებდა საინვესტიციო და საკუთრებით ფუნქციებს.

ჩეხეთში განხორციელებული პრივატიზაცია მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა ბევრი ეკონომისტის მხრიდან. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პრობლემების მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი, პროფ. ი. კორნაი წერს, რომ პრივატიზაციის მთავარი ამოცანა მდგომარეობს სახელმწიფო საკუთრების არა უბრალოდ დარიგებაში, არამედ საუკეთესო მესაკუთრის ხელში მის გადაცემაში ((Kornai J. 1990). მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული პროფ. ლ. ბალცეროვიჩს, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კერძო საკუთრება ეკონომკის განვითარების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ვის ხელშია იგი მოქცეული, ვინ არის მესაკუთრე. თუკი საკუთრება ადამიანს უსასყიდლოდ ეძლევა, იგი ვერ გამოდგება სტიმულირების და, მაშასადამე, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საშუალებად (ბალცეროვიჩი, 2002; გვ. 96). უნდა აღინიშნოს, რომ ეს რთული და აქტუალური პრობლემა შედარებით წარმატებით გადაწყდა პოლონეთში, უნგრეთში და ესტონეთში, რაშიაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პრივატიზაცის პროცესში უცხოელი ინვესტორების ინტენსიურად ჩაბმამ. რაც შეეხება დსთ-ს ქვეყნებს, ეფექტიანი მესაკუთრის გამოძებნის პრობლემა დღესაც მეტწილად გადაუჭრელია. ჩეხეთის გამოცდილებას რომ დავუბრუნდეთ, სავაუჩერო პრივატიზაციის დისკრედიტაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სკანდალმა, რომელიც დაკავშირებული იყო ერთ-ერთი უმსხვილესი საინვესტიციო ფონდის ხელმძღვანელის ბაჰამის კუნძულებზე გაქცევასთან, რომელმაც თან გაიყოლა ინვესტორებისგან მითვისებული უზარმაზარი თანხა. კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ ჩეხეთის სავაუჩერო ფონდები მტკიცედ იყო მიბმული ადგილობრივ ბანკებზე, რომლებიც იმ დროს ჯერ კიდევ სახელმწიფო საკუთრებაში იმყოფებოდა. ეს, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად აქვეითებდა ამ ფონდების პოზიტიურ საპრივატიზაციო პოტენციალს. სავაუჩერო პრივატიზაციის ყველაზე მკაცრი კრიტიკით ლიბერალური ეკონომიკის მიმართულების მკვლევრები იყვნენ გამორჩეული. მაგ., დ. გლინსკი და პ. რედვეი (Glinski D., and Redway P. 1999) მას „საბაზრო ბოლშევიზმს“ უწოდებენ (Glinski Dimitri, and Redway Peter. 1999, p. 19-34).

ზემოაღნიშნული კრიტიკის მიუხედავად, ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, რომ სავაუჩერო პრივატიზაციამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოურ სივრცეში კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ჩეხეთში და ევროპის ზოგიერთ სხვა ქვეყანაში გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ კერძო საკუთრებაში გადასულმა საწარმოებმა ეფექტიანი ფუნქციონირება დაიწყეს.

ინსაიდერული პრივატიზაცია. პრივატიზაციის ეს მეთოდი გულისხმობს სახელმწიფო საწარმოების საკუთრების უსასყიდლო გადაცემას ან ხელოვნურად შემცირებულ ფასებში მიყიდვას ამ საწარმოებში დასაქმებულ მენეჯერებსა და მუშაკებზე. მისი განხორციელების მთავარი მექანიზმია არენდა-გამოსყიდვა. ინსაიდერული პრივატიზაცია ძირითადად გამოყენებული იქნა რუსეთში, ნაწილობრივ - უკრაინაში, მოლდოვაში, ყაზახეთში და სომხეთში. იგი განპირობებული იყო რიგი ობიექტური გარემოებებით, რომელთა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ზოგიერთ ქვეყანაში პრივატიზაციისწინა სიტუაცია, განსაკუთრებით საწარმოზე კონტროლის არსებული წესი. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში, საწარმოების დირექტორები, ფაქტობრივად, სახელმწიფო საწარმოებს კვაზიმესაკუთრეებად გადაიქცნენ. აღნიშნულს საგრძნობლად შეუწყო ხელი კანონმა სახელმწიფო საწარმოების შესახებ (1987), რომელმაც პროფილური სამინისტროებიდან საწარმოთა დირექტორების დამოუკიდებლობის სამართლებრივი საფუძველი შექმნა. პოლონეთში საწარმოების შიგნით ძალაუფლება კონცენტრირებული იყო ე.წ. მუშათა საბჭოების ხელში, რითაც არსებობდა იმის რეალური საფრთხე, რომ გარდაქმნები წარმართულიყო მუშათა თვითმმართველობის ტიპის (ე.წ. „თვითმმართველური იუგოსლავიური სოციალიზმის“) მიმართულებით. თუმცა ასე არ მოხდა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა პოლონეთში პრივატიზაციის პროცესის წარმატება. უნგრეთში ასევე არსებობდა საწარმოების მუშათა თვითმმართველობები, თუმცა ისინი არ თამაშობდნენ რაიმე მნიშვნელოვან როლს. ჩეხეთში, რუმინეთსა და ბულგარეთში სამრეწველო საწარმოები, ფაქტობრივად, წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოების რეალურ მესაკუთრეს. შესაბამისად, ინსაიდერული პრივატიზაციის საფუძველი ამ ქვეყნებში თითქმის არ არსებობდა.

ინსაიდერული პრივატიზაციის შემთხვევაში მაღალი დონის მენეჯერები, უპირველეს ყოვლისა - დირექტორები და საწარმოთა მუშაკების დანარჩენი სხვა კატეგორია ერთ ჯგუფში მოიაზრებოდა. თუმცა რეალობაში მათი ინტერესები არსებითად განსხვავდებოდა. სარგებლობდნენ რა საკუთარი პრივილეგიური მდგომარეობით, ე.წ. „წითელი დირექტორები“ სახელმწიფო საწარმოების გვერდით, როგორც წესი, ქმნიდნენ საკუთარ კომპანიებს და მათზე ყიდდნენ ხელოვნურად შემცირებულ ფასებში სახელმწიფო საწარმოების მიერ შექმნილ მთელ პროდუქციას, ან მის უმეტეს ნაწილს, ეს კომპანიები კი უკვე რეალური, ანუ მომატებული ფასებით იმავე პროდუქციის ყიდდნენ საბოლოო მომხმარებელზე. ფასთა სხვაობა მოგების სახით დირექტორების ჯიბეში მიდიოდა, სახელმწიფო კი დიდ ზარალს ნახულობდა. ფაქტობრივად, ამ ეტაპზე ადგილი ჰქონდა არალეგალურ, სპონტანურ პრივატიზაციას. როდესაც ფორმალური პრივატიზაცია დაიწყო, დირექტორებმა ნათლად აჩვენეს საკუთარი ძალა და გავლენა. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რენტაბელური საწარმოების ღია წესით გაყიდვას, მოითხოვდნენ, რომ ამ წესით მხოლოდ წამგებიანი საწარმოები გაყიდულიყო. მომგებიანი საწარმოები კი, მათი აზრით, კოლექტივების საკუთრებაში უნდა გადასულიყო. როგორც წესი, კოლექტივებთან ისინი საკუთარ თავს აიგივებდნენ. რუსეთში, მაგალითად, 16 462 დიდი საწარმოს აქციების მხოლოდ 20% გაიცვალა ვაუჩერებზე, დანარჩენი ხელოვნურად შეცირებულ ფასებში გადაეცა საწარმოების დირექტორებს და მუშაკებს (Shleifer A., and Treisman D. 2000). ოდნავ მოგვიანებით ამ აქციების აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი დირექტორების ხელში აღმოჩნდა. რუსეთში აქციების საკონტროლო პაკეტს დაეუფლნენ კომპანიების უმაღლესი რანგის მმართველები ისეთ უმსხვილეს ორგანიზაციებში, როგორიცაა „გაზპრომი“, „ლუკოილი“, „სურგუტნეფთგაზი“ და სხვა. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ინსაიდერული პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო საწარმოების საკუთრების უმეტესი ნაწილი გადავიდა არა მათი დირექტორების, არამედ დაქირავებული მუშაკების ხელში, აღმოჩნდა პოლონეთი.

ინსაიდერულ პრივატიზაციას, მომხრეებთან ერთად, ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა, რომლებიც მის ნაკლოვან მხარეებზე ამახვილებდნენ ყურადღებას. პროფ. ვ. პაპავა წერს, რომ ეს მეთოდი „ბევრ გაუგებრობასთან და წინააღმდეგობასთან იყო

დაკავშირებული. მაგ., გაუგებარი იყო, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გაანგარიშებული კოლექტივის თითოეული წევრის მიერ საწარმოს აქტივების შექმნა-დაგროვებაში შეტანილი წვლილი. როგორ უნდა გადაჭრილიყო საკითხი იმ მუშაკთა მიმართებით, რომელიც ადრე, წლების მანძილზე მოცემულ საწარმოში იყო დასაქმებული, პრივატიზაციის დაწყების მომენტში კი წასული იყო საწარმოდან და ა.შ."(პაპავა ვ. 2020; გვ. 169). პროცესის შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ სოციალური სამართლიანობის საკითხთან მიმართებაშიაც ინსაიდერული პრივატიზაციის როლის პოზიტიური შეფასებები გადაჭარბებული იყო. მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა საპრივატიზაციოდ განკუთვნილი სახელმწიფო საკუთრების შეფასების გარშემო. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ არ ხდებოდა ქონების ზუსტი შეფასება და მისი „რეალური ფასებით" გაყიდვა, რაც შეესაბამებოდა სინამდვილეს. თუმცა, სიზუსტისათვის, იმაზეც უნდა მივანიშნოთ, რომ იმ პირობებში რეალური ფასის ცნებას გამოცლილი ჰქონდა შინაარსი, ვინაიდან არ არსებობდა კაპიტალის ბაზარი, რომელიც მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმის საფუძველზე ჩამოაყალიბებდა აქტივებზე საბაზრო, ანუ რეალურ ფასს. შესაბამისად, სახელმწიფო ქონება ფასდებოდა ე.წ. საბალანსო ღირებულებით, რომელსაც საფუძვლად ედო რეალობისგან მოწყვეტილი, ისტორიულად ჩამოყალიბებული საწარმოო დანახარჯები.

პრივატიზაცია სახელმწიფო ქონების პირდაპირი (ღია) გაყიდვის მეთოდით. ეს მეთოდი ყველაზე აქტიურად იქნა გამოყენებული პოლონეთში, უნგრეთში და ესტონეთში. პოლონეთში იგი განხორციელდა აქციების პირველადი გამოშვებისა და საფონდო ბირჟაზე მათი პირველადი მიწოდების გზით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი მეთოდი პირველად დიდ ბრიტანეთში გამოიყენეს 1980-ან წლებში და ადვილად გასაგებია ის ინტერესი, რომელიც, პირველ რიგში, დიდი ბრიტანეთის საინვესტიციო ბანკებმა გამოიჩინეს ზემოთჩამოთვლილ ქვეყნებში ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საფონდო ბაზრების (ბირჟების) მიმართ. სახელმწიფო ქონების პირდაპირ (ღია) გაყიდვას ბევრი პოზიტიური მხარე გააჩნდა. კერძოდ:

- იგი იძლეოდა პრივატიზაციის გამჭვირვალედ განხორციელების შესაძლებლობას;

- უზრუნველყოფდა უცხოური კაპიტალის ფართო მასშტაბით ჩართვას პრივატიზაციის პროცესში;
- ქმნიდა მოწინავე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ბაზაზე საწარმოთა რესტრუქტურიზაციის შესაძლებლობას;
- განსაზღვრავდა კომპანიების რეალურ ფასებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი ყალიბდებოდა ბაზარზე;
- განაპირობებდა კომპანიების მენეჯმენტის ხარისხის ამაღლებას უცხოეთიდან გამოცდილი მენეჯერების მოწვევის, მათი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენების გზით.

პირდაპირი (ღია) გაყიდვით პრივატიზაციის პროცესში გამოყენებული მეორე ინსტრუმენტი იყო საინვესტიციო ტენდერები, რომლის მთავარი უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ აუტსაიდერებს შეეძლოთ დიდი მოცულობის საკუთრების შეძენა, რაც საწარმოთა რექტრუქტურიზაციის კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. ასევე ადვილი იყო უცხოელი ინვესტორების ჩართვა პრივატიზაციის პროცესში და საინვესტიციო ტენდერების მოწყობიდან სახელმწიფოს შეეძლო სოლიდური შემოსავლების მიღება.

დადებით მხარეებთან ერთად, პრივატიზაციის ამ მეთოდს გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნდა. ზემოთჩამოთვლილი ქვეყნების მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფითად იყო განწყობილი მის მიმართ, რასაც გარკვეული ობიექტური საფუძველი ჰქონდა. იმ პერიოდში არსებობდა მოსახლეობის ოთხი კატეგორია: კომუნისტური ნომენკლატურა, ორგანიზებული დანაშაულის სამყაროს წარმომადგენლები, ე.წ. საქმოსნები და უცხოელები, რომელთაც შეეძლოთ საბაზროსთან მიახლოებული ფასებით საკუთრების შეძენა. თანაც, ხშირ შემთხვევაში, მათ განკარგულებაში არსებული თანხები საეჭვო და უკანონო გზით იყო მოპოვებული.

აღნიშნულთან ერთად, გასათვალისწინებელია წმინდა ეკონომიკური ფაქტორიც - ბაზარზე ქონების დიდი მოცულობით მიწოდება იმ პირობებში, როცა მასზე არასაკმარის მოთხოვნას ჰქონდა ადგილი, აქტივების საგრძნობ გაუფასურებას იწვევდა, რაც, პირველ რიგში, ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიის წარმომადგენელთა

ინტერესებში შედიოდა. ზოგიერთი მკვლევარი, მაგალითად, ლიპტონი და საქსი (Lipton and Sachs, 1990, p. 293-341) შემდეგ პრობლემებზე მიანიშნებს: პრივატიზაციის ამ მეთოდის დანახარჯები საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო; სამამულო კაპიტალის სიმცირის პირობებში დიდი ალბათობა არსებობდა, რომ კომპანიების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელების ხელში გადასულიყო; რიგ შემთხვევებში ღია წესით საწარმოების გაყიდვამდე აუცილებელი ხდებდა მათი რესტრუქტურიზაცია, რომლის განხორციელება პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ძალიან რთული იყო.

ბევრი ნაკლოვანება ახასიათებდა საინვესტიციო ტენდერების ორგანიზაციას, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ პროცესის გაუმჭვირვალეობა. ასევე აღსანიშნავია მრავალრიცხოვანი ადმინისტრაციული პროცედურები და მათგან გამომდინარე გადამეტებული ადმინისტრაციული ჩარევისა და კორუფციის საფრთხე.

პირდაპირი (ღია) გაყიდვის მეთოდი ასევე ფართოდ იქნა გამოყენებული ყოფილ გდრ-ში დასავლეთ გერმანიასთან მისი გაერთიანების შემდეგ. 1990-1994 წლებში გერმანიის მთავრობამ ძალიან სწრაფად, თუმცა კოლოსალური ფინანსური დანახარჯების გზით, მოახერხა 13 000 სახელმწიფო საწარმოს გაყიდვა. შემოსავლების სახით საპრივატიზაციო სააგენტო Treuhand-მა აქედან მიიღო 50 მლრდ აშშ დოლარი, თუმცა ღონისძიებაზე დახარჯა არანაკლებ 243 მლრდ აშშ დოლარისა (Brada J. 1996, p. 67-86). საწარმოები ძირითადად გაიყიდა დასავლეთ გერმანიის კომპანიებზე და პროცესი იყო დახურული.

ქონების პირდაპირი გაყიდვა განსაკუთრებით ფართო მასშტაბის კორუფციასთან იყო დაკავშირებული ბულგარეთში. პრივატიზაციის გზით აქ შეიქმნა ისეთი ძლიერი საფინანსო-სამრეწველო კომპანია, როგორიცაა Multigroup, რომელმაც აქტიური როლი ითამაშა 1996-97 წლების კრიზისის დაწყებაში. საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების წარმოშობა და მათი გავლენის მნიშვნელოვანი ზრდა მიანიშნებდა სახელმწიფო მონოპოლიის კერძო მონოპოლიით ჩანაცვლებაზე.

მთლიანობაში შეიძლება აღინიშნოს, რომ პრივატიზაციამ პირდაპირი გაყიდვის გზით პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში ვერ ჰპოვა ფართო გამოყენება.

რესტიტუცია. ეს არის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს საკუთრების დაბრუნებას ძველი მესაკუთრეებისთვის, ან მათი შთამომავლებისთვის. იგი, უპირველეს ყოვლისა, განიხილებოდა სოციალური სამართლიანობის აღდგენის კონტექსტში. რესტიტუცია ძირითადად გამოყენებული იქნა ბალტიის ქვეყნებში და ყოფილი გდრ-ს ტერიტორიაზე. სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეს მეთოდი გამოიყენეს მხოლოდ სოფლის მეურნეობაში. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ მეთოდით საერთოდ არ უსარგებლიათ. ვფიქრობთ, რესტიტუციის ნაკლებად გამოყენების ფაქტი ობიექტური სირთულეებით იყო განპირობებული. მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიაში რესტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ სასამართლოებმა დაახლოებით 2 მლნ განცხადება მიიღეს მოქალაქეებისაგან საკუთრების დაბრუნების მოთხოვნით. ამან გამოიწვია სასამართლოების საქმიანობის შეფერხება გადატვირთულობის გამო და გადაწყვეტილებების გამოტანის გაჭიანურება, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლიდა საწარმოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. ამ ტექნიკური ხასიათის მიზეზის გარდა, საზოგადოებაში არსებობდა რესტიტუციის მიუღებლობა მორალური პოზიციიდან გამომდინარე. აღინიშნებოდა, რომ კომუნისტურმა რეჟიმმა ყველა ადამიანი დააზარალა და მხოლოდ ადამიანთა ნაწილისათვის ზიანის კომპენსაცია საკუთრების უკან დაბრუნების სახით არ იყო სამართლიანი.

ლიბერალური მიმართულების ეკონომისტები ასევე უარყოფითად აფასებდნენ რესტიტუციას იმის გამო, რომ, მათი აზრით, მუქთი საკუთრება იმ შემთხვევაშიაც კი, როცა მემკვიდრეობითაა მიღებული, სათანადოდ ვერ ფასდება და ეფექტიანად ვერ გამოიყენება.

გაკოტრება და ლიკვიდაცია. პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა გარდამავალ ეკონომიკას წინა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან მემკვიდრეობით ერგო მრავალი არარენტაბელური და ზარალიანი საწარმო, რომელთა ერთობლიობას პროფ. ვ. პაპავამ „ნეკროეკონომიკა“ უწოდა (პაპავა ვ. 2010; Papava V. 2005). მოგვიანებით ამას თან დაერთო სისტემური კრიზისით გამოწვეული ნეკროეკონომიკის სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოება და საწარმოთა გაკოტრება-ლკვიდაციამ ზოგადად ეკონომიკის გაჯანსაღების ფუნქცია შეიძინა. ამ გზით შესაძლებელი გახდა რამდენიმე მიზნის მიღწევა: 1) საბიუჯეტო და საგადასახადო დისციპლინის ამაღლება; 2) იმ ძველი მესაკუთრეებისაგან გათავისუფლება, ვინც

თავი ვერ გაართვა მათ წინაშე მდგომ ამოცანებს; 3) საწარმოთა აქტივების რესტრუქტურიზაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.

გაკოტრების პროცედურის ჩამტარებლები ახორციელებენ საწარმოთა ქონების ობიექტურ ინვენტარიზაციას (აღწერა-შეფასებას). მათ უფლება აქვთ ნაწილებად დაჰყონ წამგებიანი კომპანიის აქტივები და ცალ-ცალკე გაყიდონ ისინი. ამ შემთხვევაში, ახალი მესაკუთრეების ხელში გადადის იურიდიულად „გასუფთავებული“ საწამოები, რომლებიც არ არიან დამძიმებული ფარული ვალებით. გაკოტრებას დაქვემდებარებული საწარმო აუქციონზე გადის და ხდება მათი ძველი ვალების ჩამოწერა. გაკოტრებულ საწარმოებს უკვე აღარ მიეწოდება დოტაციები, რაც გარკვეულად აუმჯობესებს კონკურენტულ გარემოს. ხდება ასევე გამოთავისუფლებული საწარმოო სიმძლავრეების მიყიდვა ეფექტიან მესაკუთრეებზე და მათი ხელახალი გამოყენება. ჩამოთვლილი ნიშნები გაკოტრებას ახასიათებს, როგორც პრივატიზაციის პროგრესულ ფორმას, თუმცა მისი გამოყენება თითქმის არ მომხდარა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. მაგ., პროფ. ვ. პაპავა შენიშნავს, რომ გაკოტრების კანონი არსად ამოქმედებულა იმ ხარისხით, რომელსაც შეეძლო ხელშესახები შედეგების მოტანა (პაპავა ვ. 2010; გვ. 19). იგივეა აღნიშნული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ანგარიშში, სადაც ვკითხულობთ: „მხოლოდ ქვეყნების მცირე ჯგუფი, რომელიც ბაზარზე გასვლის უფრო მაღალ სტადიაზე იმყოფება, იყენებს და ისიც მინიმალური ზომით გაკოტრების პროცედურებს“ (EBRD, Transition Report, 1995, p.85). ერთადერთი გამონაკლისი ქვეყანა, რომელმაც ლიკვიდაცია და გაკოტრება პრივატიზაციის სტრატეგიის მნიშვნელოვან ელემენტად აქცია, იყო ესტონეთი. მკვლევრები ამ ფაქტს პოზიტიურ შეფასებას აძლევენ და ქვეყანაში საბაზრო რეფორმების წარმატებით განხორციელების მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ (Kaufman and Siegelbaum, 1999, p. 428-435).

უდავო უპირატესობის მიუხედავად, რომელიც პრივატიზაციის განხილულ მეთოდს ახასიათებს, მან განსაკუთრებით გავრცელება ვერ ჰპოვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, რაც, პირველ რიგში, შეიძლება აიხსნას ამ ქვეყნებში სასამართლო სისტემის განვითარების არასაკმარისი დონით. აღნიშნულ კონტექსტში გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის

მიერ აქტიურად ხდებოდა გაკოტრება-ლიკვიდაციის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. ამტკიცებდნენ, რომ თუ მოხდებოდა მასობრივი გაკოტრება, უმუშევრობის დონე კატასტროფულად გაიზრდებოდა, საკუთრება კი არაკეთილსინდისიერად და უსამართლოდ გადანაწილდებოდა, კორუფციის მასშტაბები გაიზრდებოდა და ა.შ.

გაკოტრება-ლიკვიდაციის მეთოდის სათანადო შეუფასებლობა და გამოუყენებლობა ბევრი ეკონომისტის მიერ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლოვანებადაა მიჩნეული (Blanchard O. 1997; Brouman H.G. 1997; Brown J.D. and J. S. Earle (2000) და სხვა). (Blanchard O. (1997). The Economics of Transition in Eastern Europe. Oxford: Clarendon Press; Broadman Harry G. ed. (1999). "Russian Enterprise Reform: Policies to Further the Transition. World Bank Discussion Paper no. 400; Brown J. David and John S. Earle (2000). Lesson from Russia. Stockholm Institute of Transition Economics).

პრივატიზაციის ზემოაღნიშნულ მეთოდებთან ერთად შედარებით მოგვიანებით გამოითქვა მოსაზრება კიდევ ერთი მეთოდის გამოყენების შესახებ, რომლის შინაარსი მდგომარეობდა შემდეგში: პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის ეტაპზე, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე განხორციელდა უზარმაზარი მოცულობის ფულის ემისია ფასების ლიბერალიზაციასთან პარალელურ რეჟიმში. ამან გამოიწვია ჰიპერინფლაციის წარმოშობა და მოქალაქეთა დანაზოგების კატასტროფული გაუფასურება. გაჩნდა იდეა, რომ პრივატიზაცია გამოყენებული ყოფილიყო მოსახლეობის ფინანსური დანაკარგების საკომპენსაციოდ. ამ მიზნით მოიაზრებოდა შემნახველ ბანკებში საპრივატიზაციო ანგარიშების გახსნა და მეანაბრეებისთვის საკომპენსაციო სერტიფიკატების დარიგება. სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, რომელთა განხილვა არ წარმოადგენს ჩვენ ამოცანას, ამ იდეის პრაქტიკული რეალიზაცია ვერ მოხერხდა.

მოცემული პარაგრაფის ბოლოს კიდევ ერთ სადისკუსიო საკითხზე შევჩერდებით. პრივატიზაციის საწყის ეტაპზე ფართოდ იყო გავრცელებული მოსაზრება, რომ პრივატიზაციის ტემპებს არა აქვს მნიშვნელობა და მთავარია მისი

ხარისხი (Murrell and Wang, 1993, p. 385-406). აღნიშნულიდან გამომდინარე, კეთდებოდა დასკვნა, რომ უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა პრივატიზაციის სწრაფად დაწყებას და მისი ჩქარი ტემპით ჩატარებას, არამედ ამ პროცესისთვის საფუძვლიან მომზადებას: თავდაპირველად საწარმოების სანაციას და რესტრუქტურიზაციას, პრივატიზაციისთვის ადეკვატური ინფრასტრუქტურის მომზადებას და შემდეგ პროცესის დაწყებას (იხ. Roland, 1993, 1994, 2000). (Roland Gerard (1993). "Political Economy of Restructuring and Privatization in Eastern Europe", European Economic Review 37 (2-3): 533-540; Roland G. (1994). On the Speed and Sequencing of Privatization and Restructuring". Economic journal 104: 1158-1168; Roland G. (2000). "Corporate Governance Systems and Restructuring. Lessons from the Transition Experience; Washington D. C. World Bank Annual Bank Conference on Development Economics, April, 18-20).

საკუთარი შეხედულების დასასაბუთებლად მათ ხშირად მოჰყავდათ ანალოგი დასავლეთის ქვეყნებში განხორციელებული პრივატიზაციისა, რომელიც სწორედ გულისხმობდა საწარმოთა რესტრუქტურიზაცია-სანაციას პრივატიზაციის დაწყებამდე. აღნიშნულ მოსაზრებებს ჩვენ ვერ გავიზიარებთ რამდენიმე მიზეზის გამო. ჯერ ერთი, პრივატიზაციის სწრაფად დაწყების აუცილებლობა განპირობებული იყო არა ვინმეს სუბიექტური სურვილით, არამედ ობიექტური გარემოებებით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა სისტემის არსებობის პერიოდში აქტიურად მიმდინარე ფარული, არალეგალური პრივატიზაცია-„პრიხვატიზაციის" პროცესი. მის შესაჩერებლად აუცილებელი იყო ამ პროცესის ლეგალური პრივატიზაციით ჩანაცვლება; მეორე - არსებობის ბოლო პერიოდში საბჭოთა კავშირი და საბჭოთა ბლოკში შემავალი ზოგიერთი სხვა ქვეყანა განიცდიდა მწვავე ეკონომიკურ კრიზისს, რომელსაც თან დაერთო პოსტკომუნისტური სისტემური კრიზისი. მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა და ამ სიტუაციიდან თავის დაღწევის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად მიჩნეულ იქნა „რაც შეიძლება სწრაფი მოძრაობა საკუთრების ნამდვილი უფლების რეჟიმის შექმნისკენ" (Frydman and Rapaczynski 1994; p.13). მესამე, ჩვენი აზრით, არაკორექტულია დასავლეთის ქვეყნებთან ანალოგიაზე აპელირება, სადაც პრივატიზაციას სრულიად განსხვავებული მიზნები

და ამოცანები ჰქონდა. მისი მთავარი დანიშნულება იყო სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი ფინანსური სახსრების მობილიზაცია, რის გამოც პრივატიზაცია კომერციულ საფუძველზე ხორციელდებოდა, რაც ნიშნავს გასაყიდი საწარმოების გაჯანსაღებისადმი apriori დაქვემდებარებას. ამ გზით მათ ეძლეოდათ მიმზიდველი სასაქონლო ფორმა უფრო მაღალ ფასში გაყიდვის მიზნით.

პოსტკომუნისტური პერიოდის პრივატიზაციის მიზანი გაცილებით ღრმა და მასშტაბური იყო - ეკონომიკური სისტემის საფუძვლის შეცვლა. აღნიშნული კონტექსტით, ვფიქრობთ, სრულიად მისაღებია პროფ. ლ. ბალცეროვიჩის შემდეგი მოსაზრება: „პრივატიზაცია ფირმების რესტრუქტურიზაციის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა. შეხედულება - ჯერ რადიკალური რესტრუქტურიზაცია და შემდგ პრივატიზაცია არის მავნე უაზრობა. პრივატიზაცია არის საწარმოს განვითარების გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, შეუცვლელი გზა, ვიდრე რესტრუქტურიზაცია“ (ბალცეროვიჩი ლ., 2002, გვ. 103).

პრივატიზაციის გადამწყვეტი როლის ყველაზე უტყუარი დადასტურება განვლილი ოცდაათწლიანი გამოცდილებაა, რომელიც მიგვანიშნებს პირდაპირ კავშირზე პრივატიზაციის განხორციელების მაღალ ტემპსა და მის შედეგებს შორის. ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბალტიის ქვეყნებში, სადაც პრივატიზაცია გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე დაიწყო და სწრაფად განხორციელდა, მაღალი შედეგები იქნა მიღწეული. იქ, სადაც პრივატიზაციის დაწყება დაგვიანდა, მაგ., ბელორუსში, უზბეკეთში, თურქმენეთში და ნაწილობრივ აზერბაიჯანში, შედეგები ნაკლებად შთამბეჭდავი აღმოჩნდა და თანაც საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესსაც შეექმნა სერიოზული პრობლემები.

1980-ანი წლების ბოლოდან ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დაიწყო პრივატიზაციის პროცესი, რომლის ანალოგს არ იცნობს მსოფლიო ისტორია. შედარებისთვის მოვიყვანთ შემდეგ მონაცემებს: 1990-2000 წლებში ამ ქვეყნებში პრივატიზებული იქნა 60 000-ზე მეტი საშუალო და დიდი საწარმო, მაშინ, როცა 1980-1991 წლებში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ჯამურად პრივატიზებული იყო ანალოგიური ტიპის დაახლოებით 6 800 საწარმო (John Nellis, 2002, p. 13-22). მხოლოდ 1989 წლიდან 2000-

მდე პერიოდში კერძო სექტორის ხვედრითი წილი პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 10%-დან 80%-მდე გაიზარდა, რაც ეპოქალური მნიშვნელობის ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს.

ამრიგად, საკუთრება ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს. ცივილიზაციის ისტორიაში არსებული ეკონომიკური წესრიგის ფორმები (წყობები) ერთმანეთისგან, პირველ რიგში, იმით განსხვავდებიან, რომ საკუთრების განსხვავებულ ფორმებს ემყარებიან. საკუთრებითი ურთიერთობების მრავალფეროვნებაში კერძო საკუთრება წამყვან როლს თამაშობს. სწორედ მას უკავშირდება საზოგადოების ეკონომიკური პროგრესი და განვითარების გარკვეულ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

კერძო საკუთრება საყოველთაო ხასიათს იძენს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში და მისი განვითარების კვალდაკვალ მუდმივ ცვლილებას განიცდის. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში კლასიკური კერძო საკუთრება მხოლოდ შეზღუდული მასშტაბით არსებობს. დიდი კომპანიები თავიანთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით სააქციო საზოგადოებებს წარმოადგენენ, რომლებშიაც აქციების საკონტროლო პაკეტი ინსტიტუციურ ინვესტორებს - საპენსიო ფონდებს, სადაზღვევო და საინვესტიციო სტრუქტურებს ეკუთვნით. ამ უკანასკნელთა უკან კი მოსახლეობა დგას საკუთარი ფულადი შენატანებით. ადგილი აქვს საკუთრების „გაფანტვას“, „დიფუზიას“, რაც პოსტმოდერნულ კაპიტალიზმს ახალ ელფერს ანიჭებს.

საკუთრების ძირეულმა გარდაქმნამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, რომლის აუცილებლობა ძველი სისტემის ეკონომიკური საფუძვლის - სახელმწიფო საკუთრების ინსტიტუტის შიგნით არსებულმა დაუძლეველმა წინააღმდეგობებმა განაპირობა.

პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ტოტალური სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება პრივატიზაციის გზით განხორციელდა, რომელიც წინასწარ შემუშავებულ სტრატეგიას დაეფუძნა. სტრატეგიაში, სხვა კომპონენტებთან ერთად, პირველ რიგში გამოიყო პრივატიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური

მიზნები. მთავარ ეკონომიკური მიზნად დასახული იქნა სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიის მოსპობა, კერძო საკუთრების დამკვიდრება, საკუთრებით ურთიერთობათა სისტემაში მისი წამყვანი როლის უზრუნველყოფის პირობებში და კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის დაწყება.

ჩატარებული ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ქვეყნების ორი ჯგუფი. ზოგიერთ მათგანში - პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხეთში, ესტონეთში პრივატიზაციის შედეგები ერთმნიშვნელოვნად პოზიტიური იყო: გაიზარდა პრივატიზებული საწარმოების ეფექტიანობა, გაუმჯობესდა კორპორატიული მართვის ხარისხი, მოზიდული იქნა უცხოური კაპიტალი, ნოუ-ჰაუ, თანამედროვე ტექნოლოგიები და ა.შ. შეიქმნა სამართლიანი კონკურენტული გარემო, შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელებული სუბსიდიების მოცულობა, ამაღლდა ფისკალური დისციპლინა. ყოველივე აღნიშნული აისახა ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებაში და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში. პროცესი დაგვირგვინდა ამ ქვეყნების ევროკავშირში სრულუფლებიან წევრებად მიღებით. წარმატების საფუძველს სწორი საპრივატიზაციო პოლიტიკის შემუშავება და თანმიდევრული გატარება წარმოადგენდა.

მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ საპირისპირო სურათსაც. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ბალტიის სამი ქვეყნის გამოკლებით, პრივატიზაციის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების სრულად მიღწევა ვერ მოხერხდა. პირიქით, პრივატიზაცია ამ ქვეყნებში ახალი მწვავე ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წარმოშობის წყარო გახდა: პრივატიზებული საწარმოების დიდი ნაწილი გაკოტრდა იმის გამო, რომ მათ ახალ მესაკუთრეებს არ გააჩნდათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში მართვის რაიმე გამოცდილება; კაპიტალის ბაზარი ვერ განვითარდა და ჩანასახობრივ მდგომარეობაში დარჩა, რის გამოც სააქციო საზოგადოებების სრულფასოვანი ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა; გამწვავდა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, საგრძნობლად დაქვეითდა ეკონომიკური ზრდის ტემპები და გაუარესდა მოსახლეობის ცხოვრების დონე. ამავე დროს, საზოგადოებაში მოხდა მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია და პოლარიზაცია, მკვეთრად იმატა ღარიბი და ღატაკი კატეგორიების ხვედრითმა წილმა, ინტელიგენცია, როგორც საშუალო კლასის სისტემაშემქმნელი ჯგუფი, სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩნდა, ქვეყნების

ეროვნული სიმდიდრის დიდი ნაწილი მითვისებული იქნა ყოფილი პარტიული ნომენკლატურისა და კრიმინალური ცნობიერების ადამიანების ჯგუფების მიერ.

პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განხორციელებული პრივატიზაციის შედარებითი ანალიზი, ჩვენი აზრით, რამდენიმე საინტერესო დასკვნის შესაძლებლობას იძლევა:

1. პრივატიზაცია არის პოსტკომუნისტურ პერიოდში განხორციელებული სისტემური გარდაქმნების არა მიზანი, არამედ მიზნის მიღწევის საშუალება (ინსტრუმენტი);
2. პრივატიზაცია მხოლოდ მაშინ იძლევა სასურველ შედეგებს, თუკი მას წინ უძღვის სერიოზული მოსამზადებელი სამუშაოები;
3. პრივატიზაცია მიმდინარეობს სწრაფად და მიზნად ისახავს არა ცალკეული ადამიანების ან ინტერეს-ჯგუფების გამდიდრებას, არამედ ორიენტირებულია საზოგადოების ფართო მასების კეთილდღეობაზე და ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებზე;
4. პრივატიზაცია სხვა რეფორმატორული ღონისძიებების - ეკონომიკის ლიბერალიზაციის, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სერიოზული ინსტიტუციური გარდაქმნების გარეშე ნაკლებად აღწევს დასახულ მიზნებს;
5. პრივატიზაციის პრობლემიდან გამომდინარე, შესაძლებელია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის „საიდუმლოს ახსნა“ - ქვეყნები, რომლებიც ტრანსფორმაციის საწყის პერიოდში თითქმის თანაბარ პირობებში იმყოფებოდნენ, ამჟამად რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ასე მკვეთრად ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით.

თავი II. პრივატიზაციის პროცესის კანონზომიერებები და მეტამორფოზები საქართველოში

2.1. პრივატიზაციის ეტაპები, მიმართულებები და წინააღმდეგობები

საქართველოში პრივატიზაციის ფართო მასშტაბით დაწყებას წინ უძღოდა გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, რომელთა შორის, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს სამართლებრივი ბაზის მომზადება. ჯერ კიდევ 1991 წლის სექტემბერში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი „საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“. მისგან გამომდინარე, 1992 წლის 11 აგვისტოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დამტკიცდა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას, კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებას, კონკურენტული გარემოს შექმნას, კერძო მეწარმეობის წახალისებას და ა.შ. საბოლოო ანგარიშით,

საკითხი შეეხებოდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებას.

პრივატიზაციის დაწყებამდე მოხდა სახელმწიფო საკუთრების ინვენტარიზაცია, რომელიც არ იყო სრულყოფილი, მაგრამ მისი როლი მაინც მნიშვნელოვანი იყო პრივატზაციის დაწყება-განხორციელების თვალსაზრისით.

პრივატიზაციის **პირველი ეტაპი** დაიწყო 1993 წლის მარტიდან და ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, დამთავრდა 1996 წლის ივლისში. მას შეიძლება პირობითად *„მცირე პრივატიზაცია“* ეწოდოს. პირველი ეტაპის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ძველი სისტემიდან გადმოყოლილი სტრუქტურების დემონტაჟი და ახალი ეკონომიკური ურთიერთობებისთვის საფუძვლის ჩაყრა. იგი განხორციელდა როგორც: ა) საცხოვრებელი ბინების, ბ) ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების მცირე ობიექტების განკერძოება და გ) მასობრივი ვაუჩერიზაცია. ამ ეტაპზე ასევე მოხდა მცირე ჰესების პრივატიზაცია. სულ გაიყიდა 14 ჰესი, რომელთა საერთო სიმძლავრე შეადგენდა მთელი ენერგოსისტემის ჯამური სიმძლავრის 2%-ს, გამომუშავებული ენერგიის 1,85%-ს, ძირითადი კაპიტალის ღირებულების 1%-ს (ჩომახიძე დ., 2003, გვ. 347).

საცხოვრებელი ბინები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის მფლობელობაში იმყოფებოდა, მის საკუთრებაში გადავიდა. დაიწყო მიწების განსახელმწიფოების პროცესი, რომელსაც დაწვრილებით განვიხილავთ ნაშრომის მომდევნო პარაგრაფში.

პრივატიზაციის პირველ ეტაპს უკავშირდება საბანკო სფეროში დაწყებული პროცესი. იგულისხმება სამსაფეხურიანი საბანკო სისტემიდან (ეროვნული ბანკი - სახელმწიფო კომერციული ბანკები, კომერციული ბანკები) ორსაფეხურიან სისტემაზე გადასვლა (ეროვნული ბანკი - კომერციული ბანკები). 1995 წელს გაერთიანდა რამდენიმე სახელმწიფო კომერციული ბანკი - ყოფილი „მშენბანკი“, ანუ „ინდუსტრიაბანკი“, „საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ბანკი“, ანუ „ექსიმბანკი“ და საპაიო კომერციული „შებანკი“, ანუ იმჟამად „ახალი ქართული ბანკი“. ამ გაერთიანების შედეგად შეიქმნა კომერციული ბანკი სახელწოდებით „გაერთიანებული ქართული ბანკი“ (გქბ), რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 6

მლნ აშშ დოლარს. (მექვაბიშვილი ე., 2019, გვ. 23). ბანკი რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 19 მაისს. იგი შეიქმნა სააქციო საზოგადოების ფორმით, თუმცა საწყის ეტაპზე აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოს ხელში რჩებოდა. მოგვიანებით ეს აქციები დახურულ აუქციონზე გაიყიდა. პირველ ეტაპზე პრინციპულად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საწარმოს შესახებ კანონის მიღება (1994), რომელმაც განსაზღვრა მეწარმე ეკონომიკური სუბიექტების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. მცირე პრივატიზაცია ხორციელდებოდა შემდეგი ფორმებით: *კონკურსით* გაიყიდა მთელი პრივატიზებული ობიექტების 27%, *ლიკვიდაციით* - 15%, *იჯარა-გამოსყიდვით* - 1%, *პირდაპირი მიყიდვით* - 28%, *აუქციონით* - 29% (საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის საკითხები. თბ., 1996, გვ. 25).

1993 წლის გაზაფხულზე რუსეთიდან საბოლოოდ შეწყდა საქართველოში ფულადი ნიშნების შემოდინება და მათ ჩასანაცვლებლად შემოღებული იქნა დროებითი ფულის სუროგატი - კუპონი. მწვავე ეკონომიკური კრიზისის გამო, კუპონი სწრაფ გაუფასურებას განიცდიდა. მაგალითად, 1994 წლის შემოდგომისთვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად 2.5 მლნ კუპონი ღირდა, ხოლო საბაზრო გაცვლითი კურსი 5.4 მლნ კუპონს აღწევდა (პაპავა ვ. 2015, გვ. 51). კუპონი მიმოიქცეოდა 1995 წლის 2 ოქტომბრამდე, ანუ ლარის შემოღებამდე. ეს ნიშნავს, რომ პრივატიზაციის პირველი ეტაპი, განსაკუთრებით „მცირე პრივატიზაცია," კუპონებით განხორციელდა, რაც რეალური ღირებულების ქონების ფარატინა ქაღალდზე გაცვლას წარმოადგენდა. ეროვნული ბანკიდან იმ პერიოდში ე.წ. „ჰაერის კრედიტების" მასობრივ გამოტანის წახალისებასთან ერთად, კუპონებით პრივატიზაცია მაშინდელი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ სერიოზულ შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

მიმოქცევაში ლარის შემოღებას დაემთხვა *ვაუჩერიზაციის* პროცესის დაწყება. მის მიზანს წარმოადგენდა ახალ პირობებში: პირველი - საზოგადოების ყველა წევრის მეტ-ნაკლებად თანაბარ სასტარტო მდგომარეობაში ჩაყენება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ თითოეულ მათგანს გარკვეული წილი ჰქონდა შეტანილი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის შექმნაში და, მეორე - სოციალური სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო

უახლესი სოციალისტური წარსულის გამოცდილება, რომელიც სოციალური თანასწორობის შედარებით მაღალი ხარისხით ხასიათდებოდა.

ვაუჩერების დარიგება საქართველოში დაიწყეს 1995 წლის 1 თებერვლიდან, ხოლო 1995 წლის 26 ივნისს ჩატარდა პირველი სპეციალიზებული აუქციონი, რომლის ობიექტი იყო განსაკუთრებული ხასიათის ფასიანი ქაღალდი - საპრივატიზაციო ბარათი, ანუ ვაუჩერი. მისი გამოყენების ბოლო ვადად განისაზღვრა 1996 წლის ოქტომბერი. ვაუჩერის ნომინალური ღირებულება შეადგენდა 30 აშშ დოლარს. მოსახლეობას სულ გადაეცა 140 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 4,264,541 ვაუჩერი. ამ პროცესმა მოიცვა ქვეყნის მთელი მოსახლეობის 83,6%. სხვადასხვა მიზეზის გამო ვაუჩერი ვერ მიიღო მოსახლეობის 16,4%-მა. რა ბედი ეწია ვაუჩერების ამ ნაწილს, დღემდე გაურკვეველია. პროცესი სწრაფად წარიმართა და დასრულდა 1996 წლის 1 ივლისისათვის.

ვაუჩერიზაცია, როგორც ცნობილია, პირველად ჩეხეთში განხორციელდა და წარმოადგენდა პრივატიზაციის ძირითად მეთოდს. შეზღუდული მასშტაბით ვაუჩერიზაციას ადგილი ჰქონდა სხვა პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. საქართველოში განხორციელებული ვაუჩერიზაცია გარკვეულად განსხვავდებოდა სხვა ქვეყნების ანალოგიური პროცესისგან. კერძოდ, ჩვენთან დაშვებული იყო ბენეფიციარის მიერ ვაუჩერის თავისუფალი გაყიდვა, როგორც კანონიერი მოქმედება. ქვეყნების უმრავლესობაში ვაუჩერების რეალიზება ნებადართული იყო მხოლოდ სპეციალიზებული ფონდების მეშვეობით. შესაბამისად, ქართულ ეკონომიკურ რეალობაში დამკვიდრებულ პრაქტიკას ჰქონდა როგორც დადებთი, ისე უარყოფითი მხარეები. დადებითი იყო ვაუჩერის უკანონო შავი ბაზრის ჩამოყალიბების თავიდან აცილება და აქციების მფლობელების წინაშე მდგარი არჩევანის ფართო შესაძლებლობა. უარყოფითი კი იყო ის, რომ ვერ ჩამოყალიბდა საბარათე-საინვესტიციო ფონდები, რომლებიც შემდეგ უნდა გარდაქმნილიყვნენ ქმედით საინვესტიციო სტრუქტურებად და ხელი შეეწყოთ ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებისათვის.

ქვეყანაში განვითარებული ჰიპერინფლაციის გამო, რომელიც სხვადასხვა ობიექტურმა და სუბიექტურმა ფაქტორებმა განაპირობა, მალე ვაუჩერების საბაზრო

ღირებულება 4-5 ლარამდე დაეცა. მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა გაყიდა კუთვნილი ვაუჩერები და მათი მასობრივი შესყიდვა მოხდა გამდიდრებული ახალი ქართველების მცირე ჯგუფის მიერ. ასე, რომ ვაუჩერიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი - სოციალური სამართლიანობის პრინციპის უზრუნველყოფა ვერ იქნა მიღწეული, რასაც თავისი ობიექტური მიზეზი ჰქონდა - მოხდა ვაუჩერიზაციისა და აქციონირების პროცესების დროში ერთმანეთისგან აცდენა. ვაუჩერების გაყიდვა ძალიან სწრაფად განხორციელდა, აქციონირება კი ობიექტურად დიდ დროს მოითხოვდა.

იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ვაუჩერიზაციის პროცესი არც თუ ისე წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება თანამედროვე პრივატიზაციის პროცესში ვაუჩერის, როგორც „საპრივატიზაციო ფულის“ გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ. ეს იდეა ცნობილია „საბიუჯეტო ვაუჩერული პრივატიზაციის (სვპ)“ სახელწოდებით. (ჩხაიძე ი., ტორონჯაძე თ. 2003). იდეის არსი მდგომარეობს სვპ-ს გზით საფონდო რესურსის კაპიტალიზაციის გაზრდაში, საფონდო ბაზრის „გაცოცხლებაში“ და იმ პრობლემის მოგვარებაში, როცა „თითოეული ჩვენთაგანის კერძო საკუთრებაში არსებულ ძირითად ქონებას გამოცლილი აქვს კუთვნილი საბაზრო ფასი. დეკაპიტალიზებულია. ქონება გვაქვს, სიმდიდრე - არა.“ (ჩხაიძე ი. 2015, გვ. 102).

პრივატიზაციის პირველ ეტაპზე გაწეულმა სამუშაომ, როგორც პოზიტიურმა, ისე ნეგატიურმა გამოცდილებამ შესაძლებელი გახადა პრივატიზაციის **მეორე ეტაპზე** გადასვლა, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1997-2003 წლებს და მას „*მასობრივი პრივატიზაციის“* პერიოდი შეიძლება ეწოდოს. პროცესმა მცირე საწარმოებთან ერთად მოიცვა დიდი საწარმოების პრივატიზაცია. ამ პერიოდში, პრივატიზაციის გარდა, დღის წესრიგში იდგა შემდეგი ამოცანები:

- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- სახელმწიფოს განკარგულებაში დარჩენილი ქონების ეფექტიანი მართვა;
- ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზაცია;
- ინსტიტუციური გარდაქმნების მხარდაჭერა;

- ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კერძო სექტორის და კერძო მეწარმეთა წახალისება და სხვ.

მეორე ეტაპზე განხორციელდა შემდეგი ობიექტების პრივატიზაცია:

- სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ობიექტები;
- მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო მეურნეობებისა და გადამამუშავებელი საწარმოები;
- კომუნალური მეურნეობების, საწარმოების, წყალთა მეურნეობის და მელიორაციის სისტემის ობიექტები;
- სოციალური, ჯანდაცვის, სპორტული და ტურისტული ობიექტები;
- სამეცნიერო - კვლევითი და საპროექტო - საკონსტრუქტორო ორგანიზაციები;
- გაკოტრებას დაქვემდებარებული, ქრონიკულად არარენტაბელური (სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების გარდა) და ვალაუვალი სახელმწიფო (სახაზინო) საკუთრების საწარმოები;
- საქართველოს სამინისტროების, უწყებების და მართვის ადგილობრივი ორგანოების სახელმწიფო ქონება.

დიდი საწარმოების პრივატიზება განხორციელდა აქციონირების გზით. საქართველოში გამოყენებული აქციონირების წესი განსხვავდებდა ჩამოყალიბებული და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აქციონირების პრაქტიკისაგან. პირველი, ჩვენთან იგი განხორციელდა „ზევიდან“, ანუ ერთიანი კაპიტალი დაიყო აქციებად. სხვა ქვეყნებში აქციონირება მიმდინარეოდა „ქვევიდან ზევით“, ანუ ერთიანი სააქციო კაპიტალი იქმნებოდა ცალკეული აქციონერების კაპიტალთა გაერთიანების გზით. მეორე, საქართველოში აქციონირება წარმოადგენდა პრივატიზაციის შედეგს, უცხოეთის ქვეყნებში კი იგი იყო წარმოების განვითარების (წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის) შედეგი. პრივატიზაციის გზით საქართველოში გაჩნდა 500 ათასამდე აქციონერი, თუმცა აქციები საფონდო ბირჟებზე არ იყიდებოდა. შესაბამისად, არავინ იცოდა მათი რეალური (საბაზრო) ფასი. სააქციო საზოგადოებებისა და აქციონერთა რაოდენობრივი მაჩვენებლით საქართველო უსწრებდა ბევრ განვითარებულ ქვეყანას, თუმცა ეს არ იყო ვალიდური მაჩვენებელი. დროთა განმავლობაში სააქციო

საზოგადოებები მუდმვად კარგავდნენ თავიანთ წარმოებრივ პოტენციალს ძირითადი ფონდების ცვეთის გამო. დაბალი იყო მათი საინვესტიციო და საინოვაციო პოტენციალი. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი არც კი ცდილობდა საფონდო ბაზრებზე გასვლას. გაუმართლებელი აღმოჩნდა მათ მიმართ კონსერვაციის რეჟიმის გამოყენება და ამორტიზაციის ანარიცხებიდან გათავისუფლება. ამ შემთხვევაში, ალბათ უკეთესი იქნებოდა გაკოტრების კანონის ამოქმედება.

ხშირ შემთხვევაში აქციათა საკონტროლო პაკეტების მფლობელები არც კი ცდილობდნენ მათ განკარგულებაში არსებული საწარმოების სანაციას და ამუშავებას. მათი მოგების ძირითად წყაროდ იქცა ამ საწარმოების ტექნიკური აღჭურვილობის, მათ შორის ძვირადღირებული მოწყობილობის დემონტაჟი და საზღვარგარეთ ჯართად გაყიდვა. მაგ., 1995 წელს გაიყიდა 2,4 მლნ აშშ დოლარის, 1996 წელს - 1,6 მლნ აშშ დოლარის, 1997 წელს - 1,8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ჯართი. აღნიშნული პროცესი გაგრძელდა და კიდევ უფრო გაძლიერდა მომდევნო წლებში. კერძოდ, 1999 წელს გაიყიდა 25,5 მლნ აშშ დოლარის, ხოლო 2000 წელს - 54,8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ჯართი. სულ 1995-2001 წლებში საქართველოდან საზღვარგარეთ გაიყიდა 142,7 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ჯართი. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე ჯართი წარმოადგენდა საქართველოს უმთავრეს სასაქონლო-საექსპორტო ჯგუფს (საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, 2002, გვ. 38)

პრივატიზაციის მეორე ეტაპზე მნივნელოვანი იყო ე.წ. „ნულვანი აუქციონების“ მოწყობა, რომლის შედეგადაც ბიუჯეტში შევიდა 26 მლნ ლარი. 1997 წლის ჩათვლით სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 336,6 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. 1996 წელს კერძო სექტორი აწარმოებდა მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) 74%-ს. აქციზისა და იმპორტის გადასახადის გარეშე მოკრებილ გადასახადებში 78% მოდიოდა კერძო სექტორზე, ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში გაჩნდა 400 ათასზე მეტი მესაკუთრე (ჭითანავა ნ. 1997, გვ. 130). ყოველივე აღნიშნული შეიძლება შეფასდეს პრივატიზაციის პირველი და მეორე ეტაპების კანონზომიერ

შედეგად. მრავალი ნაკლოვანებისა და ხარვეზის მიუხედავად, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთი ავტორის მიერ პრივატიზაციის უკიდურესად ნეგატიურ შეფასებას .*

პრივატიზაციის პირველი და მეორე ეტაპებისათვის დამახასიათებელი ხარვეზების ანალიზი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წმინდა შემეცნებითი, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც: პრივატიზაციის პროცესი საქართველოში ჯერ არ დამთავრებულა. შესაბამისად, წინა პერიოდში დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გაცნობიერება-გათვალისწინება აუცილებელია საპრივატიზაციო პოლიტიკის სწორად წარმართვისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მოვახდინეთ იმ პრობლემების იდენტიფიკაცია და სისტემატიზაცია, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში პრივატიზაციის პროცესში.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა საპრივატიზაციო ქონების შეფასების იმდროინდელ წესში არსებული ხარვეზები. ქონების შეფასება ხდებოდა არა რეალური (საბაზრო), არამედ საბალანსო ღირებულების საფუძველზე. ამასთანავე, საპრივატიზაციო საწარმოების ქონების ინვენტარიზაციასა და გადაფასებას ახორციელებდა არა დამოუკიდებელი სტრუქტურა, არამედ ამ საწარმოების მენეჯმენტი, რომელიც, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო გასაყიდი ქონების ღირებულების შემცირებით. შეფასებისას ძირითადად ეყრდნობოდნენ საწარმოებში არსებული საბუღალტრო აღრიცხვის მასალებს, რომლებშიაც არასწორად იყო დაფიქსირებული ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულება, არ იყო შეტანილი კაპიტალურ რემონტზე გაწეული დანახარჯები და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად, როგორც პროფ. ი არჩვაძე მიუთითებს, საპრივატიზაციო ქონების ღირებულება 20 მლრდ აშშ დოლარით იყო შემცირებული (არჩვაძე ი., 2000, გვ.15).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საპრივატიზაციო ქონების ღირებულების ასეთი შემცირება არ იყო გამოწვეული მხოლოდ სუბიექტური ფაქტორით - ქონების იაფად და, ხშირ შემთხვევაში, მუქთად ხელში ჩაგდების

---

* *პროფ. რ. ასათიანი აღნიშნავდა: „მასობრივი პრივატიზაცია (ვაუჩერიზაცია) მხოლოდ დაცინვა იყო საზოგადოების მიმართ... ის არაცივილიზებული ფორმა კაპიტალიზმისა, რომელიც შეიქმნა საქართველოში, არასწორად გატარებული პრივატიზაციის შედეგია, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი ეკონომიკის შექმნას, ეკონომიკურ ზრდასა და დემოკრატიის განვითარებას.“(ასათიანი რ., 2017, გვ. 393-394).*

სურვილით. „მუშაობდა“ ობიექტური ფაქტორიც, რომელიც გამოიხატებოდა ჯერ კიდევ ჩანასახობრივ მდგომარეობაში მყოფ ბაზარზე, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ უზარმაზარი ქონების მიწოდებით, მეორე მხრივ კი - მოსახლეობის მხრიდან უკიდურესად დაბალი გადახდისუნარინი მოთხოვნით. ამასთანავე, მოთხოვნის შექმნაში არ მონაწილეობდა უცხოური კაპიტალი, ვინაიდან უცხოელი ინვესტორები ერიდებოდნენ გაურკვეველ და არასტაბილურ გარემოში სერიოზული ფინანსური სახსრების დაბანდებას. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ სახელმწიფო იძულებული იყო მის განკარგულებაში არსებული ძვირადღირებული ქონება სხვადასხვა ფორმით გადაეცა კერძო პირებისათვის. შეზღუდული იყო გადაფასებას დაქვემდებარებული ობიექტების წრე. მისგან გამოირიცხებოდა: სამეურნეო დაქვედებარებასა და ოპერატიულ მმართველობაში არსებული ობიექტები; სახელშეკრულებო იჯარის საფუძველზე გამოსყიდვის უფლებით გადაცემული, მაგრამ ჯერ კიდევ შეუსყიდავი შენობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.; მოქმედი და კონსერვაციის რეჟიმში გადაყვანილი, მაგრამ დადგენილი წესით ჩამოუწერავი ობიექტები; შეძენილი და დასადგამად გამზადებული მოწყობილობები. აღნიშნულმა ხარვეზებმა გამოიწვია საამორტიზაციო ანარიცხების, გამოსასყიდი თანხებისა და საჯარო გადასახადების სიდიდეთა დამახინჯება.

სერიოზული ხარვეზები იყო დამახასიათებელი სახელმწიფო ქონების გასხვისების პროცედურებისათვის. პრივატიზაციის დროს გასაყიდი ქონების ფასი, როგორც ცნობილია, დგინდება საკონკურსო საფუძველზე. კონკურსის, აუქციონის, იჯარა-გამოსყიდვის ფორმით მეორეჯერ გამოტანლი სახელმწიფო ქონების ფასი 50%-ით მცირდებოდა, რის გამოც ხშირად ადგილი ჰქონდა ქონების გაყიდვის ხელოვნურად გადავადებას. დამალული იყო ინფორმაცია საპრივატიზაციო ობიექტების და პრივატიზაციის პირობების შესახებ. მწირი ინფორმაცია ქვეყნდებოდა მხოლოდ ქონების მართვის სამინისტროს ცნობარში, რაც არ იყო ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის. ამიტომ პრივატიზაციის პროცესში უპირატესად მონაწილეობდნენ საპრივატიზაციო ობიექტის ხელმძღვანელები, პოტენციურ მყიდველთა შეზღუდული წრე და ე.წ. „ცრუმაგიერი“ პირები. ხშირი იყო მათ შორის უკანონო გარიგებების გაფორმება.

გავრცელებული იყო სახელმწიფო საწარმოების რთულ ფინანსურ პრობლემებამდე განგებ მიყვანის პრაქტიკა, რომლის შემდეგაც ხდებოდა მათი ქონების მნიშვნელოვნად შემცირებულ ფასებში შესყიდვა. ცალკეულ შემთხვევაში გაკოტრების პროცედურის ქვეშ ექცეოდა ფინანსურად ჯანსაღი საწარმოებიც. გაკოტრების პროცესის ინიცირებას, როგორც წესი, ახდენდნენ ცრუ კრედიტორები, რომლებიც ხელოვნურად წარმოქმნილი ვალის შესყიდვით ამყარებდნენ კონტროლს საწარმოებზე. იქნებოდა ფიქციური სააქციო საზოგადოებები ან ფორმდებოდა ყალბი ხელშეკრულებები საპრივატიზაციო საწაროების კოლექტივებთან უკანონო შეღავათებისა და უპირატესობის მიღების მიზნით. წარმოიქმნებოდა კომერციული სტრუქტურები, სადაც თავს იყრიდა საწარმოთა საბრუნავი სახსრები, რომლებიც შემდეგ გამოიყენებოდა კონკურსებზე და აუქციონებზე ობიექტების შესაძენად.

ნაკლოვანებად ასევე უნდა ჩაითვალოს პრივატიზაციიდან მიღებული თანხების გამოყენების წესში ცვლილების შეტანა. „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კანონის“ შესაბამისად, პრივატიზაციიდან მიღებული სახსრები უნდა მოხმარებოდა:

ა) მცირე ბიზნესის განვითარების საჭიროებას;

ბ) წარმოების სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დაფინანსებას;

გ) პრივატიზაციაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

ამის საწინააღმდეგოდ, 1994 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება პრივატიზაციიდან შემოსული სახსრებით ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარად გამოყენების შესახებ, რომელიც დასაბუთებული იყო ქვეყანაში შექმნილი უკიდურესად მძიმე ეკონომიკური ვითარებით. შედეგად მივიღეთ ის, რომ პრივატიზებული საწარმოები უაღრესად მძიმე ფინანსურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, რამაც მათი მასობრივი გაკოტრება გამოიწვია და გამორიცხა მათ მიმართ სერიოზული ინვესტორების მხრიდან ყოველგვარი დაინტერესების შესაძლებლობა.

პრივატიზაციის ***მესამე ეტაპი*** 2004 წლიდან 2013 წლამდე პერიოდს მოიცავს და ცნობილია *„აგრესიული პრივატიზაციის“* სახელწოდებით (გუჯარაიძე ნ., 2010). პრივატიზაციის ორგანიზციული უზრუნველყოფა დაევალა ეკონომიკის და

მდგრადი განვითარების სამინისტროს, მისი სტრუქტურული ერთეულის - პრივატიზაციის დეპარტამენტის სახით. 2003 წელს აღნიშნულმა სამინისტრომ გამოაქვეყნა 2004-2006 წლებში საპრივატიზაციო 372 ობიექტის ჩამონათვალი, რომელშიაც შევიდა ქვეყნისთვის ისეთი სტრატეგიული ობიექტები, როგორც იყო „თბილავიამშენი“, „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, „ჭიათურმანგანუმი“, „აზოტი“, „საქართველოს ელექტროკავშირი“, „საქართველოს ტელეკომი“, „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“, „ფოთის პორტი“, ენერგო და კავშირგაბმულობის ობიექტები და სხვ. აქვე აღინიშნა, რომ ქონების მართვის დეპარტამენტი მოამზადებდა სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ნუსხას, რომელთა პრივატიზება კანონით აიკრძალებოდა, რაც არ გაკეთებულა. როგორც შემდგომში მოვლენათა განვითარებამ აჩვენა, ეს შემთხვევით არ მომხდარა. საქმე იმაშია, რომ ეკონომიკისა დ მდგრადი განვითარების იმდროინდელი მინისტრი საერთოდ არ აღიარებდა „სტრატეგიული ობიექტის“ ცნებას და მიიჩნევდა, რომ არსებობს არა „სტრატეგიული ობიექტი“, არამედ „სტრატეგიული საქონელი“. „რა არის სტრატეგიული ობიექტი“? - კითხულობდა მინისტრი კ. ბენდუქიძე და თვითონვე პასუხობდა ამ კითხვას: „ეკონომიკური თვალსაზრისით, სტრატეგიულობა თავისთავად არაფრისმეტყველია“ (გაზეთი „ახალი თაობა“, 2005).

ჩვენ ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას. ჯერ ერთი, თუკი შემოთავაზებულ ლოგიკას გავყვებით, არც „სტრატეგიული საქონლის“ ცნება არსებობს ეკონომიკურ მეცნიერებაში და, მეორე, როცა საკითხი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას ეხება, მხოლოდ ეკონომიკური კატეგორიებით აპელირება დაუშვებელია.

პრივატიზაციის განმახორციელებელი ინსტიტუციის პირველი პირის ასეთმა ლიბერტარიანულმა შეხედულებებმა, ბუნებრივია, დაღი დაასვა მთელ პროცესს, რისიც საკმაოდ ბევრი მაგალითი არსებობს.

2005 წელს ოქროსა და სპილენძის გადამამუშავებელი საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტი შეიძინა რუსული ჰოლდინგის „პრომიშლენიე ინვესტორი“-ს მიერ დაფუძნებულმა კომპანიამ „სტეტონ ექვიტიზმა“. იმავე 2005 წელს „გაერთიანებული ქართული ბანკის“ აქციების საკონტროლო პაკეტი გადავიდა

რუსული ვთბ ბანკის ხელში, რომლის 99%-ს რუსეთის მთავრობა ფლობს. 2006 წელს საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა რუსეთის გიგანტ სახელმწიფო კომპანია „გაზპრომთან“ მოლაპარაკების დაწყებაზე მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვის შესახებ. ქართული მხარე სავარაუდო გასაყიდ ფასსაც ასახელებდა - 300 მლნ აშშ დოლარი. ამ ფასში მაგისტრალურ გაზსადენთან ერთად შედიოდა რუსთავის აზოტის ქარხანა, „თბილსრესის“ მესამე და მერვე ენერგობლოკები. გარიგება არ შედგა აშშ-ს მხრიდან აქტიური ჩარევის შედეგად, რომელმაც მიიჩნია, რომ „საქართველომ არ უნდა გაყიდოს ეს ობიექტები, ვინაიდან ამით შეიძლება საქართველოს სტრატეგიული ინტერესები შეილახოს“. (პაპავა ვ., 2015, გვ. 112-113). აშშ-ს მთავრობამ მაგისტრალური გაზსადენის გასარემონტებლად 50 მლნ აშშ დოლარიც გამოყო, ვინაიდან საქართველოს ამის გაკეთება არ შეეძლო.

რუსული სახელმწიფო კაპიტალის მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი დაფიქსირდა საქართველოს რკინიგზის მიმართ, რასაც შემდეგი გარემოება განაპირობებდა: რუსეთმა მანამდე შეისყიდა სომხეთის რკინიგზა და უწოდა მას „სამხრეთ-კავკასიის რკინიგზა“. ბუნებრივია, ეს სახელწოდება რაციონალურ აზრს იყო მოკლებული საქართველოს რკინიგზის ხელში ჩაგდების გარეშე. ჩვენი მაშინდელი მთავრობა ფარულ მოლპარაკებას აწარმოებდა რუსეთთან ამ საკითხთან დაკავშირებით. ეს გარიგება არ შემდგარა ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, თუმცა თავად მოლაპარაკების ფაქტი, ვფიქრობთ, ჩვენი მხრიდან შეცდომა იყო. საქართველოს რკინიგზის გადასვლა რუსეთის ხელში ნიშნავდა კავკასიაში და არა მხოლოდ აქ რუსეთის გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესების გაძლიერებისათვის პირდაპირ ხელის შეწყობას.

პრივატიზაციის მესამე ეტაპზე ფართოდ მოიკიდა ფეხი სახელმწიფო ქონების გაუმჭვირვალე გასხვისების პრაქტიკამ, რომელიც სერიოზული დარღვევებით მიმდინარეობდა. კერძოდ, სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორებს შორის გაფორმებულ კონტრაქტებში წინასწარ შეთანხმებულზე ნაკლები თანხები ფიქსირდებოდა. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჩეხურ ენერგოკომპანია „ენერგო-პრო“-სთან გაფორმებული კონტრაქტი. კომპანიამ განაცხადი გააკეთა საქართველოს ენერგეტიკული ობიექტების 325 მლნ აშშ დოლარად შესყიდვაზე, რეალურად კი 72 მლნ აშშ დოლარი გადაიხადა. არც თუ იშვიათი იყო შემთხვევა, როცა გამოცხადებულ

ტენდერებში იმარჯვებდნენ საეჭვო წარმოშობის კაპიტალით უშუალოდ პრივატიზაციის წინ დაფუძნებული ფირმები.

პრივატიზაციის პროცესში წინა პლანზე იყო წამოწეული მსხვილი კაპიტალის ინტერესები. ამას ადასტურებს 2008 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც აქციონერებს ავალდებულებდა თავიანთი აქციების მიყიდვას მსხვილი აქციონერებისთვის. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მსხვილი აქციონერების ინტერესების სასარგებლოდ და მათი კარნახით მიმდინარეობდა. მათ თითქმის ყველგან მოახერხეს პროცესისგან წვრილი აქციონერების გამოდევნა და სააქციო საზოგადოებების საკონტროლო პაკეტების ხელში ჩაგდება.

აღსანიშნავია ასევე პრივატიზაციის ფორმების უკიდურესად შეზღუდული გამოყენება. ფაქტობრივად გამოიყენებოდა მხოლოდ ერთი ფორმა - ობიექტების აუქციონზე გაყიდვა, რასაც ხსნიდნენ ბიუჯეტში მაქსიმალური შემოსავლების მიღების ინტერესით. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს. სახელმწიფო ქონების გაყიდვის პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტის წარმომდგენ პოტენციურ მყიდველს, ანუ უპირატესობა უნდა მიენიჭოს არა მეტი ფულის ერთჯერად ამოღებას, არამედ ობიექტის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას, ვინაიდან ეს საბოლოო ანგარიშით ნიშნავს მეტი მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, მეტი ადამიანის დასაქმებას, მეტ შემოსავლებს და ა.შ.

პრივატიზაციის მესამე ეტაპზე მოხდა რამდენიმე არასწორი ორგანიზაციული შინაარსის გადაწყვეტილების მიღება. მაგალითად, 2003 წლის 11 ივნისს გაუქმდა ქონების მართვის სამინისტრო და მის ნაცვლად ჩამოყალიბდა ორი სტრუქტურული ერთეული - საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საწარმოთა მართვის სააგენტო“ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში - „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დეპარტამენტი“. პირველის ფუნქციად განისაზღვრა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ქონების მართვა, მეორის - სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია.

საწარმოთა მართვის სააგენტოს ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ორი არგუმენტი: პირველი - სახელმწიფო საწარმოების მართვის ეფექტიანობის ამაღლება და, მეორე - სამინისტროებისაგან დამოუკიდებლად საწარმოების მართვა. ამ გზით

საბოლოოდ უნდა გამქრალიყო ეკონომიკის მართვის დარგობრივი პრინციპი, რომელიც წინა სისტემიდან მიღებულ მემკვიდრეობად ითვლებოდა. საწარმოებში შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ საწარმოთა მართვის სააგენტოს წინაშე. სინამდვილეში სამეთვალყურეო საბჭოები გადაიქცნენ საწარმოების ფაქტობრივ ბატონ-პატრონებად. ფაქტობრივად, ამ რეორგანიზაციამ არ გაამართლა, რის გამოც საწარმოთა მართვის სააგენტოსა და ეკონომიკის სამინისტროს შეთანხმების საფუძველზე 2006 წლის 1 იანვრიდან სამეთვალეყურეო საბჭოები გაუქმდა.

პრივატიზაციის მოცემულ ეტაპზე ფართო გავრცელება ჰპოვა მანამდე უცნობმა ისეთმა მოვლენამ, როგორიც იყო *დეპრივატიზაცია.* იგი პირდაპირ იყო მიმართული კერძო საკუთრების ინსტიტუტის წინააღმდეგ და უხეშად არღვევდა საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირებულ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპს. 2012 წლის ოქტომბერში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ საქართველოს პროკურატურაში შევიდა უამრავი განცხადება, სადაც მოქალაქეები ითხოვდნენ, მათი აზრით, უკანონოდ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებას.

ამრიგად, პრივატიზაციის მესამე ეტაპი შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს ამ პროცესიდან სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების შედინების თვალსაზრისით, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებით. მოგვყავს ცხრილი, რომელიც გვიჩვენებს პრივატიზაციის დაწყებიდან მესამე პერიოდის ჩათვლით პრივატიზებული საწარმოებისა და პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლების დინამიკას (ცხრილი 1).

პრივატიზებული საწარმოებისა და პრივატიზებიდან შემოსული თანხების დინამიკა 1993-2011 წ.წ.
ცხრილი 1

წლების მაჩვენებლები	**პრივატიზებული საწაროები (ერთეული)**	**შემოსავლები პრივატიზებიდან (მლნ ლარი)**
1993	1395	25.0
1994	1924	60.0
1995	4975	164.2
1996	2390	30.3
1997	1568	25.9

1998	1972	73.3
1999	1992	52.7
2000	1009	12.8
2001	661	5.6
2002	673	24.7
2003	761	23.6
2004	267	72.7
2005	776	419.4
2006	156	561.6
2007	363	573.8
2008	125	47.0
2009	157	49.0
2010	263	107.0
2011	1267	190.0
1993-2011	22194	25178

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამისი წლების მონაცემები.

2013 წლიდან დაიწყო პრივატიზაციის ***მეოთხე ეტაპი,*** რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ *„ფრაგმენტული“ და „დუნე“* პრივატიზაცია, თუმცა უკვე გამოიკვეთა არსებული ტენდენციის მკვეთრი შეცვლის კონტური. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმ საწარმოთა რეფორმირების შესახებ, რომლებშიაც 100%-იან წილს სახელმწიფო ფლობს. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით. ვფიქრობთ, ეს საკითხი დიდი ხანია მომწიფდა, თუმცა გადაწყვეტილების მიღება არსებითად დააჩქარა კორონავირუსის პანდემიამ. საქართველოს, ისე, როგორც სხვა ქვეყნების ეკონომიკა, „მედიცინის მძევლად“ იქცა (პაპავა ვ., 2020, გვ. 14), რაც ღრმა ეკონომიკურ კრიზისში გამოიხატა (შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი 2008 წელს 3,7%-ით შემცირდა, კორონომიკური კრიზისის გავლენით კი მსპ-ს კლებამ 2020 წელს 6, 1% შეადგინა). პანდემიამ განსაკუთრებით უარყოფითი ზემოქმედება იქონია საქართველოში ვალუტის ძირითად შემომტან და სახელმწიფო ბიუჯეტის შემავსებელ დარგებზე: ტურიზმზე და მასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებზე (დასვენებისა და გართობის, რესტორნების, კაფეების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობაზე), ვაჭრობაზე, მშენებლობაზე და ა.შ.

ეკონომიკა, ფაქტობრივად, გაჩერდა და სახელმწიფოს საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად დასჭირდა საგარეო ვალების აღება, რომელიც, ბუნებრივია, შეუძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს. შესაბამისად, აუცილებელი იყო ბიუჯეტის შევსების ახალი წყაროების მოძიება და მოცემულ ეტაპზე ერთ-ერთ ასეთ წყაროდ მიჩნეული იქნა სახელმწიფო საწარმოთა რეორგანზაცია-პრივატიზაცია. ამ პროცესს შეგვიძლია მეორე მხრიდანაც შევხედოთ, როგორც საბიუჯეტო დანახარჯების შემცირების საშუალებას. პირობითად, ათი სახელმწიფო საწარმოდან რვა ზარალიანია, რასაც ბევრი მიზეზი განაპირობებს. მათ შორის ერთ-ერთია სახელმწიფოს მხრიდან ამ საწარმოების არაეფექტიანი მართვა. მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მართებულობას ასაბუთებს მთელი პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის განმავლობაში სახელმწიფო საწარმოების ფუნქციონირების ანალიზი. ჯერ კიდევ 1994 წელს მეწარმეობის შესახებ მიღებულ კანონში ფიგურირებდა „სახაზინო საწარმოს“ ცნება, რომელიც, თავისი შინაარსით, სახელმწიფო საწარმო იყო. სახაზინო საწარმო პრივატიზაციიდან თავის არიდების საშუალებას წარმოადგენდა. მოქმედებდა შემდეგი სქემა: საწარმო ნედლეულსა და მასალებს იძენდა დაბალ, ხოლო მზა პროდუქციას ყიდდა მაღალ ფასებში. ამ გზით კრედიტორთან წინასწარი შეთანხმებით აგროვებდა ვალებს და როგორც ვალაუვალი სუბიექტი, ექვემდებარებოდა სასამართლოს მხრიდან ქონების დაყადაღებას. შემდეგ ხდებოდა მისი ქონების კრედიტორის საკუთრებაში გადასვლა და საპრივატიზაციო ნუსხიდან საწარმოს ამოღება.

1999 წელს ჩატარდა სახაზინო საწარმოების რეორგანიზაცია: მათი ერთი ნაწილი გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად (სს), მეორე ნაწილი კი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად (შპს) თუმცა, ამის შემდეგ, მათი ფუნქციონირების ეფექტიანობა არ ამაღლებულა. სახელმწიფო საწარმთა ქრონიკულ ზარალიანობაზე და მის აღმავალ ტენდენციაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა შემდეგი მონაცემები: 1998 წელს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 739 შპს და სს ფუნქციონირებდა. მათ შორის ზარალიანი იყო 139 საწარმო, ანუ მთელი რაოდენობის 19%. 1999 წელს შპს-ებისა და სს-ების რიცხვი 602-მდე შემცირდა, ხოლო მათში ზარალიანი საწარმოების რიცხვი - 732-მდე, ანუ 62%-მდე გაიზარდა. 2000 წელს 1588 საწარმოდან ზარალიანი იყო 1043, ანუ 65%. იმავე წელს

სახელმწიფომ ამ საწარმოებიდან ნახა 151 მლნ ლარზე მეტი ზარალი, დივიდენდების სახით კი მხოლოდ 10 მლნ ლარი მიიღო (პავლიაშვილი ს., 2009, გვ. 27).

არასახარბიელო ფინანსურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ შპს-ებიც. კერძოდ, 1999 წელს ფუნქციონირებდა 295 შპს, რომლებშიაც სახელმწიფო ფლობდა საკონტროლო პაკეტს. მათგან ზარალიანი იყო 156. არ არსებობდა ინფორმაცია 32 საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სახელმწიფომ დივიდენდები მიიღო შპს-ების მხოლოდ 7%-დან (იგივე წყარო).

ანალოგიური სიტუაცია ჩამოყალიბდა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში მყოფ საწარმოთა მიმართებაში, რომლებსაც კანონი ავალდებულებს წმინდა მოგებიდან დივიდენდების სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში ჩარიცხვას. მათმა 77%-მა (656 შპს) 2000 წელი ზარალით დაასრულა, ხოლო 64 საწარმოზე საერთოდ არ არსებობდა რაიმე ინფორმაცია (იგივე წყარო). აღნიშნული ტენდენცია მომდევნო წლებშიაც გაგრძელდა.

ამრიგად, სახელმწიფოს მონაწილეობით (წილით) შექმნილი საწარმოები უკვე ათეული წლებია მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს ეკონომიკას და მათი სისტემური რეორგანიზაცია სასიცოცხლო მნიშვნელობის აუცილებლობას წარმოადგენს.

ამასთანავე უნდა გავაცნობიეროთ, რომ პროცესი იქნება რთული და წინააღმდეგობებით სავსე. არსებობს საფრთხეები, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს რეფორმირების პროცესს ან შეამციროს გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობა. ესენია:

- პოლიტიკური საფრთხე (ქვეყანაში პოლიტიკური დაპირისპირების ძველი კერების გაღვივება, ან ახლის წარმოშობა);
- რეფორმისადმი აშკარა, უფრო მეტად კი ფარული წინააღმდეგობა თვით საბოტაჟის მცდელობის ჩათვლით იმ გავლენიანი ჯგუფების მხრიდან, რომელთა ინტერესებსაც აუცილებლად შელახავს რეფორმა;
- უკვე დიდი ხნის განმავლობაში აპრობირებული მეთოდის გამოყენების მაღალი ალბათობა (განსაკუთრებით შექმნილი რეალური სიტუაციის გათვალისწინებით), რომელიც მდგომარეობს პრივატიზაციიდან მიღებული

თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვაში და არა ეკონომიკის რეინვესტირებაში.

აღნიშნული საფრთხეების მიუხედავად, თუკი მოხერხდება რეფორმის თანმიდევრული განხორციელება და მისი ლოგიკურ შედეგებამდე მიყვანა, ამით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღების გზაზე.

2.2. მიწის პრივატიზაცია ქვეყნის სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში

გარდამავალ პერიოდში მიწის პრივატიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა, რაც რამდენიმე გარემოებით იყო ნაკარნახევი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უძველესი აგროკულტურის, ვაზისა და ხორბლის ქვეყანაა, ქართველები კი სამიწათმოქმედო ცივილიზაციის სათავეებთან მდგარი ტომების ისტორიული მემკვიდრეები არიან. ანტიკური ეპოქის ბერძნები შემთხვევით არ მოიხსენებდნენ ქართველურ ტომებს „გეორგიანელებად“, რაც მიწათმოქმედებს ნიშნავს. მეორე, მიწა და, ზოგადად, სოფლის ფენომენი ქართველი კაცისთვის განსაკუთრებული ფასეულობაა, მიწათმოქმედება კი არა მხოლოდ ერთი რიგითი სამეურნეო საქმიანობა, არამედ მისი ცხოვრების ჩამომყალიბებელი ფაქტორია. მესამე, დღეისათვის საქართველოში სოფლად ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 47%, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 38,5%. შედარებისთვის მოვიყვანთ შემდეგ მონაცემებს ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან: აზერბაიჯანში შესაბამისი მაჩვენებლებია - 46,5% და 17,7%, თურქეთში - 27,7% და 29,4%, სომხეთში - 37,3% და 12,4% (კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ. 2014). ბუნებრივია, რომ მოსახლეობის ასეთი მნიშვნელოვნი ნაწილის შრომის და ყოფაცხოვრების პირობების სისტემური შეცვლა იყო სტრატეგიული მნიშვნელობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ამოცანა. მეოთხე, კლიმატისა და ნიადაგის მრავალფეროვნება, რომელიც ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებით აიხსნება, საშუალებას იძლევა წელიწადში წარმატებით იქნეს მოყვანილი ორი-სამი მოსავალი. შესაბამისად, როგორც

მეცნიერები ვარაუდობენ, საქართველოში შესაძლებელია არა მხოლო ამჟამად აქ მცხოვრები ადამიანების სამამულო აგროწარმოების პროდუქციით უზრუნველყოფა, არამედ დაახლოებით 10-12 მნლ ადამიანის გამოკვების ბიორესურსი არსებობს (კოღუაშვილი პ., კუნჭულია თ. 2011, გვ. 55). მეხუთე, გასათვალისწინებელია ჩვენი უახლესი წარსულიც. ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო სპეციალიზებული იყო სოფლის მეურნეობისა დ კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოებაზე, რომლითაც იგი ამ უზარმაზარი ქვეყნის დანარჩენ ნაწილს ამარაგებდა. შეცვლილ პირობებში დღის წესრიგში დადგა ახალი სამეურნეო კავშირების მოძიებისა და ახალი საბაზრო სეგმენტების დაკავების ამოცანა, რომლის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მაღალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებით. ეს უკანასკნელი გულისხმობდა აგრარული წარმოების ძირფესვიან გარდაქმნას. მეექვსე, საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რის გამოც მიწას განსაკუთრებული ღირებულება აქვს, მიწის საკუთრების საკითხი კი თავისთავად დიდი პოლიტიკური და ეროვნული დატვირთვის მატარებელია.

საბჭოთა კავშირში მიწა მთლიანად იყო ნაციონალიზებული და ეკუთვნოდა სახელმწიფოს. იგი სარგებლობაში ჰქონდა გადაცემული კოლექტიურ მეურნეობებს (ე.წ. კოლმეურნეობებს) და საბჭოთა მეურნეობებს. ითვლებოდა, რომ საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობებთან შედარებით, წარმოადგენდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის უფრო მაღალ ფორმას. მიწის საერთო მოცულობის მხოლოდ მცირე ნაწილი პირადი საკუთრების სახით ეკუთვნოდა მოსახლეობას . ე.წ. „კომლი“ იყო საანგარიშო ერთეული, რომელსაც გააჩნდა 0,15 – 0.25 ჰა მიწის ნაკვეთი.

მიწის პრივატიზაცის დაწყების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ“.

მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე მთავრობის მიერ გატარდა შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები: საკარმიდამო ნაკვეთების გაფართოების მიზნით, საზოგადოებრივ მეურნეობებზე უვადო სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო

მიწებიდან გამოიყო რეფორმის ჩატარებისათვის აუცილებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და შეიქმნა მიწის რეფორმის ფონდი, ანუ საპრივატიზაციო ფონდი. მის განკარგულებაში გადავიდა 850 ათასი ჰა მიწის ფართობი, რაც შეადგენდა ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის 30%-ზე ნაკლებს (ჩხაიძე ი. 2015, გვ. 50). დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა. ცალკე კატეგორიად გამოიყო მეურნეობები, რომელთა მიწების გადაცემა საპრივატიზაციო ფონდისთვის არ იყო დაშვებული. ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა:

- ექსპერიმენტული, საცდელი, სასწავლო-სამეცნიერო, მეთესლეობის, სანაშენე-საჯიშე მეურნეობები;
- მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსები;
- სასათბურე კომბინატები;
- სასაზღვრო და საგარეუბნო ზოლში გაადგილებული მეურნეობები.

მიწის განაწილების სუბიექტად მიჩნეული იქნა კომლი, რომელიც დაიყო კატეგორიებად. მოგვიანებით მთავრობამ ცვლილებები შეიტანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სიდიდეში: გლეხებს შეეძლოთ გაეზარდათ ნაკვეთების მოცულობა 1.2 ჰა-მდე; ვინც სოფელში ცხოვრობდა, დაემატა 1 ჰა მიწის ფართობი; სოფელთან კავშირში მყოფ ქალაქში მაცხოვრებელს დამატებით 0.25 ჰა მიწა გადაეცა დასამუშავებლად, ხოლო ქალაქის მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც სოფელში მიწა მხოლოდ საცხოვრებლად ჭირდებოდა, გადაეცა 0. 15 ჰა; მეცხოველეობაში დასაქმებულ გლეხებს გადაეცათ 5 ჰა-მდე მიწის ფართობი.

1996 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, მოქალაქეებს საკუთრებაში უფასოდ გადაეცათ 7163 ათასი ჰა მიწის ფართობი, ანუ მიწის საერთო რაოდენობის 22,7%, აქედან სახნავისა და მრავალწლიანი ნარგავების სახით - 52,6%. რეფორმის პირველ ეტაპზე მიწის ნაკვეთები მიეცა 953 ათას ოჯახს. მათ შორის: სოფლად მცხოვრებ 827,6 ათას კომლზე გაიცა 647,4 ჰა, რაც საშუალოდ 1 კომლზე შეადგენდა 1,0 ჰა-ს. ქალაქად მცხოვრებ ოჯახებზე გაიცა 68,9 ათასი ჰა, საშუალოდ 0,21 ჰა ერთ ოჯახზე (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2002, გვ. 162-163) (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, „სტატისტიკური

წელიწდეული“, 2002). სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა მხოლოდ ის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, რომლებიც ობიექტური მიზეზების გამო არ დაექვემდებარა პრივატიზაციას. კერძოდ:

- ქვეყნის სავარგულთა საერთო რაოდენობის 57%;
- სასაზღვრო ზოლში მოქცეული სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების 52 ათასი ჰა;
- მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სპეციალიზებული მეურნეობების 92 ათასი ჰა;
- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უკონტროლო ტერიტორიებზე განთავსებული სახნავი მიწების და მრავალწლიანი ნარგავების 71 ათასი ჰა.

სოფლად პრივატიზაციის განხორციელებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1996 წელს მიღებულ კანონს „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, რომლის საფუძველზე დაიწყო მიწის იჯარით გადაცემის პროცესი. იჯარის მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 49 კალენდარული წელი. ამავე კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა ოჯახებზე გადაცემული იქნა 1992 წლამდე მათ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტნე, სააგარაკო, სამოსახლო, საკარმიდამო მიწის ნაკვეთები.

1997 წლის 1 აპრილის მონაცემებით, კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 870 ათასი ჰა (29,5%), სახნავი - 759 ათასი ჰა (61,5%), მრავალწლიანი ნარგავები - 271 ათასი ჰა (81,5%), ნასვენი მიწები - 10 ათასი ჰა (6%), სათიბი - 73 ათასი ჰა (54%), საძოვარი - 10 ათასი ჰა (6%) (კუნჭულია თ. 1998, გვ. 103). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში სოციალისტური სისტემის არსებობის დროსაც ინდივიდუალურ (არასახელმწიფო) სექტორს მაღალი ხვედრითი წილი ეკავა სოფლის მეურნეობაში. ასე მაგალითად, ციტრუსოვანთა 80%, ყურძნის - 70%, ძროხების სულადობის - 75%, მრავალწლიანი ნარგავების თითქმის მესამედი ინდივიდუალურ (კერძო) სექტორს განეკუთვნებოდა. მთელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 49-50% ასევე ამ სექტორში იწარმოებოდა (საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობების პირობებში, 1998, გვ. 60-61).

პრივატიზაციის პროცესი განხორციელდა მეცხოველეობის დარგშიც. 1998 წლის 1 აპრილის მონაცემებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის 97,6%, ძროხების - თითქმის 100%, თხისა და ცხვრის - 89%, ღორის - 99%, ფრინველის - 99,3% - შინამეურნეობათა მფლობელობაში იყო. მთლიანობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მთელი მოცულობის 90% კერძო სექტორში შეიქმნა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გასხვისება ხდებოდა აუქციონით და პირდაპირი მიყიდვით.

ამრიგად, მიწის რეფორმის შედეგად, რომლის ძირითადი შინაარსი პრივატიზაციის გზით მიწის საკუთრების განსახელმწიფოებაში მდგომარეობდა, ჩამოყალიბდა აგრარული ეკონომიკის კერძო სექტორი და დასაბამი მიეცა პრინციპულად ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რამაც სოფლის სოციუმის არსებითი შეცვლა განაპირობა.

აგრარული რეფორმა სოფლად ძალიან რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობდა, პრივატიზაციის საშუალოვადიანი ეკონომიკური და სოციალური შედეგები აშკარად ნეგატიური იყო. პრივატიზაციის შედეგად მოხდა უპირატესად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებულ წვრილ მეურნეობებად მსხვილი მეურნეობების დანაწევრება-დაქუცმაცება, რამაც გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობის საგრძნობი შემცირება. ეს განსაკუთრებით შეეხო სასაქონლო წარმოების დონეს: განადგურდა წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაირღვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული და ეკოლოგიური ერთიანობა, აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა მცენარეთა დ ცხოველთა გენოფონდს, გაჩანაგდა ხეხილის ბაღები, ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები. ხშირ შემთხვევაში მიწის ახალი მესაკუთრე, ფაქტობრივად, ბედის ანაბარა მიტოვებული აღმოჩნდა. მათმა უმეტესობამ ვერ შეძლო აუცილებელი სასუქებისა და შხამ-ქიმიკატების შეძენა, რამაც წინათ მაღალმოსავლიანი პლანტაციების დაავადება და განადგურება გამოიწვია.

შრომის მწარმოებლურობა - ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელი, საქართველოს სოფლის მეურნეობაში უკიდურესად დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო ეროვნულ დონეს (რომელიც, თავისთავად,

ასევე არ არის მაღალი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით). ეს ჩამორჩენა წლიდან წლამდე იზრდება. კერძოდ, 1998 წელს იგი შეადგენდა ეროვნული მეურნეობის შრომის მწარმოებლურობის 45%-ს, 2003 წელს შემცირდა 30%-მდე, 2009 წელს კი - 13%-მდე (არჩვაძე ი., მექვაბიშვილი ე. 2010, გვ, 109-110). დარგის ჩამორჩენის კატასტროფულ დონეზე მიანიშნებს სოფლის მეურნეობის დასაქონლების მაჩვენებელი, რომელიც 1980-ანი წლების ბოლოს შეადგენდა 45%-ს, ხოლო 2013 წელს - 37%-ს. ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ჩვენთვის ფრიად სამწუხარო პარადოქსთან: „საბჭოურ ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში პირადი დამხმარე მეურნეობები მეტად იყო ბაზარზე ორიენტირებული, ვიდრე დღესაა. მაშასადამე, ჩვენ საქმე გვაქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნატურალიზაციასთან, რაც მისი დეგრადირების მაჩვენებელია“ (იგივე წყარო).

ასეთ მძიმე მდგომარეობას, რა თქმა უნდა, პრივატიზაციას ვერ დავაბრალებთ. არსებობს ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუშალეს სოფლის მეურნეობის რეფორმირების პროცესის წარმატებით განხორციელებას. პირველი, გასათვალისწინებელია პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისთვის ზოგადად დამახასიათებელი კრიზისული მოვლენების არსებობა, რასაც ვერც ერთი პოსტკომუნისტური და პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვერ ასცდა; მეორე, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციული კრიზისი საქართველოში გაღრმავებული იყო შიდა სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტებით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, კრიმინალური სიტუაციის უკიდურესად გამწვავებით, სახელმწიფოს ფუნქციების დესტრუქციით და ა.შ; მესამე, რეფორმა დაიწყო წინასწარ მოსამზადებელი სამუშაობის ჩატარების გარეშე, რაზედაც შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრების შესახებ“ მიღებული იქნა მაშინ, როცა მიწების პრივატიზაციის პროცესი უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო. პრივატიზაციის დაწყებამდე არ ჩატარებულა ყველა კატეგორიის მიწის სრულყოფილი ინვენტარიზაცია (უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის სამი ათეული წლის შემდეგაც კი ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა), არ მომხდარა ნიადაგების ხარისხობრივი გამოკვლევა, არ ჩატარებულა საკადასტრო სამუშაოები, არ გამიჯნულა რეგიონებს, რაიონებსა და სოფლებს შორის საზღვრები და ა.შ. სამწუხაროდ, არასწორად მოხდა 1996 წლის მიწის შესახებ კანონით გათვალისწინებული იჯარის გამოყენება,

რომელიც მიწების 80%-ზე გავრცელდა და, საბოლოო ანგარიშით, მიწების დიდი ნაწილი აღმოჩნდა არა გლეხების, არამედ ე.წ. „ნუვორიში“ ქართველების, ანუ ფულიანი ადამიანების ხელში. მათ იჯარისა და შემდგომ მიწის გამოსყიდვის უფლებით გადაიფორმეს ათასობით ჰექტარი. ეს მიწები ქვეიჯარით აქვთ გადაცემული, ამუშავებენ დაქირავებულ მუშახელს და იღებენ დიდ შემოსავლებს. შეიძლება დღეს მათ „თანამედროვე მემამულეები“ ვუწოდოთ.

განვლილი პერიოდის გამოცდილებიდან გამომდინარე, აგრარული რეფორმის ერთ-ერთ ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ერთეულებისთვის არასათანადო ყურადღების დათმობა და ამ კონტექსტში კოოპერაციული გაერთიანების როლის დაკნინება. რეალურად, მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი კოოპერირება და მათი ინტეგრირება გადამამუშავებელ საწარმოებთან არის თანამედროვე, ცივილიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების გზა. „სოციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებული მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს სოფლად მოსახლეობის მასობრივი დასაქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდა, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლება, სოფლის კომპლექსური და აჩქარებული განვითარება“ (კოღუაშვილი პ., 2009, გვ. 26).

აგრარული რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მიწის ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც, ამასთანავე, მეტად რთული პროცესია და ბევრ პრობლემასთანაა დაკავშირებული. არსებობს კითხვები, რომლებზედაც ერთმნიშვნელოვანი პასუხები ჯერ კიდევ არაა გაცემული: პირველი - რამდენადაა მიზანშეწონილი საქართველოში მიწის ბაზრის შექმნა, ანუ შეიძლება თუ არა მიწა წარმოადგენდეს ყიდვა-გაყიდვის ობიექტს? მეორე, თუკი მიწა საბაზრო გარიგებების ობიექტი გახდება, იგი უნდა გაიყიდოს უპირობოდ, შეუზღუდავად, თუ განსაზღვრულ რეგულაციას დაექვემდებაროს? მესამე, შესაძლებელია თუ არა მიწის გარდა სხვა ბუნებრივი რესურსის - ტყეების, მდინარეების, ტბების და ა.შ. თავისუფალი გაყიდვა? მეოთხე, ვინ შეიძლება იყოს მიწის მყიდველი, ანუ შეეძლება თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოში მიწის ყიდვა?

საქართველოში მიწის გაყიდვის იდეას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მაგ., პროფ. ვ. პაპავა აღნიშნავს: „მიწები არ უნდა გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს; ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიწის გაყიდვით ის ეკონომიკური ეფექტი ვერ მიიღება, რომლის მოლოდინიც შეიძლება არსებობდეს... სასოფლო-სამეურნეო მიწებზე უნდა შენარჩუნდეს სახელმწიფო საკუთრება. სოფლად დასაქმებულთა ორგანიზების ერთ-ერთი საინტერესო ფორმა კოოპერაციული საქმიანობაა, რასაც, რა თქმა უნდა, სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი“ (პაპავა ვ., 2021).

სახელმწიფო მიწის გასხვისების მოწინააღმდეგეებს მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები:

- მიწა სტრატეგიული ობიექტია, რომლის გასხვისება დაუშვებელია. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ამ საკითხს;
- მიწის გაყიდვა არ შეიძლება, მანამ:

  ა) საბოლოოდ არ გადაწყვეტილა ჩვენი სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი;

  ბ) არ მომხდარა დეგრადირებული მიწების რეაბილიტაცია;

  გ) არ შემდგარა მიწის კადასტრი;

  დ) არ დამკვიდრებულა მიწის მემკვიდრეობითი ქირავნობისა და იჯარის უფლებით გაცემის პრინციპი;

  ე) არ გაკეთებულა სარეზერვო მიწების ჩამონათვალი და სხვ.

ზოგიერთი მკვლევარი არ გამოდის ხელაღებით მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ, თუმცა აუცილებლად მიიჩნევს ამ პროცესზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას. ყველაზე ხშირად საუბარია უცხოელ მოქალაქეებზე მიწის მიყიდვის დაუშვებლობის შესახებ. მათი აზრით, თუ ეს მოხდება, იარსებებს დიდი შანსი იმისა, რომ უცხოეთის ფულიანი მოქალაქეები მასობრივად შეიძენენ, და თანაც შედარებით იაფ ფასებში, საქართველოს მიწებს. ამან კი, შესაძლო სერიოზული პრობლემები შეუქმნას ქვეყნის სტრატეგულ უსაფრთხოებას.

სწორედ აღნიშნულ კონტექსტში შეიძლება იქნეს განხილული 2014 წლის დეკემბრამდე საქართველოს მიწების უცხოელი ინვესტორებისთვის მიყიდვაზე მორატორიუმის დაწესება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის ზაფხულში გააუქმა ეს მორატორიუმი, უცხოელებზე მიწის მიყიდვის პროცესი ამჟამად შეფერხებულია.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ სოფლად საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისთვის მიწის ბაზრის შექმნას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება. ეს უკანასკნელი თავისთავად გულისხმობს მიწის ყიდვა-გაყიდვას. აღნიშნულ საკითხში ვეთანხმებით შემდეგ მოსაზრებას: „სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული მიწის გადაცემა კერძო საკუთრებაში და მისი კაპიტალიზაციის დაჩქარება სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა“ (ჩხაიძე ი., 2015, გვ. 65).

უცხოური გამოცდილება მიწის ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით საკმაოდ არაერთგვაროვანია. არსებობს ქვეყნები, სადაც მიწები შეუზღუდავად იყიდება, რაც დაფიქსირებულია მიწის კოდექსში. ზოგიერთ ქვეყანაში მიწის მიყიდვას კანონმდებლობა კრძალავს არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, ზოგიერთში კი მიწის კოდექსი აღიარებს მიწაზე კერძო საკუთრებას, მაგრამ არ იძლევა მისი გაყიდვის უფლებას. მაგ., ბულგარეთში აგრარული რეფორმის პროცესში მიწა გადაეცა გლეხებს კერძო საკუთრებაში, მაგრამ აეკრძალათ ათი წლის განმავლობაში მისი გაყიდვა (Монахова Л., 2003, с. 85)

ჩვენი აზრით, მიწის გაყიდვა ყველა მეპატრონეს უნდა შეეძლოს, მყიდველების წრე კი უნდა შემოიფარგლოს ქვეყნის მოქალაქეებით. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაყიდვის პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სათანადო გამოცდილება გააჩნიათ სოფლის მეურნეობის სფეროში და დარეგისტრირებული არიან საჯარო რეესტრში, როგორც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი სუბიექტები. ასევე ვფიქრობთ, რომ სამართლიანი იქნებოდა გარკვეულ ფარგლებში რესტიტუციის მეთოდის გამოყენება - მიწების უფასოდ გადაცემა იმ ადამიანთა შთამომავლებისთვის, ვინც

კოლექტივიზაციის პროცესში განხორციელებული მიწების ექსპროპრიაციის მსხვერპლი გახდა.

ჩამოყალიბებული მიდგომა გაგვაჩნია ტყის მასივებზე საკუთრების საკითხთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ ტყე სახელმწიფო საკუთრებაში უნდა რჩებოდეს. საქართველოში ტყეები 49-წლიანი იჯარითაა გაცემული რეზიდენტ და არარეზიდენტ სუბიექტებზე, რაც, ჩვენი აზრით, ქმნის ტყეების გაჩანაგების საშიშროებას. უნდა მოიძებნოს შესაბამისი იურიდიული მექანიზმი ამ საჯარო ხელშეკრულებების ანულირებისთვის. მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტყის სახელმწიფო მეურნეობების შექმნა. საქართველოს ტყეები, თუმცა მერქნის სერიოზულ რესურსს არ შეიცავს, მაგრამ მათი როლი წყალდაცვითი და ნიადაგდაცვითი ფუნქციებით, ტურიზმისა და რეკრეაციის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანია.

მაშასადამე, საჭიროა ტყის რესურსის, მისი დაცვის შესაძლებლობების სერიოზული ეკონომიკური შეფასება და საუკეთესო ვარიანტის შერჩევა. ყოველივე ეს უნდა გაკეთდეს გრძელვადიანი ხედვის პრიორიტეტების, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით და არა მოკლევადიან პერიოდში მონეტარული სარგებლის მიღების ჭრილში.

სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის განხორციელება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს სახელმწიფო საკუთრებაზე უარის თქმას. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო ტყის მასივები, ნაკრძალები, რკინიგზის და მაღალი ძაბვის ელექტროსადენების ანძების მიმდებარე ტერიტორიები, აეროდრომები, სამხედრო პოლიგონები, საზღვრისპირა ტერიტორიები და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მიწის პრივატიზაცია ობიექტური აუცილებლობა იყო, ხოლო მისი თანმდევი უარყოფითი მოვლენები, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, გამოწვეული იყო არა პრივატიზაციის ფენომენით, არამედ მისი განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომებით და ხარვეზებით. შესაბამისად, სოფლად პრივატიზაციის პროცესი უნდა გაგრძელდეს იმ

გამოცდილების გათვალისწინებით (მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით), რომელიც განვლილ თითქმის 30-წლიან პერიოდში დაგროვდა.

2.3. პრივატიზაცია და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირების პრობლემები

ფასიანი ქაღალდის ბაზარი (საფონდო ბირჟა) კაპიტალის ბაზრის შემადგენელ ნაწილს და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. საფონდო ბირჟის როლი მის ფუნქციებში ვლინდება. მისი საშუალებით ხორციელდება ფირმებისა და საოჯახო მეურნეობების დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნა. ინვესტიციები სჭირდება როგორც კერძო სექტორს (ბიზნესს), ისე მთავრობას. ინვესტიციების დამფინანსებლად, ანუ კრედიტორებად გამოდის მოსახლეობის და კერძო სექტორის ის ნაწილი, რომელსაც გააჩნია დანაზოგები. მოსახლეობა ინვესტირებას უპირატესად ახდენს საბინაო მშენებლობაში, მეწარმეები კი დანაზოგებს წარმართავენ მცირე და საშუალო ბიზნესის ორგანიზებაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოსახლეობა ყიდულობს აქციებს. ამ გზით, ერთი მხრივ, საკუთარი დანაზოგებიდან იგი იღებს მოგებას, მეორე მხრივ კი თავს არიდებს ინვესტიციების მართვასთან დაკავშირებულ სირთულეებს და რისკებს. ინვესტიციებად ტრანსფორმირებული დანაზოგების ფასს კაპიტალის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების კანონი განსაზღვრავს.

საფონდო ბაზრის (საფონდო ბირჟის) ფუნქციებს ასევე წარმოადგენს ფინანსური რესურსების რაციონალური გადანაწილება ეკონომიკის სხვადასხვა დარგს (სფეროს) შორის და სტრატეგიული ინვესტორების მოზიდვის ეფექტიანი პროცესის უზრუნველყოფა. უაღრესად მნიშვნელოვანია საფონდო ბირჟების როლი პრიორიტეტული სახელმწიფო პროექტების დაფინანსებაშიაც.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის დაწყებამ დღის წესრიგში დააყენა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნის აუცილებლობა, რაც ორი გარემოებით იყო ნაკარნახევი. პირველი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის გარეშე შეუძლებელი იყო საბაზრო ეკონომიკის ნორმალური განვითარება და, მეორე -

საბჭოთა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ეკონომიკაში არსებობდა მხოლოდ ფასიანი ქაღალდების კვაზი-ბაზარი.

1958 წელს, საბჭოთა კავშირში მოსახლეობაზე სესხების იძულებით გაცემის გაუქმების შემდეგ ადამიანებს გარკვეული მოცულობის თავისუფალი ფულადი სახსრები გაუჩნდათ. მათ შეეძლოთ ამ თანხების შემნახველ სალაროებში შეტანა, ან 1947 წელს გამოშვებული მომგებიანი ობლიგაციების შესყიდვა. 1966 წელს გამოუშვეს ახალი ობლიგაციები, რომლის ოფიციალური კურსი განისაზღვრა წლიური 3%-ის მოცულობით. 1971 წელს სახელმწიფომ მთლიანად დაფარა 1947 წელს გამოშვებული ობლიგაციები. 1982 წელს გამოშვებული იქნა ახალი სახელმწიფო ობლიგაციები. ყველა ობლიგაცია გამოიცემოდა საბჭოთა კავშირის სახელით და ვრცელდებოდა 15-ვე მოკავშირე რესპუბლიკაში. 1990 წელს სსრ კავშირში გამოშვებული იქნა სახელმწიფო მიზნობრივი უპროცენტო სესხი და სსრკ სახელმწიფო ვალდებულებები. პირველი მოსახლეობას საშუალებას აძლევდა მისი დაფარვის მომენტში ეყიდა ფართო მოხმარების საყოფაცხოვრებო საქონელი - ავტომობილები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ. და მასში გადაეხადა დაფარვის მომენტში არსებული ფასი. ცხადია, რომ ამ „ფასიანი ქაღალდის“ მიმზიდველობა მდგომარეობდა საყოველთაო და ღრმა დეფიციტის პირობებში სასურველი საქონლის შეძენის პერსექტივაში.

1990 წელს გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების დაფარვის თავდაპირველად განსაზღვრული ვადა - 16 წელი მოგვიანებით 8 წლამდე შემცირდა, ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი 5%-დან 10%-მდე გაიზარდა, თუმცა მალე საბჭოთა კავშირი დაიშალა და ვალდებულებების დაფარვის ყოველგვარი პერსპექტივა გაქრა.

1992 წელს, უკვე დამოუკიდებელ საქართველოში გამოშვებული იქნა შიგა მომგებიანი სესხი, რომელიც განკუთვნილი იყო სახელმწიფო ბიუჯეტში შექმნილი მწვავე დეფიციტის დასაფარად. საყოველთაო ეკონომიკური მოშლილობის, ჰიპერინფლაციის, პოლიტიკური დაძაბულობის, აფხაზეთში დაწყებული კონფლიქტის, კრიმინალური სიტუაციის გამწვავებისა და ა.შ. გამო, ამ ფასიანი ქაღალდების მიმართ მოსახლეობას რაიმე ნდობა არ გაუჩნდა.

ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებით, 1995 წელს ქონების მართვის სამინისტროსთან შეიქმნა სპეციალიზებული საპრივატიზაციო ფონდი, რომელიც ვაუჩერებით ვაჭრობას ახორციელებდა. 1995 წლის 26 ივნისს ჩატარდა პირველი სპეციალიზებული აუქციონი. აქციონირების პროცესთან და სააქციო საზოგადოებების შექმნასთან ერთად ჩამოყალიბდა კორპორატიული ქაღალდების ბაზარი, ვინაიდან კანონი ავალდებულებდა სააქციო საზოგადოებებს საკუთარი ფასიანი ქაღალდების საფონდო ბაზარზე განთავსებას.

გამოცდილება ადასტურებს, რომ საწარმოთა წარმატებული გასვლა საფონდო ბაზრებზე შესაძლებელია მხოლოდ მათი ეფექტიანი ფუნქციონირების შემთხვევაში, რომლის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია კაპიტალიზაციის დონე, რომელსაც განსაზღვრავს საფონდო ბაზრის განვითარების დონე. როგორც ვხედავთ, ამ ორ კატეგორიას შორის დიალექტიკური ურთიერთკავშირი არსებობს - შედეგი შეიძლება იმავე მოვლენის მიზეზად იქცეს. რა პრაქტიკული დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ აქედან? ის, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია საწარმოთა კაპიტალიზაციისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის თანაბარზომიერი განვითარების შემთხვევაში. თუკი საკითხს მაინც ასე დავსვამთ, თუ რომელია მათ შორის პირველადი, ვფიქრობთ, ჯერ საწარმოთა კაპიტალიზაციის პრობლემა უნდა მოგვარდეს, შემდეგ კი უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საფონდო ბირჟების ჩამოყალიბება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვიზიარებთ შემდეგ მოსაზრებას: „გაუმართლებელია ჯერ ბირჟის შექმნა და მერე ბაზარზე რეალური მყიდველისა და გამყიდველის მოძიებაზე ფიქრი. ამით შესაძლებელია თავად ბირჟის იდეის დისკრედიტაცია“ (ჩხაიძე ი., 2015, გვ. 61).

მრავალი ხარვეზისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, რაც ახასიათებდა აქციონირების პროცესს, კორპორატიული ფასიანი ქაღალდების ემისია და საფონდო ბაზრებზე მათი გასვლა მაინც პროგრესული მოვლენა იყო, რამაც ბოლო მოუღო საფონდო ბაზარზე მანამდე არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მონოპოლიას. 1992-1995 წლებში სწრაფად ვითარდებოდა საბანკო აქციების ბაზარი, რაც დაკავშირებული იყო ყოფილი სახელმწიფო ბანკების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნასთან და აქციების დიდი რაოდენობით ემისიასთან. 1992-1994 წლები ასევე იყო სხვადასხვა ბირჟის „ფეთქებადი“ ზრდის პერიოდი, რომელთა „საქონელს“

წარმოადგენდა მათ მიერვე გამოშვებული აქციები. ამ თვალსაზრისით, საქართველო ალბათ მხოლოდ პოსტკომუნისტურ რუსეთს თუ ჩამორჩებოდა, სადაც იმავე პერიოდში სხვადასხვა ტიპის ძირითადად ფსევდობირჟების არნახულს ბუმს ჰქონდა ადგილი.

ბირჟების ფუნქციონირების იმჟამინდელი პრაქტიკა საქართველოში მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მსოფლიოში არსებული პრაქტიკისგან. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ბირჟის აქციები არ არის საჯარო და არ იყიდება ბირჟის გარეთ. იგი ვრცელდება მხოლოდ ბირჟის წევრებს შორის.

საქართველოში საფონდო ბირჟის შექმნა 1997 წელს დაიწყო, თუმცა 1998 წლის საბიუჯეტო და სავალუტო კრიზისების შედეგად სახაზინო ვალდებულებების ემისია შეჩერდა და ბირჟის ფუნქციონირება შეწყდა. მისი აღდგენა 1999 წლიდან გახდა შესაძლებელი. მას საფუძვლად დაედო იმავე წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“.

1999 წელს ასევე ჩამოყალიბდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფო რეგულირებისა და ზედამხედველობის სისტემა, რომლის ცენტრალურ რგოლს წარმოადგენდა **ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.** ამ უკანასკნელმა იარსება 2007 წლის ივლისამდე. აღნიშნულ ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებასთან ერთად, დაიწყო სხვა სახის გარდაქმნებიც. კერძოდ, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის უფლება მიეცათ მხოლოდ ლიცენზირებულ კომპანიებს და მხოლოდ საფონდო ბირჟაზე. ცვლილებები, რომლებიც იმ პერიოდში შევიდა ბირჟების შესახებ კანონში, ინვესტორს უკრძალავდა ბროკერის ან/და საბროკერო კომპანიის გარეშე ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული გარიგების დადებას. ცვლილების შემდეგ ინვესტორს უფლება მიეცა თვითონ გადაეწყვიტა საბროკერო კომპანიის საჭიროებისა და საფონდო ბირჟაზე ან მის გარეთ გარიგებასთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად ბაზრის მონაწილეებმა დაიწყეს ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებებისთვის უპირატესობის მინიჭება. განხორციელებული ცვლილებების მთავარი მიზანი იყო საბირჟო საქმიანობის ლიბერალიზაცია.

საქართველოს საფონდო ბირჟაზე ამჟამად მიმოქცევაშია ორი ტიპის ფასიანი ქაღალდი - სახელმწიფო სახაზინო ვალდებულება ან სახაზინო ობლიგაცია და კორპორაციების აქციები. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი არის ფინანსური

ინსტრუმენტი, რომელიც გამოშვებულია თანხების მოზიდვის მიზნით მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი, პროცენტიანი ან უპროცენტო სახით და გამოხატულია ეროვნულ ან რომელიმე კონვერტირებად ვალუტაში. მისი ემიტენტია ფინანსთა სამინისტრო, რომელიც მოქმედებს საქართველოს სახელით. სახაზინო ვალდებულებების პირველი ემისია განხორციელდა 1997 წელს და მისი დანიშნულება იყო ბიუჯეტში სახსრების მოდინება.

ფასიანი ქაღალდების განთავსება ხდება ფასიანი ქაღალდების პირველად ან მეორეულ ბაზარზე. პირველად ბაზარზე მონაწილეობენ კომერციული ბანკები ან მათი კლიენტები, მეორეულ ბაზარზე ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა მათი პირველად ბაზარზე განთავსების შემდეგ. ფასიანი ქაღალდების განთავსება-გაყიდვა მიმდინარეობს აუქციონზე, რომელიც ტარდება ეროვნულ ბანკში ელექტრონული სავაჭრო სისტემის გამოყენებით და შედეგები ასევე ელექტრონულად მიეწოდება ფინანსთა სამინისტროს.

სახაზინო ვალდებულებებს გააჩნია არამატერიალიზებული ფორმა. ეს ნიშნავს, რომ ბანკნოტებისგან განსხვავებით, ისინი არ არსებობენ ქაღალდის სახით. სახაზინო ვალდებულებების შესახებ სრული ინფორმაცია ინახება ეროვნულ ბანკში.

სახელმწიფო ობლიგაციებსაც ფინანსთა სამინისტრო უშვებს და სახაზინო ვალდებულებების მსგავსად, მათაც არამატერიალიზებული ფორმა გააჩნიათ. სებ-ი სახელმწიფო ობლიგაციებს ყიდის რეზიდენტ სათაო კომერციულ ბანკებსა და არარეზიდენტი ბანკების ფილიალებზე. გასაყიდი ობლიგაციების ზღვრულ მოცულობას და ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს ადგენს სებ-ის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის კომისია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი არ იბეგრება.

აუქციონის შედეგები მისი დამთავრებისთანავე ეცნობება ყველა მონაწილე ბანკს და ოპერატიულად აისახება სებ-ის ვებგვერდზე იმავე დღის არაუგვიანეს 17.00 საათისა (ასლანიშვილი დ., 2015, გვ. 39).

2006 წლის 18 სექტემბერს სებ-მა გამოუშვა ახალი მონეტარული ინსტრუმენტი - საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ წლამდე ვადიანობის სადეპოზიტო სერთიფიკატი. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის

განვითარებას და მისი საშუალებით ხდება საშუალოვადიანი ლიკვიდური სახსრების ამოღება საბანკო სისტემიდან.

ჩვენს მიერ უკვე განხილული ორი ტიპის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის მსგავსად, სადეპოზიტო სერტიფიკატები იყიდება აუქციონზე, რომელშიაც მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ კომერციულ ბანკებს. სერტიფიკატი დენომინირებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორეული ბაზრის ფორმირებას რეპო და სალომბარდო ოპერაციების გზით. რეპო წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების დათქმულ ფასად გაყიდვაზე შეთანხმებას მათი შემდგომი გამოსყიდვის პირობით. ფაქტობრივად, იგი გვევლინება კრედიტის ერთ-ერთ სახეობად და იურიდიულად გულისხმობს ერთი მხარის აქტივის მეორე მხარის საკუთრებაში გადასვლას. რეპო ოპერაციების უპირატესობა ის არის, რომ ამ შემთხვევაში იზოგება ხარჯები, რაც სხვა შემთხვევაში ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი კრედიტების გაცემასთანაა დაკავშირებული.

კომერციული ბანკები, ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, ცენტრალურ ბანკებს აწვდიან ფასიან ქაღალდებს და სანაცვლოდ იღებენ ფულად სახსრებს. საქართველოში რეპო ოპერაციები დაიწყო 2000 წლიდან. იგი დაშვებულია როგორც კომერციულ ბანკებსა და ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკს შორის, ისე კომერციულ ბანკებს შორის.

ეროვნული ბანკი რეპო ოპერაციებს იყენებს ჭარბი ლიკვიდურობის ამოღების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუკი ბანკს ლიკვიდურობის პრობლემა შეექმნება, მას შეუძლია ეროვნულ ან სხვა კომერციულ ბანკთან უკურეპი ოპერაცია განახორციელოს. გარდა ამისა, კომერციულ ბანკებს, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ სახაზინო ვალდებულებების პირველად აუქციონებში, შეუძლიათ ისარგებლონ კრედიტით 3 დღემდე ვადით, რაც ასევე ასტიმულირებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოებას, კერძოდ კი - მეორეული ბაზრის ჩამოყალიბებას. სხვა მასტიმულირებელი მექანიზმია კომერციული ბანკების მიერ მათ მფლობელობაში არსებული სახაზინო ვალდებულებების 80%-ის გამოყენება არსებული სესხების უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, რაც უფრო მეტ სახაზინო ვალდებულებას ფლობს კომერციული ბანკი, მით უფრო მეტი სესხის აღება შეუძლია

მას. თუკი ბანკი ვერ იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ ვერცერთ მექანიზმს ლიკვიდურობის დეფიციტის შესავსებად, მას ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს ეროვნულ ბანკს ლომბარდული კრედიტის მისაღებად, რომელიც გაიცემა სახაზინო ვალდებულების უზრუნველყოფით შემდეგი საპროცენტო განაკვეთით - აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს პლუს 5 პუნქტი წლიურად (გულედანი კ., გეგენავა ა., 2001, გვ. 35).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, საქართველოში ფასიანი ქაღალდების მეორეული სეგმენტი უკიდურესად შეზღუდულია, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები კი არ არის გავრცელებული.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთ პერსპექტიულ სეგმენტს წარმოადგენს სათამასუქო მიმოქცევა. თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც გაიცემა სესხის უზრუნველსაყოფად და არ გამოიყენება ანგარიშსწორებაში. იგი იძლევა დეპოზიტურ განაკვეთთან შესატყვისი საპროცენტო შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.

სათამასუქო მიმოქცევა, როგორც წესი, განსაზღვრულ ეკონომიკურ პროცესებს ემსახურება. კორპორაციული საწარმოების თამასუქების გამოშვება მიზნად ისახავს საბრუნავი ფონდების შევსება-გაფართოებას. ადგილობრივი ფინანსური ორგანოების თამასუქებით ხდება ამ სტრუქტურების რესურსების შევსება, ხოლო საბანკო თამასუქი, ფაქტობრივად, ბანკის ბანკნოტია, რომელიც შეუზღუდავად გამოიყენება გადასახადების დასაფარად, საპენსიო ფონდებში ანარიცხების გასაკეთებლად და სხვა საჭიროებებისთვის. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს თამასუქებს, ისინი ძირითადად გამოიყენება კომერციული ბანკების მიერ ცენტრალური ბანკიდან აღებული კრედიტების დასაფარად. საქართველოში სათამასუქო მიმოქცევის სფერო უკიდურესად შეზღუდულია მაშინ, როცა ბევრ ქვეყანაში იგი ფულის მასის დაახლოებით 25-28%-ს შეადგენს (ჯიბუტი მ., 2003, გვ. 77).

საქართველოში საფონდო ბაზრის ჩამოყალიბება საწყისი პერიოდიდანვე ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, რომლებსაც განაპირობებდა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. შევეცდებით ამ პრობლემის კლასიფიცირებას და მათი დაძლევის ზოგიერთ მიმართულებაზეც გვექნება მსჯელობა.

ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს პრივატიზაციის ყველა ეტაპზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩართულობის გამორიცხვა, რაც

რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. პირველი მათგანია ჩატარებული აქციონირების ხარვეზები და ნაკლოვანებები. აქციონირების შედეგად ჩამოყალიბებული საწარმოების აბსოლუტურ უმრავლესობას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ისინი იყვნენ ძირითადად ზარალიანი. შესაბამისად, მათ მიერ გამოშვებული აქციების კოტირება ბაზარზე იყო ძალიან დაბალი, ხშირად კი საერთოდ შეუძლებელი. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში არ არსებობდა მოთხოვნა მათ აქციებზე. მეორე, სააქციო საზოგადოების საქმიანობა ხშირად იყო და დღესაც არის გაუმჭვირვალე, არ მოქმედებს ბაზრის ინფორმირების ეფექტიანი სისტემა, რაც ამცირებს მათ მიმართ ინვესტორთა ნდობას და ინტერესს. მესამე, წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ინსაიდერთა ჯგუფები, რომლებიც არ არიან დაინტერესებული აქციონერთა წრის გაფართოებით. მეოთხე, შიგა დანაზოგების მოცულობა უკიდურესად შეზღუდული იყო და დღესაც ასეთად რჩება. რაც არსებობს, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ გაედინება, არ ხდება შიგა საფონდო ბაზარზე და არ ხმარდება ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებას. მეხუთე, შემაფერხებელ სუბიექტურ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს უნდობლობა „უცხო“ ხალხთან ერთად რაიმე საერთო საქმეში ფულის ჩადების მიმართ, რასაც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ობიექტური საფუძველი გააჩნია. პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის განსაკუთრებით საწყის პერიოდში სოკოებივით მომრავლდა სხვადასხვა სუროგატი „ფონდები“, „ბანკები“, „საინვესტიციო კომპანიები“, „ბირჟები“ და ა.შ. ზემაღალი მოგების მიღების დაპირებით მათ მოსახლეობიდან მოიზიდეს საკმაოდ სოლიდური თანხები და მალე ამ თანხებთან ერთად გაუჩინარდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში, სხვა ქვეყნების პრაქტიკისგან განსხვავებით, საპრივატიზაციო ფონდი, რომლის დანიშნულება იყო ვაუჩერებით ვაჭრობის ორგანიზაცია, ვერ ტრანსფორმირდა სხვადასხვა სოლიდურ საინვესტიციო კომპანიად ამ ცნების კლასიკური გაგებით. აღნიშნული კი განაპირობა საპრივატიზაციო ბარათების გამოყენებამ ამ ფონდის გვერდის ავლით, რაც იმდროინდელი კანონმდებლობით იყო დაშვებული. ამის გამო ქონების მართვის სამინისტროსთან არსებულ ფონდში საპრივატიზაციო ბარათების - ვაუჩერების

მთელი მოცულობის მხოლოდ 4%-ის მობილიზაცია მოხერხდა (ჯიბუტი მ., 2003, გვ. 32).

საფონდო ბაზარი, ბუნებრივია, ეფექტიანად ვერ იფუნქციონირებდა იმ პირობებში, როცა „არ არსებობს ამ ბაზარზე მოთხოვნით უზრუნველყოფილი მიწოდება და მიწოდებით უზრუნველყოფილი მოთხოვნა“ (ჩხეიძე ი., 2015, გვ.65). ყოველივე ამან განაპირობა სახელმწიფო ქონების გასხვისება არა ბაზრის მექანიზმის გამოყენებით, არამედ სხვა მეთოდებით: კონკურსებით, აუქციონებით, პირდაპირი მიყიდვით. ყველა ამ შემთხვევაში პრივატიზაციის მომსახურებას აწარმოებდა სახელმწიფო ორგანო, რაც კორუფციის მაღალი საფრთხის შემცველი იყო.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პრივატიზაციასა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ერთი მხრივ, პრივატიზაციის სწრაფად და დემოკრატიულად განხორციელების გზა საფონდო ბირჟებზე აქციების გაყიდვაა. მეორე მხრივ, პრივატიზაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ სასურველი შედეგების მისაღწევად პრივატიზაციის პროცესის ობიექტური შედეგი უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოქმნა და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება. სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ მომხდარა. საკუთარი ნეგატიური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეალური და არა სუროგატი საფონდო ბაზრის (ბირჟის) გარეშე საკუთრებითი ურთიერთობის ცვლილებას სასურველ შედეგამდე ვერ მივყავართ.

საფონდო ბაზრის განვითარებას ყველაზე რთული პრობლემები შეექმნა საბანკო სისტემის მხრიდან. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ იქ ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საბანკო კრედიტის ბაზარი ერთმანეთისგან მკვეთრად კი არ არის გამიჯნული, არამედ ავსებენ ერთმანეთს. საფონდო ბაზრები მაშინაც კი თამაშობს მნიშვნელოვან როლს, როცა ქვეყანაში არსებობს საკმაოდ განვითარებული საბანკო სექტორი. საფონდო ბაზრები ეკონომიკურ სუბიექტებს უზრუნველყოფენ მაღალი ლიკვიდურობით და დივერსიფიცირებული პორტფელით. ეკონომიკურ სუბიექტებს ეძლევათ არჩევანის თავისუფლება ამ ორ სტრუქტურას შორის, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე: ფინანსური ბაზრის საერთო განვითარების დონეზე, მაკროეკონომიკურ

გარემოზე, ფინანსური ინსტრუმენტებისგან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის წესზე და ა.შ. ეკონომიკურ ლიტერატურაში ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ „საფონდო ბირჟები კი არ ცვლიან, არამედ ავსებენ საბანკო სესხებს“ (Levine R.,1996).

საქართველოში, სამწუხაროდ, პროცესი ზემოაღნიშნული ცივილიზებული პრაქტიკის საპირისპიროდ განვითარდა. ბანკებსა და საფონდო ბირჟას შორის თანამშრომლობა თავიდანვე გამოირიცხა და ჩამოყალიბდა არაჯანსაღი კონკურენცია, რომელიც გამოიხატა კომერციული ბანკების მიერ სხვადასხვა გზისა და სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით საფონდო ბაზარზე სრული კონტროლის დაწესებაში. ამ მიზნით, მათ შეძლეს საფონდო ბირჟის საკონტროლო პაკეტის 58%-ის ხელში ჩაგდება. შესაბამისად, ხმების უმრავლესობა მოიპოვეს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოში და დირექტორატში (ასლანიშვილი დ., 2015, გვ. 32).

კაპიტალის ბაზარზე კომერციული ბანკების მონოპოლიას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი 2008 წელს კანონმდებლობაში შეტანილმა ცვლილებამ, რომლის თანახმადაც კაპიტალის ბაზრის ორივე სეგმენტის - საბანკო კრედიტისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბირჟის) რეგულირება დაევალა საქართველოს ეროვნულ ბანკს. მანამდე, 2007 წელს, იმჟამინდელმა ხელისუფლებამ გააუქმა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც წარმოადგენდა საფონდო ბირჟის აუცილებელ ატრიბუტს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად ვისი ინტერესიც იქნებოდა გათვალისწინებული და დაცული, თავისთავად ცხადია.

პარალელურად, საბროკერო კომპანიების, როგორც საფონდო ბაზრის მონაწილე სუბიექტების მიმართ, განხორციელდა უმკაცრესი შემზღუდავი პოლიტიკა, რომლის შედეგადაც საქართველოში, ფაქტობრივად, აღარ დარჩა კომერციული ბანკისაგან დამოუკიდებელი საბროკერო კომპანია და ყველა მათგანი კომერციული ბანკის ფილიალად გადაკეთდა (ალსანიშვილი დ., 2014, გვ. 39-40). ამასთან ერთად, მაქსიმალურად შემცირდა საბროკერო კომპანიების რაოდენობა. ასეთი შეზღუდვა მოხდა არა სამართლიანი კონკურენციის გზით, არამედ ადმინისტრაციულად დაწესებული ხელოვნური მეთოდებით. კერძოდ, ეროვნულმა ბანკმა საბროკერო კომპანიებს მკვეთრად გაუზარდა საწესდებო კაპიტალის მოთხოვნები, გააუქმა სამი ტიპის ლიცენზია და დატოვა მხოლოდ ერთი - გენერალური ლიცენზია, რომლის მოსაპოვებლად საბროკერო კომპანიას

მოეთხოვებოდა 500 ათასი ლარის საწესდებო კაპიტალი. თანაც, ეს უკანასკნელი, იანგარიშებოდა მხოლოდ ფულადი რესურსების მოცულობით. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს არ აძლევდა საშუალებას დამოუკიდებელ საბროკერო კომპანიებს კონკურენცია გაეწიათ კომერციული ბანკებისთვის. ფაქტობრივად, მოხდა საფონდო ბირჟის, როგორც საბანკო სესხის ალტერნატიული წყაროს მოსპობა.

ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გაჩნდა კაპიტალის ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის შექმნის იმედი, რაც, სამწუხაროდ, არ გამართლდა. კვლავ გაგრძელდა საფონდო ბაზრის ფორმირებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების პრაქტიკა. მსვლელობა არ მისცემია პარლამენტში წარდგენილ არც ერთ ინიციატივასა და წინადადებას, რომელიც მიმართული იყო ამ საკითხის დასარეგულირებლად. ამ დროს კომერციული ბანკების წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტებულმა საფონდო ბირჟის მენეჯმენტმა უკან გამოიწვია საკანონმდებლო თუ სხვა სახის ყველა ინიციატივა, რომელიც ხელს შეუწყობდა ფასიანი ქაღალდების ნორმალური ბაზრის ფორმირებას. 2015 წლის მაის-ივნისში კომერციულიო ბანკების დაქვემდებარებაში მყოფმა საფონდო ბირჟამ დააფუძნა მეორე საფონდო მოედანი - თბილისის საფონდო ბირჟა, რითაც მთლიანად „მოასუფთავა“ სივრცე არასაბანკო ინსტიტუტებისგან (ასლანიშვილი დ., 2014, გვ. 41).

ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი რეალური სექტორის საბანკო კრედიტის ანაბრად დატოვებამ (რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ამჟამად სასესხო ბაზრის 93% სწორედ საბანკო კრედიტს უკავია და მხოლოდ 7% მოდის საფონდო ბაზარზე), გამოიწვია ინვესტიციური შიმშილი ეკონომიკაში, რომლის პირდაპირი შედეგია წარმოების მოცულობის შემცირება, მრავალი საწარმოს გაკოტრება და კრიზისული პროცესების გაღრმავება. ამ მანკიერი წრის გასარღვევად აუცილებელია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა და ამოქმედება.

გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი კონსტრუქციული პოტენციალი, რომელიც თანამედროვე პირობებში გააჩნია საფონდო ბაზარს რამდენიმე მიმართულებით. პირველი, საქართველოში საპენსიო რეფორმის გატარების შედეგად შეიქმნა ერთიანი საპენსიო ფონდი, რომელშიაც ამჟამად 1 მლრდ ლარზე მეტია აკუმულირებული. ჩვენთვის ეს საკმარისად დიდი თანხაა, რომელიც კომერციულ ბანკებს აქვთ „მიბარებული“. ვფიქრობთ, ეკონომიკის განვითარების დაჩქარების და

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა ამ ფინანსური რესურსების საფონდო ბაზარზე განთავსება, რაც ამ სტრუქტურის განვითარებას ძალიან შეუწყობდა ხელს.

ამ კონტექსტით მეტად საინტერესოა ჩილეს გამოცდილება, რომელიც წარმატებული საპენსიო რეფორმის ეტალონად ითვლება. 1980-ან წლებში ჩილეში განხორციელდა საპენსიო რეფორმა, რომელიც მოგვიანებით გაზიარებული იქნა სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნების მიერ (არგენტინა, პერუ, კოლუმბია, მექსიკა, ურუგვაი, ბოლივია). მოგვიანებით, პოსტკომუნისტური ქვეყნებიდან ჩილეს მაგალითს გარკვეული მოდიფიცირებით მიმართეს უნგრეთმა, პოლონეთმა და ყაზახეთმა. ჩვენ არ შევუდგებით ამ რეფორმის შინაარსის დეტალურ აღწერას და მივუთითებთ მხოლოდ საფონდო ბაზარზე მისი ზემოქმედების შესახებ.

მოკლე და საშუალოვადიან პერიოდში ჩილეს საპენსიო რეფორმამ ხელი შეუწყო შიდა ინვესტიციების ზრდას, განსაკუთრებით ბინათმშენებლობისა და ინფრასტრუქტურის (გზები და კომუნიკაციები) დარგებში. ამავე დროს გაიზარდა გრძელვადიანი ინვესტიციების მოცულობა. ჩილეში ფუნქციონირებდა სამი საპენსიო ფონდი და თითოეული მათგანის საშუალო სტატისტიკური პორტფელი შეადგენდა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების 40%-ს და კორპორატიული ფასიანი ქაღალდების 45%-ს. დანარჩენი წილი მოდიოდა სადეპოზიტო შენატანებზე (Economic Comission for Latin America and Caribbian (ECLAC), 2001, p. 39-40)). საპენსიო ფონდების კაპიტალიზაციამ 2005 წლისთვის ამ ქვეყნის მსპ-ს 64.9% შეადგინა, რაც ნიშნავს მათ გადაქცევას ჩილეს საფონდო ბაზრის მნიშვნელოვან მოთამაშეებად და კაპიტალის ბაზრის განვითარების აქტიურ ხელშემწყობებად.

მეორე, როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად დღის წესრიგში დგას საქართველოში სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციის ახალი ეტაპის დაწყება და, ვფიქრობთ, რაციონალური იქნება, თუკი ახლა მაინც ეს პროცესი განხორციელდება საფონდო ბაზრის მექანიზმების ფართო გამოყენებით.

მივუთითებთ ფასიანი ქაღლდების ბაზრისათვის თანამედროვე პირობებში დამახასიათებელ ზოგიერთ სხვა ხარვეზსა და ნაკლოვანებაზე. საქართველოს საფონდო ბაზარზე თანაფარდობა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებსა და კორპორატიულ ფასიან ქაღალდებს შორის უკიდურესად არაოპტიმალურია და

დიდად არის დაშორებული მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკას. ასე მაგალითად: ჩვენთან იგი შეადგენს 23:1, აშშ-ში კი 1:2. (ჯიბუტი მ., 2003, გვ.79). ასეთი თანაფარდობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენთან ძალიან მაღალია სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე საპროცენტო განაკვეთი, რაც წარმოშობს ეჭვს შესაძლო კორუფციულ გარიგებებთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთები იწვევს ბანკის აქტივების გადართვას ეკონომიკის რეალური სექტორიდან საფინანსო და სავაჭრო ოპერაციებზე, სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაზე და ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფაქტობრივად არ არსებობს მეორეული, ანუ წარმოებული ფასიანი ქაღალდები - ფიუჩერსები, ოფციონები, ვარანტები, კონვერტირებადი ობლიგაციები და სხვა. შესაბამისად, ამ გზითაც არ ხდება კაპიტალის შედინება ეკონომიკაში. განვითარებულ ქვეყნებში მეორეული ბაზრის მოცულობა 10-20-ჯერ აღემატება პირველადი ბაზრის მოცულობას, რაც, ვფიქრობთ, საყურადღებო ფაქტია.

საფონდო ბაზარი მის განკარგულებაში არსებული ყველა ინსტრუმენტით დაკავშირებული უნდა იყოს რეალურ ეკონომიკასთან და, პირველ რიგში, მის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ამის გარეშე საფონდო ბაზრის სახით ხელში შეგვრჩება მხოლოდ შემოსავლების გადანაწილებისა და ფინანსური სფეროს მსხვილი მოთამაშეების კაპიტალის კონცენტრაციის მექანიზმი.

მოცემული პარაგრაფის ბოლოს გვსურს ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე მოსაზრება და წინადადება, რომელიც, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს რეალური და ეფექტიანად ფუნქციონირებადი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას. *<u>პირველი,</u>* აუცილებელია საფონდო ბირჟის, როგორც საბაზრო ეკონომიკის დამოუკიდებელი, ძლიერი და ეფექტიანი სტრუქტურის აღდგენა, რისთვისაც:

- ყველა სახის სახელმწიფო ქაღალდის ემისია უნდა განხორციელდეს საჯარო წესით და ბირჟის საშუალებით;
- აუცილებლად უნდა გაიოლდეს პირველად აუქციონზე შუამავლების დაშვების წესი და გაძლიერდეს კონკურენციის ელემენტები;

- შემცირდეს მინიმალური საინვესტიციო თანხის მოცულობა საფონდო ბირჟაზე, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე წვრილი და საშუალო ინვესტორების თავისუფალ შესვლას;
- უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა - დამოუკიდებელი ორგანოს სტატუსით აღდგეს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, რომელიც მარეგულირებლის ამპლუაში ჩაანაცვლებს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

<u>მეორე,</u> პრივატიზაცია უპირატესად უნდა განხორციელდეს საფონდო ბაზრის საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს ამ უკანასკნელის კონსტრუქციული პოტენციალის სრულად გამოვლენას და მის სწრაფ განვითარებას.

<u>მესამე,</u> უნდა დაჩქარდეს ბირჟაზე უპირატესად ფასიანი ქაღალდების პირველადი განთავსებიდან მეორეულ განთავსებაზე გადასვლა.

<u>მეოთხე,</u> აუცილებელია საფონდო ბირჟაზე კორპორატიული ფასიანი ქაღალდების წილის იმ ზომით გაზრდა, რომ მათ შეძლონ წამყვანი როლის შესრულება საფონდო ბირჟის ფუნქციონირებაში.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეალურად ფორმირებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მისი განვითარების გარეშე პრინციპულად შეუძლებელია ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ჩვენი აზრით, ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გაკვეთილი, რომელიც საბაზრო რეფორმირების თითქმის ოცდაათწლიანი ისტორიიდან უნდა გამოვიტანოთ.

თავი III. მეწარმეობის მდგომარეობა და განვითარების მიმართულებები საქართველოში

პრივატიზაციამ, მისთვის დამახასიათებელი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების მიუხედავად, გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოში კერძო მეწარმეობის (სექტორის) ჩამოყალიბებაში. კერძო მეწარმეობა საბაზრო ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. მის მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება და გრძელვადიანი განვითარების პერსექტივა.

საქართველოში მეწარმეობის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების მიმართულების ანალიზს, ჩვენი აზრით, ორ აუცილებელ შენიშვნას წარვუმძღვარებთ. *პირველი* შეეხება „მეწარმეობის“ და „ბიზნესის“ ცნებების ურთიერთმიმართებას. თავისთავად ცხადია, რომ ეს ორი სხვადასხვა ცნებაა. მეწარმეობას ინგლისურ ენაში შეესიტყვება „Entrepreneurship“, მეწარმეს -„ Entrepreneur“, გერმანულში შესაბამისად „Unternehmerschaft“ და „Unternehmer“, რუსულში - „Предпринимательство“ და „Предприниматель“. სიტყვა „ბიზნესი“ ინგლისურიდან არის შესული ყველა სხვა ენაში და ნიშნავს “საქმეს“, ბიზნესმენი კი - საქმიან კაცს.

ტერმინოლოგიურთან ერთად, ამ ორ ცნებას შორის შინაარსობრივი განსხვავებაც არსებობს, რომლის შესახებაც საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტს, ი. შუმპეტერს. მეწარმეობის განსაზღვრისას იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქმიანობის ორიენტირებულობას სიახლეებზე (ინოვაციებზე) და გამოჰყოფდა სიახლეთა შემდეგ ხუთ ჯგუფს:

- მოხმარების ახალი საგნების წარმოება;
- წარმოებისა და ტრანსპორტის ახალი მეთოდების გამოყენება;

- ახალი კომერციული შესაძლებლობების მოძიება და ახალი ბაზრების ათვისება;
- ნედლეულის ახალი სახეობის ექსპლოატაცია;
- სამრეწველო ორგანიზაციების ახალი ტიპები (მაგ., რომელიმე დარგის რეორგანიზაცია).

შუმპეტერის მოსაზრებებზე დაყრდნობით და ჩამოყალიბებული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვყოთ მეწარმისათვის დამახასიათებელი შემდეგი თვისებები:

- მნიშვნელოვანი, გაბედული და რთული პროექტების განხორციელების უნარი;
- ახალი იდეების რეალიზებასთან დაკავშირებული რისკების საკუთარ თავზე აღებისთვის მზადყოფნა;
- პრინციპულად ახლის, ან უკვე არსებულის სრულყოფა-განვითარებაზე მუდმივი ორიენტირებულობა;

ჩამოთვლილი ნიშნები მეწარმეობას გვიხასიათებს, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესის წარმმართველ ძალას. ამ თვალსაზრისით, იგი მჭიდრო ურთიერთკავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ სისტემასთან, რაც ორმხრივ პროცესში გამოიხატება: როგორც მეწარმეობა ახდენს ზეგავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეზე, ისე კულტურულ-ისტორიული ფენომენი - რელიგია, მორალი, პოლიტიკა, ტრადიციები და ა.შ. თავიანთ გამოხატულებას პოულობენ მეწარმეობაში. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება კარგადაა აღწერილი თანამედროვე სოციოლოგიის ფუძემდებლის, მ. ვებერის ნაშრომებში (Weber M., 2002).

ბიზნესი, მეწარმეობასთან შედარებთ, გაცილებით მარტივი საქმიანობაა. იგი გულისხმობს მოგებაზე ორიენტირებულ ინდივიდის აქტივობას და მოქცეულია ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ინსტიტუციური, სოციალური და ა.შ. შეზღუდვების ჩარჩოებში. მეწარმისა და ბიზნესმენის ერთმანეთისგან განსხვავების მიზნით, შუმპეტერი გვთავაზობს „ნოვატორის“ და „კონსერვატორის“ ცნებებს. კონსერვატორი იგივე ბიზნესმენია, რომელიც ახორციელებს ძველი ფორმების, მეთოდების, საქმიანობის სფეროების ექსპლატაციას და ისწრაფვის ბაზარზე ძველი პოზიციების შენარჩუნებისკენ. ნოვატორის ქცევა სრულიად საპირისპიროა: იგი ახალი იდეების, ტექნოლოგიების, პროდუქტების და

პროექტების შექმნის გზით ცდილობს ახალი მიმართულების განვითარებას და ბაზარზე ახალი ნიშების დაპყრობას. ექსპანსიურობა არის ნოვატორის მთავარი დამახასიათებელი თვისება. „მეწარმის როლი მდგომარეობს გამოგონებათა გამოყენების გზით მოძველებული წარმოების რეფორმირებასა და განვითარებაში“ - დაასკვნის მეცნიერი (Schumpeter J., 1987. P. 35).

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ცნებები, როგორც წესი, გაიგივებულია ერთმანეთთან. მეწარმეობის შესახებ კანონში და ოფიციალურ სტატისტიკურ დოკუმენტში, რომელსაც ჩვენ ანალიზის პროცესში ვეყრდნობით (ბიზნეს სექტორი საქართველოში - 2019. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020), ფიგურირებს მეწარმეობის ცნება, რომელსაც ჩვენც ვიყენებთ.

<u>მეორე</u> შენიშვნა დაკავშირებულია ჩვენს კვლევაში მცირე და საშუალო მეწარმეობაზე ძირითადი ყურადღების კონცენტრაციასთან, რაც ორი გარემოებითაა ნაკარნახევი:

1. მცირე და საშუალო მეწარმეობა კერძო სექტორის ორგანული შემადგენელი ნაწილია. იგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, რასაც ნათლად ადასტურებს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება.

ისტორიულად მცირე მეწარმეობის საწყისების მოძიება შესაძლებელია თითქმის ყველა ძველ კულტურაში. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. ჯერ კიდევ 2100 წელს ჩვ.წ.აღ-მდე ბაბილონის მეფე ჰამურაბმა ჩამოაყალიბა მცირე მეწარმეობის ერთ-ერთი კანონი, რომლის არსი მდგომარეობდა მეწარმეთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე მცირე და საშუალო მეწარმეობამ დიდი გზა განვლო და ამჟამად იგი როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში მრავალი ეკონომიკური და სოციალური ამოცანის გადაწყვეტის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

1980-90-იან წლებში მწვავე დებატები მიმდინარეობდა მცირე და საშუალო მეწარმეობის პრობლემის გარშემო და ჩამოყალიბდა შემდეგი მოსაზრება: ეკონომიკური სისტემის განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ

სახელმწიფო მხარს დაუჭერს მცირე და საშუალო მეწარმეობას. ამ სფეროს განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მომსახურების სფეროს განვითარების პროცესში, რომელიც გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის წამყვანი სექტორი გახდა. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა მეწარმეობის კულტურის ცნება, რომელიც მოწინავე ქვეყნებში სამეურნეო საქმიანობის წამყვან პრინციპად გადაიქცა (გველესიანი რ. 1999). მცირე და საშუალო საწარმოების დახასიათებისას ყურადღებას ამახვილებენ სამ პარამეტრზე: დასაქმებულთა რაოდენობა, ბრუნვა და რეალიზებული პროდუქციის მოცულობა.

მცირე საწარმოების კლასიფიკაცია და დეფინიცია გარკვეულად განსხვავებულია ერთმანეთისაგან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, თუმცა შეიცავს საერთო ნიშნებსაც. ამჟამად **ევროკავშირი** მცირე და საშუალო საწარმოებს განიხილავს 2005 წლის 1 იანვრის კლასიფიკაციის მიხედვით. გამოიყოფა რამდენიმე ტიპის მცირე საწარმო:

- მიკრო, სადაც დასაქმებულია 1-დან 9-მდე მუშაკი, წლიური ბრუნვა კი არ აღემატება 2 მლნ ევროს;
- მცირე - დასაქმებულთა რაოდენობით 10-დან 49-მდე და 10 მლნ ევრომდე წლიური ბრუნვის მოცულობით;
- საშუალო, დასაქმებულთა რაოდენობა 50-დან 249-მდე და ბრუნვის წლიური მოცულობა 50 მლნ ევრომდე (ჰასიდი ჯ., კომსელისი ა.ს., გველესიანი რ., მექვაბიშვილი ე., გაგნიძე ი., ლეკაშვილი ე., ნაცვალაძე მ., 2009, გვ. 15).

აღნიშნული კრიტერიუმების შესაბამისად, ევროკავშირში ფუნქციონირებს 15 მლნ-მდე მცირე და საშუალო საწარმო, რაც წარმოადგენს ფირმების დაახლოებით 99.9%-ს. ამ ფირმების მიერ დაქირავებულია 97 მლნ-მდე ადამიანი (იგივე წყარო, გვ. 16). არსებული მონაცემების მიხედვით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს წამყვანი როლი უკავიათ მშენებლობაში, საბითუმო ვაჭრობაში. რაც შეეხება დიდ კომპანიებს, ისინი დომინირებენ ენერგიის წარმოებაში, ტრანსპორტში და კომუნიკაციურ მომსახურებაში.

მცირე და საშუალო საწარმოების როლი მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რაც რამდენიმე მიზეზით აიხსნება. პირველ რიგში, მცირე და

საშუალო საწარმოები ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა, რომლებიც ზრდიან ეროვნულ შემოსავალს და შედარებით სამართლიანად ნაწილდება სიმდიდრე. გარდა ამისა, მცირე და საშუალო საწარმოები აქტიურად არიან ჩართულნი სიახლეების დანერგვაში და საკუთარ ნიშას იკავებენ როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ ბაზრებზე. შეიძლება ითქვას, რომ მცირე და საშუალო საწარმოები თავიანთი ხასიათით გაცილებით უფრო მეტად ინოვაციურია, ვიდრე მსხვილი კორპორაციები. ამასთანავე, ისინი ფასდაუდებელ დახმარებას უწევენ ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც შრომის ბაზარზე გამოდიან განათლების მიღების შემდეგ. დაბოლოს, მცირე და საშუალო მეწარმეობა ის სფეროა, სადაც იბადება სამეწარმეო აქტიურობა.

აღნიშნულიდან გამომდიაარე, შემთხვევითი არ არის ფაქტი, რომ ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტში მცირე და საშუალო მეწარმეობა დახასიათებულია როგორც „ეკონომიკის ხერხემალი“ (Report of the Exper Group. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/small-business-).

სამწუხაროდ, მცირე და საშუალო საწარმოებს გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნია, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ არასტაბილურობის მაღალი დონე. ყოველწლიურად მსოფლიოში უამრავი მიკრო და მცირე საწარმო კოტრდება და იხურება არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო.

მცირე და საშუალო მეწარმეობის დადებითი და უარყოფითი მხარეები სისტემატიზირებული სახით შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს - დადებითი მხარეები:

- ფინანსურ სფეროში - მცირე და საშუალო საწარმოებს დიდ ფირმებთან შედარებით ახასიათებთ ინვესტიციების გაცილებით უფრო მაღალი უკუგება;
- სიახლეები - მცირე და საშუალო საწარმოები გაცილებით უფრო მოქნილია და უფრო სწრაფად შეუძლიათ სიახლეების ათვისება და მათი ტრანსფორმირება ახალ პროდუქციასა და მომსახურებაში;
- მცირე და საშუალო საწარმოები დიდ კომპანიებს აწვდიან აუცილებელ რესურსებს, მაკომპლექტებელ მასალებს, დეტალებსა და კვანძებს;
- დასაქმება - მცირე და საშუალო საწარმოებს შეუძლიათ წამოებაში დასაქმებულთა რაოდენობის სწრაფი გაზრდა. მათ ახასიათებთ დიდი

მოქნილობა, ანუ ამ ტიპის საწარმოებში შედარებით გაადვილებულია ერთი სამუშაო ადგილიდან მეორეზე გადასვლა.

უარყოფითი მხარეები:

- მცირე მეწარმეობა ძალიან არის დამოკიდებული ცალკეული ადამიანების ძალისხმევაზე, ვინც ამ საქმიანობას ახორციელებს;
- როგორც წესი, მცირე საწარმოები ბაზრის ინდივიდუალური მოთამაშეებია და მომხმარებელს პროდუქციის საკმაოდ შეზღუდულ ასორტიმენტს სთავაზობს;
- მცირე მეწარმეობას, მთელ რიგ შემთხვევაში, სიძნელეები ახასიათებს საჭირო მოცულობის კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებით.

თანამედროვე მცირე და საშუალო საწარმოებზე არსებით ზეგავლენას ახდენს გლობალიზაციისა და ინფორმატიზაციის პროცესები. ბევრი მათგანი თავიანთი წარმოშობის მომენტიდანვე ორიენტირებულია არა ლოკალურ, ან ეროვნულ ბაზრებზე, არამედ გლობალური ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასეთი ტიპის საწარმოებს ეკონომიკურ ლიტერატურაში „გლობალურად შობილ ფირმებს“ უწოდებენ.

2. მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი განსაკუთრებულია პოსტკომუნისტური საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში, რაც აიხსნება ჩვენი ქვეყნის როგორც რესურსული შეზღუდულობით, ისე სახალხო მეურნეობის არსებული სტრუქტურით, მეურნეობრიობის ჩამოყალიბებული ტრადიციებით, კულტურით და ა.შ. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ ჩვენ დღევანდელ რეალობას და განვითარების პერსპექტივას ყველაზე უკეთ მცირე და საშუალო მეწარმეობის ფენომენი პასუხობს.

3.1. მეწარმეობის თანამედროვე მდგომარეობის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს კანონი მეწარმეობის შესახებ განსაზღვრავს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შემდეგ ტიპებს:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს);
- სააქციო საზოგადოება (სს);

- სოლიდური პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- კომანდიტური საზოგადოება;
- კოოპერატივი;
- ინდივიდუალური მეწარმე.

საწარმოები ზომის მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად: მცირე, საშუალო და მსხვილი. მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- მცირე საწარმოებისათვის - 50 დასაქმებულსა და 12 მლნ. ლარს;
- საშუალო საწარმოებისათვის - 249 დასაქმებულს ან 60 მლნ. ლარს;
- მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება 249 კაცს ან წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს.

საწარმოთა ზემოთ აღნიშნული გრადაცია მოქმედებს 2017 წლიდან.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში მეწარმეობა ვითარდებოდა ნელი ტემპით, თუმცა სისტემატურად, რასაც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზიც ადასტურებს. რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 2015 წლის 561923 ერთეულიდან 2019 წელს გაიზარდა 723067 ერთეულამდე, ანუ 23%-ით. ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით საწარმოთა ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირებული იყო ვაჭრობაში და 2019 წელს შეადგენდა 157769 ერთეულს, ანუ რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის 21.8%-ს.* მას მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა, თუმცა პირველ სამეულში იკავებდა ადგილებს დამამუშავებელი მრეწველობა, სადაც დაფიქსირებული იყო 34710 საწარმო, ანუ საწარმოთა საერთო რაოდენობის 4.8% და მშენებლობა - 20872 საწარმო, ანუ 2.8%. ყველაზე ნაკლები საწარმო - 725 ერთეული - რეგისტრირებული იყო „წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების“ სფეროში, რაც ამ ტიპის საქმიანობის დიდი სპეციფიკურობით აიხსნება. ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ საქმიანობის ეკონომიკური საქმიანობის

---

* *მოცემულ პარაგრაფში გამოყენებული მონაცემები აღებულია სტატისტიკური კრებულიდან „ბიზნეს სექტორი საქართველოში - 2019“, ცხრილები ჩვენს მიერ არის შედგენილი აღნიშნული სტატისტიკური კრებულის მასალებზე დაყრდნობით.*

სახეობების ჩამონათვალში ყველაზე დიდი წილი უკავია, რომელთა საქმიანობაც უცნობია. მათი რაოდენობა შეადგენს 401273 ერთეულს, ანუ რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის 55.4%. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ისინი არიან ფორმალურად დარეგისტრირებული, ანუ ფიქტიური საწარმოები, რომლებიც არ ახორციელებენ რაიმე ეკონომიკურ საქმიანობას. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ გამარტივებული პროცედურების გამო საქართველოში ბევრი მეურნე სუბიექტი ტარდება რეგისტრაციაში, თუმცა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს საქმიანობის დაწყებას და კიდევ უფრო მცირე - მის გაგრძელებას. აღნიშნულ გარემოებას ბევრი მიზეზი გააჩნია, რომლებსაც ოდნავ მოგვიანებით შევეხებით. მოგვყავს ცხრილი N2, რომელიც ასახავს ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის დინამიკას ბოლო ხუთი წლის მანძილზე (2015-2019 წ.წ.).

ეკონომიკური საქმიანობის სახეები	2015	2016	2017	2018	2019
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	4940	5410	5692	5979	6267
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	1369	1461	1581	1676	1744
დამამუშავაბელი მრეწველობა	28462	29853	31494	33192	34710
ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება;	247	261	267	277	294
წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარცენების მართვა და დაბინძურებისგან გასუთავების საქმიანობა	667	678	689	700	725

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2015-2019 წ.წ. (ერთეული) ცხრილი 2

მშენებლობა	15489	16710	18066	19303	20872
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	134840	140277	146985	152975	157769
ტრანსპორტირება და დასაწყობება	16962	17869	19122	20311	21470
[illegible]	2015	2016	2017	2018	2019
[illegible]	244635	257677	275752	295576	315144
[illegible]	147	130	129	128	129
[illegible]	47594	4890	51301	5168	53578	5660	60336	6002	64993
[illegible]	13763	7821	14603	8133	15789	8737	16483	8943	17278
[illegible]	79135		83652		89614		94497		99074
[illegible]	34344	10681	37512	3360	39246	1302	42049	3777	44354
[illegible]	10174		10942		11790		12503		13237
[illegible]	6281	5747	4761	6378	7524	7781	5489	8333	5723
[illegible]	45446	3062	47324	3246	45986	3688	53068	3869	55851
[illegible]	15870	4088	17402	4520	43838	4531	20204	4670	21447
[illegible]	41677		44350		47453		51074		54170
[illegible]	24857	2683	26391	2812	28399	2962	29973	3240	31667
[illegible]									
საქმიანობა უცნობია	297844	319010	345610	373060	401273

3 ფიქრობთ, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობის დინამიკა რეგიონების მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ცხრილი N3-ში.

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით 2015-2019 წ.წ. (ერთეული)
ცხრილი 3

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეგისტრირებული საწარმოების რაოდენობის მიხედვით, უდიდესი უპირატესობით მყარად უკავია პირველი ადგილი თბილისს. 2015 წელს თბილისში რეგისტრირებული იყო 244635 საწარმო, ანუ ქვეყანაში რეგისტრირებული საწარმოების საერთო რაოდენობის დაახლოებით 34%. შემდეგი ადგილები ეკავათ: იმერეთს - 99074 საწარმო, ანუ საერთო რაოდენობის 13.7%, აჭარას - 64993 საწარმო, ანუ საერთო რაოდენობის 8.9%, სამეგრელო-ზემო სვანეთს - 55851 საწარმო, ანუ საერთო რაოდენობის 7.7% და მას მცირედით ჩამორჩებოდა ქვემო ქართლი - 54170 საწარმო, ანუ 7.4%.

საწარმოთა ყველაზე მცირე რაოდენობა - 5723 ერთეული, ანუ საერთო რაოდენობის 0.8% რეგისტრირებული იყო რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, რაც ადვილი ასახსნელია. როგორც ცნობილია, ეს რეგიონი, განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმის ნაწილი, ფაქტობრივად, დაცლილია მოსახლეობისგან და იქ ადამიანები ძირითადად დასასვენებლად ჩადიან. დარეგისტრირებულ საწარმოთა მცირე რაოდენობით გამოირჩევა გურია - 17278 ერთეული, ანუ საერთო რაოდენობის 2.3% და სამცხე-ჯავახეთი - 21447, ანუ 2.9%. ორივე რეგიონი შეიძლება მივაკუთვნოთ დეპრესიულ ჯგუფს, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

გურია საბჭოთა პირობებში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ეკონომიკურად აქტიურ მხარეს წარმოადგენდა, სადაც განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ტუნგო და ა.შ.) წარმოება და კვების მრეწველობა. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად დასაქმებული იყო ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკებში, საკონსერვო ქარხნებში და ა.შ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ უმძიმესი ზეგავლენა იქონია ამ რეგიონზე: წარმოების ტრადიციული ფორმები დაინგრა ისე, რომ მათ ადგილას ახალი არ შექმნილა. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უმუშევარი დარჩა, რომელმაც თბილისს მიაშურა, ან უცხოეთში წავიდა სამუშაოს საძებნელად. განსაკუთრებით გავრცელებულია მეზობელ თურქეთის სახელმწიფოში სეზონურ სამუშაოებზე გურიის, ისე, როგორც აჭარის მოსახლეობის მასობრივი გასვლა.

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივი არაქართულენოვანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მასობრივად ემიგრირდა საზღვარგარეთ, განსაკუთრებით რუსეთსა და საბერძნეთში.

სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები 2015-2019 წ.წ.
ცხრილი 4

სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა (ერთეული)	561923	596337	638994	681376	723067
ბრუნვა (მლნ ლარი)	56984.8	64081.8	71740.1	86625.1	109024.3
გამოშვებული პროდუქცია (მლნ ლარი)	29993.9	3415.9	38206.8	41649.2	47494.7
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	14761.0	16772.4	19036.3	20726.9	23296.0
ძირითადი კაპიტალი (მლნ ლარი)	24829.9	28195.1	34880.5	33754.5	36785.1
დასაქმებულთა რაოდენობა	626739	666790	708165	734215	756852

(კაცი)					
ფინანსური შედეგი (მოგება, ზარალი - მლნ ლარი)	1967.6	4179.5	6002.6	5925.8	6999.9
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება (ლარი)	896.8	938.3	1019.7	1101.3	1161.7

გავაანალიზეთ რა სამეწარმეო სფეროს ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები (ცხრილი N4) და შევადარეთ ისინი 2015 წლის შესაბამის მაჩვენებლებს, მივიღეთ შემდეგი სურათი. 2915 წელს 561923 რეგისტრირებული საწარმოს ბრუნვამ შეადგინა 56984.6 მლნ ლარი, 2019 წელს - 723067 საწარმოს ბრუნვამ კი - 109024.3 მლნ ლარი. აღნიშნულ პერიოდში საწარმოთა რაოდენობა გაიზარდა 23.7%-ით, ხოლო ბრუნვის მოცულობა - 52.2%-ით, რაც საწარმოთა ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაზე მიუთითებს. გამოშვებული პროდუქციის მოცულობა 2009 წელს 2015 წელთან შედარებით გაიხარდა 17500.8 ათასი ლარით, დამატებული ღირებულება - 8535 ათასი ლარით, ძირითადი კაპიტალის მოცულობა - 11955.2 ათასი ლარით, დასაქმებულთა რაოდენობა - 130113 კაცით. 2019 წელს საწარმოებმა მიიღეს 2015 წელთან შედარებით 5032.3 ათასი ლარით მეტი მოგება, შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება გაიზარდა 264.9 ლარით (იხ. ცხრილი N4).

რეგისტრირებულ საწარმოთა საერთო რაოდენობიდან (723067) სახელმწიფო საწარმო იყო 1426, არასახელმწიფო - 721164. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების თვალსაზრისით, თანაფარდობა სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოთა შორის 2019 წელს იყო შემდეგი: რეგისტრირებულ საწარმოთა მთლიანი ბრუნვა შეადგენდა 109024.3 მლ ლარს, აქედან სახელმწიფო საწარმოების ბრუნვა იყო 2840.6 მლნ ლარს, ანუ საერთო ბრუნვის 2.6%-ს; არასახელმწიფო საწარმოების ბრუნვა შეადგენდა 1061837 მლნ ლარს, ანუ საერთო ბრუნვის 97.4%-ს. სახელმწიფო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 1962.0 მლნ ლარს, ანუ საერთო მოცულობის (47494.7 მლნ ლარი) 4.13%-ს. არასახელმწიფო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა შეადგენდა 45532.8 მლნ ლარს, ანუ საერთო მოცულობის 95.87%-ს. სახელმწიფო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება შეადგენდა 1159.9 მლნ ლარს, ანუ საერთო მოცულობის 4.9%-ს, არასახელმწიფო საწარმოების დამატებული ღირებულება კი იყო 22136.1 მლნ ლარი, ანუ საერთო მოცულობის 95.1 %. ასევე უმნიშვნელოვანესია არასახელმწიფო საწარმოების როლი ძირითადი კაპიტალის მოცულობაში - 80.4% და დასაქმებულთა რაოდენობაში - 92.4%.შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ჩატარებული პრივატიზაციის მთავარი შედეგი - კერძო მეწარმეობა (კერძო სექტორი) გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

საინტერესოა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით საწარმოების რაოდენობის დინამიკა 2015-2019 წ.წ., რომელიც მოცემულია ცხრ. N5.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით	2015	2016	2017	2018	2019

რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით (ერთეული)
ცხრილი 5

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	169014	189741	214662	239492	261680
სააქციო საზოგადოება	2142	2193	2279	2408	2603
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	2745	2740	2737	2737	2735
კომანდიტური საზოგადოება	186	186	185	188	188
კოოპერატივი	4186	4719	4966	5141	5278
უცხოური საწარმოს ფილიალი	1136	1342	1473	1554	1668
ინდივიდუალური მეწარმე	382514	395416	412692	429856	448915
საკუთრების ფორმების მიხედვით	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
არასახელმწიფო კერძო პირი	560408	594868	637556	679944	721641
საქართველოს მოქალაქე	537749	567227	602585	636224	672102
უცხოელი კერძო პირი	17956	22011	28250	35775	40655
კერძო შერეული	4703	5630	6721	7945	8884
სახელმწიფო	1515	1469	1438	1432	1426
სულ	561923	596337	638994	681376	723067

ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით 2015-2019 წლებში საწარმოთა ხვედრითი წილის შემდეგ ცვლილებას ჰქონდა ადგილი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წილი 30.1%-დან გაიზარდა 36.2%-მდე, ანუ 6.1%-ით; სააქციო საზოგადოებების წილი ამ წლების განმავლობაში ყცვლელი დარჩა; კომანდიტური საზოგადოების წილი შემცირდა 0.1%-ით, ასევე შემცირდა ინდივიდუალურ მეწარმეთა რაოდენობა 68.1%-დან 62.1%-მდე, ანუ 6%-ით არასახელმწიფო საწარმოთა წილი გაიზარდა 0.1%-ით, ხოლო სახელმწიფო საწარმოების წილი შემცირდა ასევე 0.1%-ით (იხ. ცხრილი N6).

რეგისტრირებულ საწარმოთა სტრუქტურა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიხედვით (პროცენტი)
ცხრილი 6

ორგანიზაციულ-სამართლებრივი	2015	2016	2017	2018	2019

ფორმების მიხედვით					
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	30.1	31.8	33.6	35.1	36.2
სააქციო საზოგადოება	0.4	0.4	0.4	0.4	0.4
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება					
კომანდიტური საზოგადოება	0.5	0.5	0.4	0.4	0.4
კოოპერატივი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
უცხოური საწარმოს ფილიალი	0.7	0.8	0.8	0.8	0.7
ინდივიდუალური მეწარმე	68.1	66.3	64.6	63.1	62.1
საკუთრების ფორმების მიხედვით	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**
არასახელმწიფო	99.7	99.7	99.8	99.8	99.8
კერძო პირი - საქართველოს მოქალაქე	96.1	93.4	94.3	95.1	95.7
უცხოელი კერძო პირი	2.9	3.2	3.7	4.4	5.3
კერძო შერეული	0.7	0.8	0.9	1.1	1.2
სახელმწიფო	0.3	0.3	0.2	0.2	0.2
სულ	100	100	100	100	100

2019 წელს საწარმოთა ზომის მიხედვით ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები შემდეგნაირად იყო განაწილებული: ბრუნვის მთლიან მოცულობაში (109024.3 მლნ ლარი - 100%) 55.5% მოდიოდა მსხვილ, 19.3% და 25.2% - მცირე საწარმოებზე. გამოშვებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში (47494.7 მლნ ლარი), შესაბამისად, მსხვილი საწარმოების წილი შეადგენდა 41.6%-ს, საშუალო საწარმოების - 26.4%-ს, მცირე საწარმოების - 32.0%-ს და ა.შ. (იხ. ცხრილი N7).

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები საწარმოთა ზომის მიხედვით 2019 წ.
ცხრილი 7

	მთლიანად	**მათ შორის**

		მსხვილი	საშუალო	მცირე
ბრუნვა (მლნ ლარი)	109024.3	60504.6	21065.5	27454.2
ბრუნვის წილი (პროცენტი)	100.0	55.5	19.3	25.2
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	47494.7	19765.9	12535.6	15193.3
გამოშვებული პროდუქციის წილი (პროცენტი)	100.0	41.6	26.4	32.0
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	23296.0	9491.4	5906.7	7897.9
დამატებული ღირებულების წილი (პროცენტი)	100.0	40.7	25.4	33.9
წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები (მლნ ლარი)	102090.5	58819.6	19196.8	24074.0
წარმოებისა და რეალიზაციის მთლიანი ხარჯების წილი (პროცენტი)	100.0	57.6	18.8	23.6
ფინანსური შედეგი (მოგება, ზარალი; მლნ ლარი)	6999.9	2248.4	1336.1	3415.4
ძირითადი კაპიტალი (მლნ ლარი)	6785.1	18698.7	8334.3	9752.1
ძირითადი კაპიტალის წილი (პროცენტი)	100.0	50.8	22.7	26.5
დასაქმება (კაცი)	756852	265184	152516	339152
დასაქმებულთა წილი (პროცენტი)	100.0	35.0	20.2	44.8
ხელფასი და გასამრჯელო (ლარი)	1161.7	1303.3	1416.8	893.5
შრომის მწარმოებლურობა (1 დასაქმებულზე, ლარი)	62753	74536	82192	44798

საკუთრების ფორმების მიხედვით ეკონომიკური მაჩვენებლები აბსოლუტურ სიდიდესა და წილებში შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი (იხ. ცხრილი N8).

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ არასახელმწიფო სექტორის საწარმოები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ქვეყნის ეკონომიკაში. მათი ხვედრითი წილი, სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, მერყეობს 92.5%-დან (დასაქმებულთა წილი) 97.4%-მდე (ბრუნვის წილი). სახელმწიფო საკუთრების საწარმოები კერძოს ჭარბობენ ერთადერთი - კაპიტალაღჭურვილობის მაჩვენებლით (48.6% და 42.3%), თუმცა ერთ დასაქმებულზე შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლით არასახელმწიფო საწარმოები თითქმის 2-ჯერ აღემატებიან სახელმწიფო საწარმოებს.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები საწარმოთა საკუთრების ფორმების მიხედვით 2019 წ.
ცხრილი 8

	მთლიანად	შორის მათ	
		სახელმწიფო	არასახელმწიფო
ბრუნვა (მლნ ლარი)	109024.3	2840.6	106183.7
ბრუნვის წილი (პროცენტი)	100.0	2.6	97.4
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	47494.7	1962.0	45532.8
გამოშვებული პროდუქციის წილი (პროცენტი)	100.0	4.1	95.9
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	23296.0	1159.9	22136.1
დამატებული ღირებულების წილი (პროცენტი)	100.0	5.0	95.0
წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯები (მლნ ლარი)	102090.5	3259.9	98830.5
წარმოებისა და რეალიზაციის მთლიანი ხარჯების წილი (პროცენტი)	100. 0	3.2	96.8
ფინანსური შედეგი (მოგება, ზარალი; მლნ ლარი)	6999.9	- 187.8	7187.7
ძირითადი კაპიტალი (მლნ ლარი)	36785.1	7176.7	29608.4
ძირითადი კაპიტალის წილი (პროცენტი)	100.0	19.5	80.5
დასაქმება (კაცი)	756852	56975	699877
დასაქმებულთა წილი (პროცენტი)	100.0	7.5	92.5
ხელფასი და გასამრჯელო (ლარი)	1161.7	1106.3	1166.6
შრომის მწარმოებლურობა (1 დასაქმებულზე, ლარი)	l 62753	34435	65058
კაპიტალის მწარმოებლურობა (ლარი)	1291.1	273.4	1537.8
კაპიტალაღჭურვილობა (ათასი ლარი)	48.6	126.0	42.3

საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ერთიანი ბაზრის) შექმნის, დიდ ქალაქებს (განსაკუთრებით თბილისს) და რეგიონებს შორის ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის დაძლევის, მოსახლეობის ადგილზე დასაქმების და, შესაბამისად, რეგიონებიდან ემიგრაციის შემცირების, ადგილობრივი რესურსების გამოყენების საფუძველზე რეგიონებში თანამედროვე ბიზნეს-პრაქტიკის დამკვიდრების და ა.შ. თვალსაზრისით.

საწარმოთა საერთო რაოდენობის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი თავმოყრილია თბილისში, რომლის ხვედრითი წილი 2015-2019 წლებში 43.8%-დან (2015 წ.) 43.2%-მდე (2017 წ.) მერყეობდა. შემდეგ იყო იმერეთი - 14.2% (2015 წ.) და 13.9% (2019 წ.); აჭარის არ და

სამეგრელო-ზემო სვანეთი - 8.2% და 8.1% (2015 წ.), 8.9% და 7.5% (2019 წ.). ყველაზე დაბალი წილი მოდიოდა რაჭა-ლეჩხუმინს და ქვემო სვანეთის რეგიონზე - 0.7% და 0.8% (იხ. ცხრ.N 9).

რეგისტრირებულ საწარმოთა სტრუქტურა რეგიონების მიხედვით 2015-2019 წ.წ.(პროცენტი)
ცხრილი 9

	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	43.8	43.5	43.2	43.2	43.4
აფხაზეთის არ	---	---	---	---	---
აჭარის არ	8.2	8.5	8.6	8.7	8.9
გურია	2.5	2.4	2.4	2.4	2.4
იმერეთი	14.2	14.1	14.0	14.0	13.9
კახეთი	6.0	6.1	6.3	6.2	6.2
მცხეთა - მთიანეთი	1.9	1.8	1.8	1.8	1.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.7	0.8	0.8	0.8	0.8
სამეგრელო - ზემო სვანეთი	8.1	8.1	8.0	7.9	7.8
სამცხე - ჯავახეთი	2.7	2.8	2.9	2.9	3.0
ქვემო ქართლი	7.4	7.4	7.4	7.4	7.5
შიდა ქართლი	4.5	4.4	4.5	4.4	4.4
სულ	100	100	100	100	100

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: თბილისის წილი ბრუნვის საერთო მოცულობაში შეადგენს 75%-ს; იმერეთის - 3.9%, აჭარა არ - 6.8%. ტრადიციულად ყველაზე დაბალი ხვედრითი წილით წარმოდგენილია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი - 0.1%. პროდუქციის გამოშვების აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკა 2015-2019 წ.წ. იხ. ცხრილი N10 .

რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვა რეგიონებში 2015-2019 წ.წ. (მლნ ლარი)
2015-2019 წ.წ. (ერთეული)

ცხრილი 10

	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	40873.6	46107.8	51050.6	63943.7	81837.0
აფხაზეთის არ	---	---	---	---	---
აჭარის არ	4155.5	4755.8	5176.9	5695.0	7399.4
გურია	355.0	446.3	482.5	487.3	558.7
იმერეთი	2591.4	2860.0	3484.1	4010.9	4285.1
კახეთი	963.4	1104.4	1425.5	1494.0	1871.8
მცხეთა - მთიანეთი	730.7	709.1	893.2	953.8	1204.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	50.6	67.5	80.0	82.9	110.7
სამეგრელო - ზემო სვანეთი	1957.7	2237.2	2365.1	2676.2	3200.3
სამცხე - ჯავახეთი	709.7	828.9	1054.1	1110.9	1420.0
ქვემო ქართლი	3347.4	3603.1	4272.2	4527.4	5130.3
შიდა ქართლი	1196.3	1300.2	1376.9	1537.9	1916.0

რაც შეეხება რეგიონებში გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობის ხვედრით წილს, აქაც უპირობო ლიდერი ისევ თბილისია - 62.7%, შემდეგ მოდის აჭარის არ - 9.3%, ქვემო ქართლი - 7.7%, იმერეთი - 5.7%. ყველაზე დაბალი მაჩვენებლი აქვს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს - 0.2%, თუმცა 2019 წელს 2015 წელთან შედარებით (0.09%) გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა. ხვედრითი წილი გამოთვლილია ცხრილი N11-ის საფუძველზე.

პროდუქციის გამოშვება 2015-2019 წ.წ. (მლნ ლარი)
ცხრილი 11

	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	19648.9	22504.4	24429.4	26747.0	29768.8
აფხაზეთის არ	---	---	---	---	---
აჭარის არ	2426.3	3079.6	3155.0	3532.9	4426.1
გურია	219.6	301.0	324.2	326.1	388.7
იმერეთი	1497.6	1645.0	2264.3	2553.8	2701.6
კახეთი	637.2	681.9	910.9	972.4	1269.7
მცხეთა - მთიანეთი	592.2	612.5	744.5	798.7	1034.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	42.8	47.4	56.3	75.5	90.9
სამეგრელო - ზემო სვანეთი	1292.3	1456.4	1732.2	1578.0	2079.7
სამცხე - ჯავახეთი	485.1	589.4	729.6	795.4	998.3
ქვემო ქართლი	2326.4	2423.5	2955.1	3219.2	3638.2
შიდა ქართლი	772.1	756.3	826.3	945.3	1008.2

დამატებული ღირებულების დინამიკა აბსოლუტურ მონაცემებში რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილი N 12.

დამატებული ღირებულება რეგიონების საწარმოებში 2015-2019 წ.წ. (მლნ ლარი) 5.1 ცხრილი 12

	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	10238.6	11865.4	12731.2	14075.7	15378.7
აფხაზეთის არ	---	---	---	---	---
აჭარის არ	1171.0	1368.0	1509.7	1784.4	2382.2
გურია	113.4	118.2	162.2	152.6	157.3
იმერეთი	836.5	720.1	1014.1	1151.4	1247.2
კახეთი	260.7	349.7	468.4	436.0	481.2
მცხეთა - მთიანეთი	250.0	236.5	283.2	306.5	361.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	23.7	26.6	31.8	46.1	37.0
სამეგრელო - ზემო სვანეთი	548.1	614.9	919.3	699.3	937.2
სამცხე - ჯავახეთი	226.9	286.5	383.3	400.2	496.3
ქვემო ქართლი	799.5	892.4	1199.3	1249.7	1309.1
შიდა ქართლი	249.3	246.2	264.1	336.3	429.5

მოცემული ცხრილიდან შეგვიძლია გავიანგარიშოთ დამატებული ღირებულების მაჩვენებლების მიხედვით ცალკეული რეგიონების ხვედრითი წილი 2019 წლისათვის, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ თბილისის ხვედრითი წილი შეადგენს 66%-ს, აჭარის არ - 10.2%, ქვემო ქართლის - 5.6%, იმერეთის - 5.4% და ა.შ.

ჩვენი ანალიზი, როგორც ვხედავთ, შემოიფარგლა 2019 წლით, რასაც თავისი ობიექტური მიზეზი გააჩნია. 2020 წელი აღინიშნა მსოფლიო და ეროვნულ სახელმწიფოებრივ

ეკონომიკებზე კორონავირუსის პანდემიის კატასტროფული ზემოქმედებით, რომელმაც, ფაქტობრივად, ეკონომიკური აქტიურობის პარალიჩი გამოიწვია. კორონამ უაღრესად ნეგატიური გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზეც, რასაც ადასტურებს მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლის - მთლიანი სამამულო პროდუქტის შემცირების მაჩვენებელი, რომელმაც 6.1% შეადგინა და თითქმის ორჯერ აღემატება 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის ზეგავლენით მსპ-ს შემცირების მაჩვენებელს (3.2%) პანდემია ჯერ კიდევ გრძელდება და მისი საბოლოო შედეგების ანალიზი მომავლის საქმეა.

ამრიგად, წარმოდგენილი სტატისტიკური მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ბოლო წლების მანძილზე სამეწარმეო სფეროს ფუნქციონირების ყველა მნიშვნელოვანი მაჩვენებელი გაუმჯობესებულია. მართალია, მკვეთრი წინსვლა არ არის, მაგრამ ტენდენცია ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა. აღნიშნული შეიძლება მიჩნეული იქნეს სახელმწიფოს მხრიდან მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელების პირდაპირ და უშუალო შედეგად.

მოკლედ შევეხებით საქართველოში გატარებულ მეწარმეობის მხარდამჭერ ღონისძიებებს. მათ შორის, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. აღნიშნული პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: ა) ფინანსურ ხელმისაწვდომობას; ბ) ინფრასტრუქტურაზე (უძრავ ქონებაზე) ხელმისაწვდომობას; გ) საკონსულტაციო მომსახურებას. აქედან გამომდინარე, გათვალისწინებულია მეწარმეთათვის შემდეგი შეღავათების გაწევა:

- 1 ლარად ქონების გადაცემა;
- გირაოში სახელმწიფოს თანადგომა;
- სესხებზე პროცენტის ნაწილის სუბსიდირება.

2015 წელს პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დაემატა რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების მხარდამჭერი კომპონენტი. იგი ემსახურება რეგიონებში როგორც ახალი ბინზესის წამოწყებას, ისე არსებულის გაფართოებას. აღნიშნული მიზნით გამოიყენება ფინანსური მექანიზმები, მაგალითად, ფინანსური მხარდაჭერა - 1 მეწარმეზე მაქსიმუმ 5000 ლარი; 2 მეწარმეზე - მაქსიმუმ 10 000 ლარი, მეწარმეთა ჯგუფზე მაქსიმუმ 15 000 ლარი. ასევე გათვალისწინებულია მოთხოვნილი თანხის მინიმუმ 20%-იანი თანამონაწილეობა და ტექნიკური ხასიათი მხარდაჭერა (პროფესიონალური ბიზნეს-კონსალტინგი, ბიზნეს-უნარების ტრეინინგი, ბიზნეს-გეგმების შედგენაში დახმარება, ინდივიდუალური კონკულტაციები და სხვა). მნიშვნელოვანი იყო საგადასახადო კოდექსში შეტანილი

ცვლილება, რომლითაც მაღალმთიანი რეგიონების მეწარმეები განთავისუფლდნენ მოგებისა და ქონების გადასახადებისაგან.

2015-2018 წ.წ. მონაცემებით, პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილია 6212 სამეწარმეო პროექტი, რომელთა ჯამური დაფინანსება შეადგენს 61 მლნ ლარზე მეტს. თანადაფინანსების სახით გაიცა 46.9 მლნ ლარი. სულ დაფინანსებულია 9384 ბენეფიციარი (სამადაშვილი უ., 2019, გვ. 165) [სამადაშვილი უ. (2019). მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და როლი თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში.; ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ.11, N4].

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულ დარგად გამოცხადებას და, შესაბამისად, მისი მხარდაჭერის ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას. კერძოდ, შეიქმნა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, სოფელში მაცხოვრებლებს დაურიგდათ ვაუჩერები, პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი კოოპერაციის შესახებ, განხორციელდა სუბსიდირება, აგროდაზღვევა და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლების ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მიზნით, ამოქმედდა „შეღავათიანი აგროკრედიტის“ და „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტები.

აღსანიშნავია მეწარმეობის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება, რომელმაც მოიცვა:

- სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შემოღება;
- მოგების გადასახადის ე.წ, „ესტონური მოდელის“ დანერგვა, რაც გულისხმობს რეინვესტირებაზე მიმართული მოგების გადასახადიდან განთავისუფლებას;
- საგადასახადო სანქციების ლიბერალიზაცია;
- დაუბეგრავი მინიმუმის შემოღება;
- ერთიანი სახაზინო კოდის დანერგვა;
- დამატებული ღირებულების გადასახადის ზედმეტობის დაბრუნების ავტომატური სერვისის ამოქმედება.

2018 წლის 1 ივლისს საგადასახდო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც მეწარმის ერთობლივი შემოსავლის ზღვარი 100 ათასი ლარიდან 500 ათას ლარამდე გაიზარდა, დასაბეგრი შემოსავალი კი 5%-იანი განაკვეთიდან 1%-მდე შემცირდა. შემოსავალი 3%-იანი განაკვეთით იბეგრება იმ შემთხვევაში, თუ იგი 500 ათას ლარს გადააჭარბებს (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010, გვ. 84. მაშასადამე, მცირე მეწარმის სტატუსის მატარებელმა ეკონომიკურმა სუბიექტებმა მკვეთრად გამოხატული შეღავათები მიიღეს როგორც ერთობლივი შემოსავლის ზღვრის გაზრდით, ისე დასაბეგრი

შემოსავლის განაკვეთის შემცირებით. თუ გავითვალისწინებთ, რომ მცირე მეწარმის სტატუსი ამჟამად 120 ათასამდე ფიზიკურ პირს გააჩნია, მათთვის ასეთი შეღავათების მინიჭება მნიშვნელოვანი სტიმული უნდა გახდეს. აღნიშნული ღონისძიებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის დანაკარგი დაახლოებით 40 მლნ ლარს შეადგენს, რაც არც თუ ისე დიდ თანხად შეიძლება ჩაითვალოს ბიუჯეტისთვის.

მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის კონტექსტში უნდა იქნეს განხილული მიკრომეწარმის სტატუსის შემოღებაც, რომელზედაც ვრცელდება დაბეგვრის სპეციალური რეჟიმი - მიკრომეწარმე არ იხდის საშემოსავლო გადასახადს და სარეგისტრაციო გადასახდელს.

2018 წლის 20 აგვისტოდან ახალი რედაქციით განახლდა 2011 წელს ამოქმედებული მიკრობიზნესის ხელშეწყობის პროგრამა. აღნიშნული ცვლილების შედეგად, 1 მეწარმე სუბიექტზე საგრანტო თანხა 20 ათას ლარამდე გაიზარდა და შესაძლებელი გახდა 2015-2017 წ.წ. დაფინანსებული ბენეფიციარების (სტარტაპების) განმეორებით დაფინანსება. სტარტაპების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა 20 მლნ ლარიანი ფონდი, რომელშიაც 6 მლნ ლარი ევროკავშირის გრანტის სახით იქნა შეტანილი.

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების ხელშემწყობი ფაქტორების გვერდით, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს რიგი მოვლენები და პროცესები, რომლებიც საპირისპირო მიმართულებით მოქმედებს. მათ რიცხვს განეკუთვნება:

- სასამართლო სისტემის მოუქნელობა და უკიდურესად დაბალი ეფექტიანობა სამეწარმეო ინტერესების დაცვის საკითხში. განსაკუთრებით წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ ხელყოფილი საკუთრების უფლების აღდგენაში;
- სუსტი ანტიმონოპოლიური რეგულირება და ეკონომიკის ბევრ მნიშვნელოვან სფეროში მონოპოლიების თავნებობა;
- მონეტარული გარემოს არასტაბილურობა: ლარის პერმანენტული და მტკივნეული გაუფასურება, ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე;
- უხარისხო იმპორტული პროდუქციიდან ადგილობრივი ბაზრის დაუცველობა;
- წარმოებისათვის აუცილებელი ნედლეულის უმეტესი ნაწილის ადგილობრივ ბაზარზე შეძენის შეუძლებლობა;
- ფინანსურ რესურსებზე წვდომის უკიდურესი შეზღუდულობა;
- ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონეებში რეგიონული განსხვავებების გაღრმავება და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამჟამად მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალიზებული საგადასახადო სისტემაა, საპენსიო რეფორმის შემდეგ მომხდარმა

საშემოსავლო გადასახადის წესის ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა წნეხი მეწარმეთა გარკვეულ კატეგორიაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა გამოავლინა კიდევ ერთი ხარვეზი. დაფიქსირდა, რომ საქართველოში ყველაზე მომგებიანია საფინანსო სექტორი (რა თქმა უნდა, საბანკო სექტორის ჩათვლით) და სავაჭრო სექტორი. ეკონომიკის რეალურ სექტორში, ჯერ ერთი, საწარმოთა გაცილებით ნაკლები რაოდენობაა და, მეორე, მათი მოგება შეუდარებლად ნაკლებია აღნიშნული ორი სექტორის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რაც ქვეყნის ეკონომიკის არასწორი მიმართულებით განვითარებაზე მიგვანიშნებს.

შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს, ხოლო მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს.

3.2. მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემა

კერძო მეწარმეობის და, განსაკუთრებით, მცირე და საშუალო მეწარმეობის ნორმალური ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან ამ სფეროების აქტიური მხარდაჭერის გარეშე. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება სწორედ იმას მოწმობს, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა სახელმწიფოს მუდმივი და განსაკუთრებული ინტერესის ობიექტია. შესაბამისად, მთავრობები აღნიშნული მიმართულებით ატარებენ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც გამოირჩევიან სისტემურობით, კომპლექსურობით, თანმიმდევრულობით და სტაბილურობით. მაგალითად, აშშ-ში ჯერ კიდევ 1953 წელს შეიქმნა მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (მბა), რომელსაც გააჩნია ათასამდე ფილიალი მთელ ქვეყანაში. აღნიშნულ სტრუქტურას გააჩნია მაღალი ხარისხის ლეგიტიმურობა: მის ხელმძღვანელს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი და ამტკიცებს სენატი. მბა ახორციელებს მცირე და საშუალო მეწარმეობის ფინანსურ მხარდაჭერას. კერძოდ, თუკი მცირე მეწარმის მიერ აღებული სესხი არ აღემატება 750 ათას აშშ დოლარს და მეწარმე გადახდისუნარიანია, მბა ფარავს კრედიტის 75%-ს, ხოლო თუ სესხი არ აღემატება 100 ათას აშშ დოლარს, გრანტი გაიცემა სესხის 80%-ზე (http://afba.ge/?p=173). მბა ასევე ეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს შეკვეთების

მიღებაში, უწევს მათ კონსალტინგურ დახმარებას, აწვდის ინფორმაციას ბაზრის კონიუნქტურის შესახებ და ა.შ.

დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო დახმარება ასევე ითვალისწინებს მცირე და საშუალო საწარმოების კონსალტინგურ მომსახურებას და საექსპორტო პროდუქციის წარმოების წახალისების მიზნით ფინანსური დახმარების გაწევას. ამ ქვეყნის მთავრობამ მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერად შეიმუშავა 20 მლნ ფუნტი ღირებულების პაკეტი, რომლის ფარგლებში გაიცემა იაფი კრედიტები. მცირე ან საშუალო ფირმის გაკოტრების შემთხვევაში სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს სესხის 75%-ის დაფარვას. (BIS Economics Paper, 2012).

იაპონიაში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამები მოიცავს: შეღავათიან კრედიტებს და საკრედიტო გარანტიებს, შეღავათიან გადასახადებს, სუბსიდირებას, კადრების მომზადებას მცირე საწარმოებისათვის, ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ა.შ.

ჩინეთში მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერას ახორციელებს მეწარმეობის კოოპერაციისა და კოორდინაციის ჩინური ცენტრი, რომელსაც შემუშავებული აქვს ამ სფეროს მხარდაჭერის კომპლექსური სისტემა. რიგ ქვეყნებში მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა ხორციელდება შესაბამისი სამართლებრივი ბაზის საფუძველზე. მაგალითად, აშშ-ში ჯერ კიდევ 1953 წელს იქნა მიღებული „მცირე ბიზნესის აქტი“, იაპონიამ 1963 წელს მიიღო „ მცირე და საშუალო ბიზნესის კონსტიტუცია“, 1966 წელს სამხრეთ კორეამ მიიღო კანონი „მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ“ და ა.შ.
(http://www.globalsmcs.org/news/index.php?func=detail&lan=en&detailid=945&catalog=03)

ევროკავშირში მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ღონისძიებათა კომპლექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის სახელმწიფო შეკვეთების გაფორმებას. 2008-2010 წ.წ. ევროკავშირში კერძო სექტორთან დადებულმა კონტრაქტების საერთო მოცულობამ შეადგინა 876 მლრდ ევრო, საიდანაც 34% მოდიოდა მცირე და საშუალო საწარმოებზე. ცალკეულ ქვეყნებში კი ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო: ბულგარეთში - 79%, საბერძნეთში - 52% და ა.შ. (GPFI and IFC, SME Finance Policy Guide, 2011, October.)

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას უნდა ჰქონდეს კომპლექსურ-სისტემური, რეალური და არა ფრაგმენტულ-დეკლარაციული ხასიათი. უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პროგრამის შემუშავება, რომელიც უნდა წარმოადგენდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ინდიკატური გეგმის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. უცხოური გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ ასეთი პროგრამის ფუნდამენტური მიმართულებების ჩამოყალიბებას, რომელიც ემყარება მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პრიორიტეტულობის პრინციპს. პროგრამა შედგება ცალკეული ბლოკებისაგან და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის საფინანსო-საკრედიტო ინსტრუმენტების შემუშავება;
- საინვესტიციო-სტრუქტურული პოლიტიკის მიზნები, ამოცანები, პრიორიტეტული მიმართულებები;
- მცირე და საშუალო საწარმოების ტექნიკური მომსახურება და ლიზინგი;
- მცირე და საშუალო მეწარმეთა კონსალტინგური მომსახურება;
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა და ამოქმედება მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის მიზნით.

დაწვრილებით განვიხილოთ ჩამოთვლილი მიმართულებები.

მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზა. გადაუდებელი ამოცანაა მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის ეფექტიანი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, რაც გულისხმობს:

- კერძო მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი მიზეზების გარკვევას და მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება-გატარებას;
- პასუხისმგებლობის და ფუნქციების გამიჯვნას ცენტრალურ სამთავრობო ორგანოებსა და რეგიონულ სტრუქტურებს შორის მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების პროცესებში;

- მეწარმეობის პირობების შეფასების მექანიზმების შექმნას და სამეწარმეო პოლიტიკის ინსტრუმენტების მიმდინარე კონტროლის განხორციელებას.

საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციური პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს შესაბამისი მარეგლამენტირებელი კანონებისა და წესების სტაბილურობას, მემკვიდრეობითობას და მოცემული სფეროს განვითარებაზე პასუხისმგებელ უწყებათა საქმიანობაშის ურთიერთკოორდინაციას.

აღნიშნული თვალსაზრისით, მეტად მნიშვნელოვანია ერთიანი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი და ღონისძიებებს განახორციელებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს კოორდინაცია სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს შორის, რათა გამოირიცხოს ვიწრო უწყებრივი მიდგომა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების საქმეში.

აუცილებელია:

- ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმართულებებში მცირე და საშუალო მეწარმეობის, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ზემოქმედების მნიშვნელოვანი ობიექტის ადგილის ზუსტი განსაზღვრა;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფუნქციონირებაში სახელმწიფო ორგანოების ჩარევის ზომის, დროის, ფორმებისა და მეთოდების დადგენა, მოსალოდნელი შედეგების ეფექტიანობის გაანგარიშება;
- რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისათვის მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის პოლიტიკის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭება.

საქართელოში მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტიტუციური სისტემის შექმნას საფუძვლად უნდა დაედოს კანონი მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ. პროგრამა აუცილებლად უნდა დაემყაროს საერთაშორისო მასშტაბით გამოყენებულ ფორმებსა და მეთოდებს. ამასთანავე, გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებები, რასაც სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავს: წინა სისტემიდან მიღებული მემკვიდრეობა, ეკონომიკური სტრუქტურა, სამეურნეო მენტალტეტი და სხვ.

ინსტიტუციური სისტემის შემადგენელი ნაწილია მცირე და საშუალო მეწარმეობის სფეროს საკანონმდებლო რეგულირება, რომლის სრულყოფა უნდა წარიმართოს შემდეგი მიმართულებებით:

- კანონებისა და სხვადასხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ჰარმონიზაცია;
- ბიუროკრატიული პროცედურების შემცირება-გამარტივება და ამ პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილების შესუსტება;
- მცირე და საშუალო საწარმოების სარეგისტრაციო, სალიცენზიო და ადმინისტრაციული პროცედურების სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელება;
- კანონებისა და მარეგულირებელი წესების შემუშავებაში მცირე და საშუალო საწარმოთა წარმომდგენლების ჩართულობის გაზრდა მათი მოთხოვნების უკეთ გათვალისწინების მიზნით;
- კორუფციასთან ბრძოლის სისტემური და ხანგრძლივმოქმედი პროგრამის დამუშავება, განსაკუთრებით მცირე საწარმოებზე მისი ზემოქმედების შესასუსტებლად.

მცირე საწარმოთა მხარდაჭერის საკრედიტო-ფინანსური ინსტრუმენტები. აუცილებელია იმ მიზეზების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უშლიან მცირე და საშუალო საწარმოებს საჭირო ფინანსური რესურსების მიღებაში. ასეთ მიზეზებად ჩვენ მივიჩნევთ:

- კრედიტის უზრუნველყოფის შეუძლებლობა;
- სასესხო სარგებლის მაღალი განაკვეთები;
- გრძელვადიანი კრედიტების დაბალი ხვედრითი წილი კრედიტების საერთო მოცულობაში;
- გარანტიებისა და გირაოს უქონლობა;
- სპეციალისტების დეფიციტი როგორც საწარმოებში, ისე საფინანსო დაწესებულებებში;
- ბიზნეს-გეგმების დაბალი ხარისხი;
- პროექტების დაბალი ეფექტიანობა.

შექმნილ სიტუაციაში ნაკლებ ენთუზიაზმს ავლენენ განსაკუთრებით რეალურ სექტორში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო საწარმოები დაკრედიტების საკითხისადმი და სხვა გზებით ცდილობენ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას.

ფინანსური ინსტიტუტების არასრულყოფილების პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების სახელმწიფო მექანიზმების სრულყოფა. ამასთანავე, სახელმწიფო დაფინანსების დროს ზუსტად უნდა განისაზღვროს პროექტების შერჩევისა და შეფასების ობიექტური კრიტერიუმები. პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს რისკის ფაქტორი. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო რესუსები კერძო სექტორზე გაიცემა სათანადო ეკონომიკური დასაბუთების და საკრედიტო გარანტიების გარეშე, რაც საეჭვოს ხდის მათ უკან დაბრუნებას.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ხელშეწყობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი ინფრასტრუქტურის მთავარი კომპონენტების ჩამოყალიბება, რომელთა კატეგორიას განეკუთვნება: კრედიტუნარიანობა, სარისკო (ვენჩურული) კაპიტალი, ლიზინგი, ბანკისა და საფინანსო ორგანიზაციების მუშაკთა მომზადება მცირე და საშუალო საწარმოებთან მუშაობის კუთხით, კონსალტინგი და ა.შ. ყოველმხრივ უნდა წახალისდეს საწარმოთა კრედიტუნარიანობის შემსწავლელი და საკრედიტო ინფორმაციის მიმწოდებელი დამოუკიდებელი სააგენტოების შექმნა და განვითარება.

სასარგებლო იქნება განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გამოყენება ვენჩურული კაპიტალის ფონდების ჩამოყალიბებისა და სალიზინგო ოპერაციების ფართოდ დანერგვის კუთხით. შეიძლება აღინიშნოს, რომ პოსტკომუნისტური გარდამავალი ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში სწორედ ლიზინგმა, როგორც საწყისი კაპიტალის მიღების ერთადერთმა წყარომ, განსაკუთრებული როლი შეასრულა მცირე მეწარმეობის განვითარების საქმეში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამების შემუშავება. ამის მაგალითია კრედიტის გარანტიების სქემები, რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის მათ, პირველ რიგში, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრის მიერ შესაბამისი სფეროს მხარდაჭერა განხორციელდება შესაბამისი პროგრამების საფუძველზე, რომელშიაც განისაზღვრება: სახსრების წყაროები, მათი მოზიდვისა და აკუმულირების მექანიზმი, ფინანსური სახსრების მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემის ფორმები და მეთოდები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფორმებზე:

- კომერციული ბანკების საშუალებით პირდაპირი დაკრედიტება;
- გარანტირებული კრედიტების გამოყოფა, ანუ საბანკო კრედიტის გარანტირებული დაზღვევა;
- საბანკო პროცენტის სრული ან ნაწილობრივი სუბსიდირება;
- საინვესტიციო პროგრამებში წილობრივი მონაწილეობა;
- ექსპორტის დაზღვევა და სხვ.

აუცილებლობას წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური მხარდაჭერისთვის საგარანტიო ფონდის დაფუძნება. იგი პასუხისმგებლობას აიღებს ინოვაციური ტიპის პროდუქტების წარმოების განვითარებაზე.

ასევე მეტად საყურადღებო და პერსპექტიულია მცირე და საშუალო საწარმოთა საკრედიტო-საგარანტიო კოოპერატივების (კავშირების) ჩამოყალიბების საკითხი. მათ ფუნქციებს უნდა წარმოადგენდეს კავშირის წევრთა მიერ აღებულ კრედიტებზე გარანტიის გაცემა; საკრედიტო დაწესებულებებთან მოლაპარაკების გამართვა საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად და მისი წევრებისადმი დახმარება საფინანსო-საკრედიტო პრობლემების მოგვარებაში.

სასურველად მიგვაჩნია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მოგების გადასახადის გაუქმება და დივიდენდის საგადასახადო განაკვეთის 20%-მდე გაზრდა, რაც აღნიშნული ტიპის საწარმოებს გაუმარტივებს აღრიცხვიანობას. გადასახადებიდან გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსების წარმართვა შესაძლებელი იქნება რეინვესტირებასა და წარმოების განვითარებაზე. აღნიშნული ცვლილება დადებით ზეგავლენას მოახდენს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკურ ზრდაზე.

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების საკითხისადმი ფრთხილი მიდგომაა საჭირო. თავიდან უნდა იქნეს აცილებული

ნებისმიერი საგადასახადო წესი და სქემა, რომელიც წამგებიან საწარმოს ხელსაყრელ პირობას შეუქმნის არაეფექტიანი საქმიანობისთვის და მიანიჭებს მას დაუმსახურებელ კონკურენტულ უპირატესობას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის სტაბილურობა. ამ საკითხში უკანასკნელ პერიოდებში გარკვეული პოზიტიური შედეგებია მიღწეული, რომლებიც უნდა შენარჩუნდეს და განმტკიცდეს.

რაც შეეხება საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრულ შეღავათებს მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ, ისინი შემდეგში უნდა გამოიხატოს:

- ახლად შექმნილი მცირე და საშუალო საწარმოები ფუნქციონირების დაწყებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში უნდა იხდიდნენ მოგების გადასახადის მხოლოდ 50%-ს;
- მცირე და საშუალო საწარმოები სარგებლობენ დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმებით;
- მცირე და საშუალო საწარმოების მიმართ გამოიყენება გამარტივებული საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა;

მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი პრეფერენციები არსებობს სახელმწიფო შესყიდვების პროცესში. როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ასეთი პრეფერენციის რამდენიმე ფორმა გამოიყენება:

- **სეტესაიდები,** რომელიც გულისხმობს სახელმწიფო კონტრაქტების მთლიან მოცულობაში მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის განსაზღვრული კვოტის გამოყოფას. ჩვენ რეალობაში ეს პარამეტრი მიზანშეწონილია მერყეობდეს 25-30%-ის ფარგლებში;
- **პრეფერენციული სქემები,** რომლის არსი მდგომარეს თანაბარი მონაცემების სატენდერო წინადადებიდან კონტრაქტის გაფორმების უპირატესობაში იმ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც განლაგებულნი არიან დეპრესიულ და ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. ეს არის თავისებური პრეფერენციული შეღავათი და იგი უნდა წარმოადგენდეს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ორგანულ შემადგენელ ნაწილს;

- **ლოტებად დანაწილების მეთოდი,** რომელიც ასევე წარმოადგენს შესყიდვებში მცირე და საშუალო საწარმოების მონაწილეობის გამარტივებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის საშუალებას;
- **ქვეკონტრაქტების დადების მეთოდი,** რომელიც გულისხმობს ძირითადი კონტრაქტორის მიერ ქვეკონტრაქტების მესამე პირთან, ანუ მცირე საწარმოსთან კონტრაქტის დადების ვალდებულებას შესასრულებელი სამუშაოს გარკვეულ ნაწილზე.

საინვესტიციო-სტრუქტურული პოლიტიკა. კერძო მეწარმეობის განვითარება შეუძლებელია ხელშემწყობი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში კვლავ გაგრძელდება ფინანსური სახსრების არა ეკონომიკის რეალურ სექტორში, არამედ ვაჭრობაში, ფინანსურ ოპერაციებში, უძრავ ქონებაში და ა.შ. დაბანდების პრაქტიკა, რასაც თავისი ობიექტური საფუძველი გააჩნია - დაბანდებული სახსრები სწრაფად იძლევიან მაღალ უკუგებას.

საერთო მძიმე ეკონომიკურ ფონზე, როცა ადგილობრივ რეზიდენტებს არ გააჩნიათ საკმარისი დანაზოგები, საინვესტიციო რესურსების უმეტესი ნაწილი უცხოური კაპიტალის ხარჯზე ყალიბდება. შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იყო და კვლავაც უნდა დარჩეს სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანად. საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებისას დიდი ყურადღება უნდა მიენიჭოს მათი დაბანდების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრას, ანუ იმ დარგებისა და რეგიონების დაფიქსირებას, რომლებთანაც უშუალოდაა დაკაშირებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

უცხოური ინვესტიციების წამყვანი როლი არ უნდა გულისხმობდეს მათთვის რაიმე უპირატესობის ხელოვნურად მინიჭებას. პირიქით, აუცილებელია უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის თანაბარი სამოქმედო გარემოს უზრუნველყოფა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინვესტიციების ფორმების სწორად შერჩევა, რაც გულისხმობს: ა) ინვესტიციების მოზიდვას და გამოყენებას თანამედროვე მანქანა-მოწყობილობების შესაძენად და ბ) სახსრების მოზიდვას ძირითად კაპიტალში პირდაპირი ინვესტიციების ფორმით.

რეგიონული ასპექტით, მცირე მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რესურსების, მათ შორი - შრომითი რესურსის მაქსიმალურ და ეფექტიან გამოყენებას. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად მივიჩნევთ: მინერალური ნედლეულის მოპოვებას და გადამუშავებას, მაღალი ხარისხის მოსაპირკეთებელი სამშენებლო მასალების (გრანიტი, მარმარილო, ბაზალტი, ტუფი...) წარმოებას, ქიმიური მრეწველობის პროდუქციის და მის ნარჩენების (ციანოვანი ნატრიუმი, სპილენძის აჯასპი, საღებავები, დარიშხანი, მედიკამენტები, ანდაზიტის ფხვნილი და სხვ.) გამოყენებას.

დიდი შესაძლებლობები არსებობს ხალხური რეწვის საქონლის წარმოებისა და ექსპორტის გაზრდის მიმართულებით, როგორიცაა გობელენები, ხელით ნაქსოვი ხალიჩები და სხვა პროდუქცია, კერამიკული ნაწარმი, ხის და ლითონის მხატვრული ნაკეთობები, ეროვნული ტანსაცმელი, სუვენირები და სხვ.

მცირე და საშუალო საწარმოთა საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალური ამოქმედების სტიმულირების ღონისძიებათა კომპლექსმა უნდა მოიცვას:

- წარმოებისა და კვლევის სფეროში დახმარება ;
- წარმოებული საქონლის საერთაშორისო სერტიფიკაციის პროცესში დახმარება;
- ბაზრების შესწავლის, საზღვარგარეთ ოფისების და გამოფენების მოწყობის საქმეში მხარდაჭერა;
- სპეციალიზებულ ბაზრობებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა;
- ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ხელშეწყობა.

მცირე და საშუალო საწარმოები წამყვან როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგის - მომსახურების განვითარების საქმეში. საქართველოს გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, ბუნებრივი და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საერთაშორისო მომსახურების სისტემის და ინფრასტრუქტურის სრულყოფას.

საერთაშორისო პროგრამების აქტიური მოქმედება, როგორიცაა ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRASECA), აზერბაიჯანის ნავთობის საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანსპორტირება და სხვ. მკვეთრად ზრდის სატრანსპორტო

მომსახურების ექსპორტს, რაც ძლიერ ბიძგს აძლევს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო და სხვა ფინანსური მომსახურების, საშუამავლო საქმიანობის, კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურების გააქტიურება.

დიდი მომავალი აქვს მცირე მეწარმეობის განვითარებას ტურიზმის სფეროში. კორონავირუსის (COVID-19) პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა ეს დარგი, თუმცა კორონომიკური კრიზისის დამთავრების შემდეგ, სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი დახმარების შემთხვევაში, ტურისტული ბიზნესი სწრაფად შეძლებს აღდგენას და საქართველოში უცხოური ვალუტის შემოდინების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ დარჩება.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარიმართება, პირველ რიგში, მომსახურების სფეროში და შემდეგ, პრივატიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე - მრეწველობის დარგებშიც. შესაბამისად, პრივატიზაციის გაღრმავების პროცესი უნდა მივიჩნიოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, გაფართოების და გამოყენების გაუმჯობესების აუცილებელ პირობად. კაპიტალის იმპორტის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია როგორც საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, ისე განსაკუთრებით ფასიანი ქაღალდების და კაპიტალის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარება. აღნიშნულ საკითხებზე ჩვენ დაწვრილებით გვექნება მსჯელობა მომდევნო პარაგრაფში.

მცირე და საშუალო საწარმოთა ტექნიკური მომსახურება და ლიზინგი. მცირე და საშუალო საწარმოების ტექნიკური მომსახურების კომპლექსის შემუშავება გადაუდებელი ხასიათის ამოცანაა. ამ კომპლექსმა უნდა მოიცვას შემდეგი ელემენტები:

- გადამამუშავებელი მრეწველობის პრიორიტეტულ დარგთა მიხედვით დასამონტაჟებელი მოწყობილობებისა და დანადგარების, სიმძლავრის, ტიპის, ღირებულების და სხვ. ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებელებლების პარამეტრები;
- თანამედროევ ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიღების წყაროები და საშუალებები;

- ტექნოლოგიის შეძენის ფორმები, როგორიცაა: ლიცენზიები, „ნოუ-ჰაუ“, საწარმოო კოოპერაცია, ერთობლივი მეწარმეობა და სხვ;
- ახალი ტექნიკისაა და ტექნოლოგიების შემოტანისა და მიწოდების ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც მოიცავს ტექნიკური და ტექნოლოგიური ცენტრების, ტექნო-პარკების, სალიზინგო კომპანიების ამოქმედებას და სხვ;
- სწავლება და კონსულტაციები ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სფეროში;
- ტექნოლოგიების იმპორტსა და დანერგვაზე ორიენტირებულ მეწარმეთა წახალისებისა და შეღავათების სისტემა.

უაღრესად პერსპექტიული მიმართულებაა ფინანსური ლიზინგი, რომელიც განიხილება კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების სპეციფიკურ ფორმად. ტრადიციულ საბანკო დაკრედიტებისგან განსხვავებით, იგი საწარმოებს საშუალებას აძლევს აუცილებელი ძირითადი საშუალებები მიიღონ ერთდროული დანახარჯების გაღების გარეშე.

ფინანსურ ლიზინგთან დაკავშირებული საიჯარო ხელშეკრულება გულისხმობს ძირითად საშუალებებზე საამორტიზაციო ღირებულების მთლიანად ან ძირითადი ნაწილის გადახდას, რომლის შემდეგაც ეს ქონება დამქირავებელი საწარმოს განკარგულებაში რჩება.

ფინანსური ლიზინგი განსაკუთრებით ხელსაყრელია ციკლურობითა და სეზონურობით გამორჩეული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის. იგი ზრდის მათი ოპერაციების დაფინანსების მოცულობას, ანიჭებს რიგ საგადასახადო შეღავათებს, ვინაიდან იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები არ აღირიცხება საბანკო ანგარიშებში აქტივების სახით, ასევე არ იბეგრება საარენდო შენატანები და საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, ლიზინგის ფორმით შემოტანილი მოწყობილობები თავისუფალია საბაჟო გადასახადისგან.

მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის ფორმად წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული **ოპერატიული ლიზინგიც,** რომელიც გულისხმობს ძირითად საშუალებათა იჯარას მათი საამორტიზაციო ვადაზე მოკლე პერიოდით.

ლიზინგს, თუ მთლიანად არა, მნიშვნელოვნად მაინც შეუძლია შეამსუბუქოს საქართველოში საწარმოთა წინაშე მდგარი უმთავრესი ფინანსური პრობლემა,

რომელიც დაკავშირებულია რესურსების ნაკლებობასთან და მაღალ რისკთან. ლიზინგისა და სადაზღვევო ოპერაციების კომბინირებულ გამოყენებას შეუძლია ხელსაყრელი გარემოს შექმნა ინვესტორებისათვის, დამზღვევი კომპანიებისთვის და, რაც მთავარია, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.

მცირე და საშუალო საწარმოთა კონსალტინგური მომსახურება. დღეს, როდესაც ჯერ კიდევ იგრძნობა წარმოების მართვის და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების სფეროში ცოდნის დეფიციტი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა კონსალტინგური მომსახურების მენეჯმენტის განვითარებას. ამ თვალსაზრისით, აუცილებელია საწარმოებს გაეწიოთ შემდეგი სახის მომსახურება:

1. ინფორმაციული მომსახურება პირდაპირი კონტაქტების, ან საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით. ეს შეიძლება იყოს ინფორმაცია უცხოურ კომპანიების, ბაზრების, სწავლების შესახებ და სხვა საკითხებზე;
2. ზოგადი საქმიანობის კონსალტინგი, რომელიც გულისხმობს კონსულტაციებს ბიზნესის ზოგად საკითხებზე, მეწარმეობისათვის მხარდაჭერას სპეციფიკური ამოცანების შესრულებით, ბიზნეს-გეგმების შედგენას და სხვ;
3. სწავლება მეწარმეობასა და მენეჯმენტში, რომელიც მოიცავს სწავლებას ფირმებში (მართვა, ბუღალტრული აღრიცხვა, მარკეტინგი და სხვ.), მართვის სისტემის განვითარებას, ინფორმატიკას და კომპიუტერულ პროგრამებში კურსების ორგანიზებას და ა.შ. აუცილებელია შემუშავდეს კადრების მომზადების პროგრამა, რომელიც მოიცავს ტექნიკური განათლების, საერთო პროფესიული სწავლების ორგანიზებას, პროფესიულ-ტექნიკური კურსების მოწყობას და სხვ. პროგრამულმა სწავლებამ უნდა მოიცვას დამწყები მეწარმეები, მცირე საწარმოთა პერსონალი და უმუშევრები, რომლებიც წარმოადგენენ პოტენციურ მუშახელს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის. პროგრამის ფარგლებში უნდა შემუშავდეს სასწავლო-საგანმანათლებლო გეგმები შემდეგ მიმართულებებში:
    - საწარმოთა ჩამოყალიბების სამართლებრივ-ორგანიზაციული და ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტები;
    - საგადასახადო საქმე, ექსპორტი, ინოვაციები;
    - მცირე და საშუალო საწარმოების სუბსიდირება;

- საწარმოო პროგრამები და პერსპექტიული დაგეგმვა, მართვა და ორგანიზაცია;
- ხარისხი და ტექნიკური კონტროლის სისტემა;
- დაზღვევა, საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება და ა.შ;

4. სპეციალიზებული კონსალტინგური მომსახურების გაწევა:
    - ფირმების ფინანსური მდგომარეობის შეფასება;
    - ბაზართან დაკავშირებული მომსახურება - ბაზრის ანალიზი, კომერციული კონტრაქტები, დისტრიბუტორულ საქმიანობაზე დადებული კონტრაქტები და ა.შ.
    - იურიდიულ მომსახურება;
    - ტექნოლოგიების გადაცემა-ხელშეკრულებები და შეძენის პირობები და სხვ.
5. ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა, რომელიც მოიცავს ცნობებს წარმოების, ვაჭრობის, ინვესტიციების, მარკეტინგის, ტექნოლოგიების გადაცემის, ურთიერთთანამშრომლობის გეგმების, საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის და ეკონომიკური პოლიტიკით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესახებ.

საწარმოთა საინვესტიციო პოტენციალის გაზრდა მოითხოვს ახალი ტექნოლოგიებისა და მაღალი დონის „ნოუ-ჰაუ“-ს ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რისთვისაც უნდა შეიქმნას ადეკვატური საინფორმაციო პროგრამა კვლევებისა და ტექნოლოგიების გამავრცელებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა და განვითარება

ბიზნეს-ინკუბატორები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის ეფექტიანი მექანიზმი. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, ბიზნეს-ინკუბატორები ხელს უწყობს ინდივიდუალური ინიციატივის გამოვლენას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვას. ისინი ამცირებენ სამეწარმეო რისკს და, საბოლოო ანგარიშით, ქმნიან მეწარმეობისათვის ხელსაყრელ გარემოს.

ბიზნეს-ინკუბატორი წარმოადგენს სპეციალურ ტერიტორიას, სადაც თავმოყრილ ახალ საწარმოებს გამოეყოფათ ფართობი. ისინი სარგებლობენ ინფრასტრუქტურით და აუცილებელი მომსახურებით, რაც მათ საშუალებას აძლევს

დამოუკიდებელი ფუნქციონირების დაწყებამდე შეუდგნენ და წარმატებით განახორციელონ თავიანთი საქმიანობა.

ბიზნეს-ინკუბატორები მნიშვნელოვნად ამაღლებენ სამეწარმეო კულტურას. მათ ძალუძთ იფუნქციონირონ სამეწარმეო ცენტრების სახით, უზრუნველყონ რეგიონის კონკურენტული უპირატესობანი, ხელი შეუწყონ ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოშვებას, ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების განვითარებას და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ბიზნეს-ინკუბატორთა პოტენციური უპირატესობების რეალიზაცია მოითხოვს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა: ადეკვატური ფასებისა და საქმიანობის წესების განსაზღვრა, ინკუბატორებში საწარმოების ჩართვისა და გასვლის კრიტერიუმების, შიდა მმართველობის პროცედურების დადგენა და სხვ. გარკვეული თვალსაზრისით, ბიზნეს-ინკუბატორები კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებენ ცალკეულ საწარმოებს, რამაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს საერთო სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების პროცესს.

ბიზნეს-ინკუბატორების ჩამოყალიბების პოლიტიკა უნდა განხორციელდეს საერთაშორისო პრაქტიკის და, უპირველეს ყოვლისა, პოსტკომუნისტური გარდამავალი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. პირველ რიგში, უნდა განისაზღვროს ბიზნეს-ინკუბატორების სტატუსი, მართვის სტრუქტურა და ფუნქციები. მათი სტატუსი უნდა იყოს დამოუკიდებელი და არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის საქმიანობას წარმართავს კოლეგიალური ორგანო. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის განმახორციელებელ და მაკოორდინირებელ სტრუქტურებთან, კონსალტინგური მომსახურების ცენტრებთან, იქ, სადაც ისინი ფუნქციონირებენ.

ბიზნეს-ინკუბატორების საქმიანობა მიზანშეწონილია წარიმართოს იმ საწარმოთა მხარდასაჭერად, რომლებიც ფუნქციონირებენ წარმოების სფეროში - გადამამუშავებელ მრეწველობაში და მომსახურების სფეროში, ემსახურებიან, პირველ რიგში, ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნეს-ინკუბატორის ადგილმდებარეობის შერჩევა, რაც ითვალისწინებს სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობას, თანამედროვე საკომუნიკაციო მოწყობილობების დამონტაჟებისა და გამოყენების შესაძლებლობებს.

ზოგადად, ბიზნეს-ინკუბატორების ეფექტიან საქმიანობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი რეგიონულ პოლიტიკასთან შეხამების ოპტიმალურობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივ სამეწარმეო სტრუქტურებთან თანამშრომლობისა და ბაზარზე გასვლის შესაძლებლობებს.

აუცილებელია გავითვალისწინოთ ხელისუფლების ადგილობრივი მართვის ორგანოების მონაწილეობა ბიზნეს-ინკუბატორების დაფუძნებისა და დაფინანსების საქმეში. ადგილობრივმა მართვის ორგანოებმა ბიზნეს-ინკუბატორებს უნდა აღმოუჩინონ მაქსიმალური მატერიალურ-ფინანსური დახმარება და გარკვეული ვალდებულებები იკისრონ მათი ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

ბიზნეს-ინკუბატორთა ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მმართველობითი პერსონალის სწორად შერჩევა, მენეჯმენტის ეფექტიანი პროცედურების შემუშავება, მიზანდასახულობათა განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგების სწორად შეფასება. ბიზნეს-ინკუბატორების ფუნქციონირების პირობები, მათ მიერ გაწეულ მომსახურებათა ნუსხა, დანახარჯები, ფასები - ცხადი და გასაგები უნდა იყოს მასში გაერთიანებული საწარმოებისთვის და, ზოგადად, ფართო სამეწარმეო წრისთვის.

ამრიგად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების სწორ განსაზღვრასა და შერჩეული მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებაზე. კვლავაც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ეკონომიკური ზრდის და მის საფუძველზე - მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

დასკვნა

პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის მიმართულების და შინაარსის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო სახელმწიფო საკუთრების განსახელმწიფოება პრივატიზაციის გზით. პრივატიზაციის პრობლემის აქტუალურობას განსაზღვრავს კერძო საკუთრების ფუნდამენტური როლი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში.

საკუთრება რთული და მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა და სამი ელემენტისგან - ფლობა, განკარგვა, გამოყენება - შედგება. სხვადასხვა ისტორიული პერიოდის გამოცდილება ადასტურებს, რომ მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებობა შესაძლებელია, თუმცა, ძველი რომის სამართლის მიხედვით, რომელიც თანამედროვე ევროპული სამართლის ქვაკუთხედია, სრულყოფილი სახით საკუთრება არსებობს მაშინ, როცა სამივე აღნიშნული ელემენტი ერთობლივადაა წარმოდგენილი.

საკუთრება, კერძოს გარდა, მოიცავს პირად, კოლექტიურ და საზოგადოებრივ (საჯარო) ფორმებს. საზოგადოების განვითარების პროცესში კერძო საკუთრება წარმოიქმნება პირადი საკუთრების კაპიტალიზაციის, ანუ კომერციალიზაციის გზით, რაც კერძო საკუთრების ისტორიულ ხასიათს ადასტურებს.

კერძო საკუთრების ტრანსფორმაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტექნოლოგიური რევოლუციით განპირობებულ ძვრებს. ინოვაციური ეკონომიკა, რომლის თანამედროვე ნაირსახეობა ცოდნის ეკონომიკაა, პერსპექტივაში განაპირობებს კერძო საკუთრების მოდიფიცირებას შემდეგი სამი მიმართულებით:

- პირად საკუთრებად მის გარდაქმნას;
- საკუთრებასა და უშუალო მწარმოებელს შორის გაუცხოების დაძლევას;
- პიროვნების სოციალური სტატუსის განსაზღვრიდან მის გამორიცხვას.

საკუთრების პრობლემის კვლევას მდიდარი ისტორია გააჩნია ქართულ ისტორიულ, იურიდიულ დ სოციალურ ლიტერატურაში. მისი სხვადასხვა ასპექტი ფართოდაა ასახული მხატვრულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში. კერძოდ: მოცემულია საკუთრების პირად, კოლექტიურ (სასოფლო-სათმო) და კერძო საკუთრებად დიფერენციაცია, განსაზღვრულია თითოეული მათგანის შინაარსი და ურთიერთმიმართება, ხაზგასმულია კერძო საკუთრების უფლების სავალდებულო დაცვის აუცილებლობა და ა.შ.

საბჭოური ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის სისტემური კრიზისისა და დესტრუქციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო მის საფუძველში - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წინააღმდეგობა, რომლის დაძლევა ამ სისტემის ჩარჩოებში ვერ მოხერხდა. აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში უპირველეს ამოცანას სახელმწიფო საკუთრების განკერძოება - პრივატიზაცია წარმოადგენდა, რასაც ყველა პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზაციის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მისი როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ყველა ქვეყანაში პრივატიზაციის თითქმის ერთდროული დაწყება, განხორციელების მაღალი ტემპები, პრივატიზაციის ეტაპების თანმიმდევრობა, პრივატიზაციის პროცესში მსგავსი მეთოდების გამოყენება და ა.შ. პრივატიზაციის თავისებურებებს (მეორე ჯგუფი), ცალკეული ქვეყნების მიხედვით, სხვადასხვა ფაქტორი განსაზღვრავდა: საწარმოო ძალების განვითარების დონე, ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეკონომიკის სტრუქტურა, სახელმწიფო ქმედუნარიანობა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირების ხარისხი და ა.შ.

ქვეყნების შედარებითი ანალიზი საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს ჩვენს მიერ ნაშრომის შესავალში დასმულ მნიშვნელოვან კითხვას - ქვეყნები, რომლებიც პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის საწყის პერიოდში თითქმის თანაბარ სასტარტო პირობებში იმყოფებოდნენ, რატომ აღმოჩნდნენ პროცესის ბოლოს სრულიად განსხვავებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაში? ასე იმიტომ

მოხდა, რომ სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვა დონით და ხარისხით შეძლო პრივატიზაციის პროცესის განხორციელება.

გამოიკვეთა ქვეყნების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფს განეკუთვნება წარმატებული ქვეყნები: პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი. მათ შეძლეს პრივატიზაციის წარმართვა წინასწარ შედგენილი გეგმით. პროცესი ხასიათდებოდა თანმიმდევრობით, სისტემურობით, სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მონაწილეობის პირობებში; ორიენტირებული იყო საერთო-სახელმწიფო ინტერესებზე, მაქსიმალურად იზღუდებოდა პრივატიზაციის პროცესში კორუფცია და სხვა სახის კანონდარღვევები.

აქედან გამომდინარე, პრივატიზაციამ ამ ქვეყნებში მოიტანა პოზიტიური შედეგები:

- გაიზარდა პრივატიზებული საწარმოების ეფექტიანობა;
- ამაღლდა კორპორატიული მართვის კულტურა და ხარისხი;
- მოზიდული იქნა დიდი მოცულობის უცხოური ინვესტიციები, თანამედროვე ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუ და ა.შ.
- შეიქმნა სამართლიანი კონკურენტული გარემო;
- შემცირდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდიები და დოტაციები;
- გაუმჯობესდა ფისკალური პოლიტიკა;
- დაჩქარდა ეკონომიკური ზრდის ტემპები და ამაღლდა მოსახლეობის ფართო მასების კეთილდღეობის დონე;
- საფუძველი ჩაეყარა საზოგადოების საშუალო ფენის, როგორც საზოგადოების პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მთავარი გარანტის ჩამოყალიბებას.

ქვეყნებში, სადაც პრივატიზაცია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმის გარეშე, პროცესი წარიმართა ქაოტურად, სახელმწიფოს, ფაქტობრივად, გამორიცხვის პირობებში, ორიენტირებული იყო კერძო ჯგუფურ და არა საერთო სახელმწიფო ინტერესებზე. შედეგებიც, შესაბამისად, ნაკლებად პოზიტიური აღმოჩნდა. პირიქით, პრივატიზაციამ ამ ქვეყნებში გაამწვავა ძველი წინააღმდეგობები და ბევრი ახალი პრობლემაც წარმოშვა. კერძოდ:

- პრივატიზებული საწარმოების დიდი ნაწილი გაკოტრდა, დემონტაჟდა და ჯართად გაიყიდა;
- კაპიტალის ბაზარი ვერ განვითარდა;
- ეკონომიკური ზრდის ტემპები საგრძნობლად დაქვეითდა და მოსახლეობის ცხოვრების პირობები გაუარესდა;
- საზოგადოებაში გაძლიერდა სოციალური დიფერენციაცია, რომელიც პოლარიზაციაში გადაიზარდა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა საშუალო ფენის ჩამოყალიბების დაწყება.

პრივატიზაცია ბევრ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში გადაიქცა მაღალი ეშელონის ბიუროკრატიის, ანუ ნომენკლატურის და მასთან შეზრდილი სხვადასხვა, მათ შორის კრიმინალური ჯგუფების მიერ სახელმწიფო ქონების მიტაცების ე.წ. „პრიხვატიზაციის“ შირმად. ყოველივე აღნიშნულის შედეგად, ჩამოყალიბდა მახინჯი და მანკიერი სისტემა, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „ნომენკლატურულ-ოლიგარქიული კაპიტალიზმი“, რომლის ნიშნებსაც, სამწუხაროდ, საქართველოშიც ვხედავთ.

ჩატარებული ანალიზი ადასტურებს, რომ ბევრი ნაკლოვანების და ხარვეზის მიუხედავად, რომელიც პრივატიზაციას ახასიათებდა ქვეყნების უმეტესობაში, მათ შორის, სამწუხაროდ, საქართველოშიც - პრივატიზაციის აუცილებლობის ეჭვის ქვეშ დაყენება აბსოლუტურად მიუღებელია. პრივატიზაციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საქმეში. პრივატიზაციის რიგი ნეგატიური შედეგები გამოწვეული იყო არა საკუთრივ ამ ფენომენის შინაგანი წინააღმდგობებით, არამედ მისი განხორციელების პროცესში დაშვებული შეცდომებით, ხარვეზებითა და ნაკლოვანებებით.

აღნიშნული დებულების დასტურად, ერთმანეთთან არის შედარებული ვაუჩერიზაცია ჩეხეთში და საქართველოში. ორივე ქვეყანაში პრივატიზაციის მთავარი მეთოდი ვაუჩერიზაცია იყო, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა თანასწორობის და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფა. ჩეხეთში ვაუჩერიზაციამ თავისი მისია პირნათლად შეასრულა, საქართველოში კი, პირიქით, იგი სოციალური უთანასწორობისა და უსამართლობის მნიშვნელოვანი წყარო გახდა.

პრივატიზაციამ საქართველოში ოთხი ეტაპი განვლო და ამჟამად მეხუთე ეტაპის წინაშე ვიმყოფებით. ამ პროცესის ყველა ეტაპს თავისი მიზნები, ამოცანები და შედეგები ახლდა. პირველი ეტაპი ჩვენს მიერ დახასიათებულია, როგორც **„მცირე პრივატიზაცია“,** რომლის მთავარი შედეგი იყო წინანდელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის საბოლოო დემონტაჟი და ახალი ეკონომიკური ურთიერთობების საფუძვლის ჩაყრა.

პრივატიზაციის მეორე ეტაპი დახასიათებულია **„მასობრივი პრივატიზაციის“** პერიოდად. მისი მთავარი შინაარსი იყო დიდი საწარმოების აქციონირება, რასაც ფართო მასშტაბები ჰქონდა და აღნიშნულ პერიოდში საქართველოში მეტი სააქციო საზოგადოება შეიქმნა, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში არსებობდა. ამასთანავე, სააქციო საზოგადოებების უმრავლესობა ზარალიანი იყო და მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო ბიუჯეტს.

მესამე - **„აგრესიული პრივატიზაციის“** ეტაპზე გაგრძელდა დიდი საწარმოების პრივატზაცია. კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნულ ეტაპზე პრივატიზაციის პოზიტიურ შედეგად შეიძლება ჩაითვალოს პროცესიდან საკმაოდ სოლიდური თანხების შემოდინებ ბიუჯეტში, თუმცა ისიც სათქმელია, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის კანონის“ თანახმად, აღნიშნული თანხები უნდა მოხმარებოდა არა ბიუჯეტიდან სხვადასხვა ხარჯის დაფარვას, არამედ უნდა ჰქონოდა მიზნობრივი ხასიათი და გამოყენებული ყოფილიყო:

- მცირე ბიზნესის განსავითარებლად;
- წარმოების სფეროში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის დასაფინანსებლად;
- საპრივატიზაციო ხარჯების ასანაზღაურებლად;

რაც შეეხება ხარვეზებს და ნაკლოვანებებს, ისინი შემდეგი იყო:

- სტრატეგიული ობიექტების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის რუსულ სახელმწიფო კაპიტალზე მიყიდვა;
- სახელმწიფო ქონების გასხვისების პრაქტიკის ბუნდოვანება და გაუმჭირალეობა;
- პრივატიზაციის პროცესში მსხვილი კაპიტალის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა მცირე და საშუალო მეწარმეობის საზიანოდ;

- პრივატიზაციის მხოლოდ ერთი ფორმა - ობიექტების აუქციონზე გაყიდვა, რომელიც შეიძლება აიხსნას ბიუჯეტში თანხების შედინების ინტერესით;
- გაუმართლებელი ორგანიზაციული ცვლილებები, რაც გამოიხატა ქონების სამინისტროს გაუქმებით და მის ნაცვლად ორი სტრუქტურის - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საწარმოთა მართვის სააგენტოსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შემადგენლობაში - სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის დეპარტამენტის შექმნა.

ყველაზე დიდ ნაკლოვანებად, ჩვენი აზრით, შეიძლება ჩაითვალოს იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ დეპრივატიზაციის ფართო გამოყენების პრაქტიკა, რომელიც პირდაპირ იყო მიმართული კერძო საკუთრების ინსტიტუტისა და საქართველოს კონსტიტუციაში დაფიქსირებული კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპის წინააღმდეგ.

2013 წლიდან დაიწყო პრივატიზაციის მეოთხე ეტაპი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ **„ფრაგმენტული“** და **„დუნე“** პრივატიზაცია, თუმცა უკვე გამოიკვეთა არსებული ტენდენციის მკვეთრი შეცვლის კონტური. მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება იმ საწარმოთა რეფორმირების შესახებ, რომლებშიაც 100%-იან წილს სახელმწიფო ფლობს. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ფინანსთა მინისტრის ხელმძღვანელობით. პროცესის დაწყება დადებით მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან სახელმწიფო საწარმოები, თავდაპირველად სახაზინო საწარმოების, შემდეგ კი სააქციო საზოგადოებებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების სახით, რომლებშიაც სახელმწიფო ფლობდა საკონტროლო პაკეტს, მასობრივად წამგებიანი იყო და სახელმწიფო მათგან მხოლოდ ზარალს განიცდიდა.

პრივატიზაციის **მეხუთე ეტაპზე** აუცილებელია წინა პერიოდებში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინება მისი პოზიტიური ნაწილის გამოყენება და იმ მიდგომებზე უარის თქმა, რომლებიც წარუმატებელი აღმოჩნდა.

მიწის პრივატიზაცია ნაშრომში განხილულია ერთიანი პრივატიზაციის პროცესის ორგანული შემადგენელი ნაწილის სახით. მისი ეტაპების თანმიმდევრული განხილვით და შესაბამის ციფრობრივ-ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, გაკეთებულია დასკვნა: მიწის საკუთრების პრივატიზციის საფუძველზე, მიწის რეფორმის შედეგად, ჩამოყალიბდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით

ფუნქციონირებადი აგრარული ეკონომიკის სექტორი და საქართველოში დაიწყო სოფლის სოციუმის შეცვლის რთული და ხანგრძლივი პროცესი.

განსაკუთრებული აქტუალურობის მქონეა მიწის კაპიტალიზაციის საკითხი, რომელიც უკავშირდება მიწის ბაზრის ჩამოყალიბების აუცილებლობას. ნაშრომში აღნიშნულია, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვის იდეას ჰყავს თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგენიც. ჩვენ გვაქვს მკაფიო პოზიცია ჩამოყალიბებული ამ საკითხთან დაკავშირებით: ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მიწის გაყიდვისა და ყიდვის უფლებები. გაყიდვა უნდა შეეძლოს მიწის ყველა მეპატრიონეს, ყიდვა კი - მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. მიწის ყიდა-გაყიდვისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის სფეროში საქმიანობის სათანადო გამოცდილების მქონე და საჯარო რეესტრში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელ სუბიექტებად დაფიქსირებულ მოქალაქეებს. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს ტყის მასივები და როგორც რეზიდენტებზე, ისე არარეზიდენტებზე 49-წლიანი იჯარით გადაცემული ტყეები უკან უნდა გამოისყიდოს სახელმწიფომ. ასევე სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს ნაკრძალები, რკინიგზის და მაღალი ძაბვის ელექტროსადენების, ანძების მიმდებარე ტერიტორიები, აეროდრომები, სამხედრო პოლიგონები, საზღვრისპირა ტერიტორიები, ტბები, წყალსატევები, მდინარეები და მათი ნაპირები და ა.შ.

პრივატიზაციის პრობლემასთან პირდაპირ კავშირშია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების სხვადასხვა ასპექტი. საფონდო ბაზარი და მისი ორგანიზაციული ფორმა - საფონდო ბირჟა- უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციაა საბაზრო ეკონომიკის სისტემაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტრანსფორმაციული პროცესების დაწყებამ ჩვენს ქვეყანაში დღის წესრიგში დააყენა მისი შექმნის აუცილებლობა.

პრივატიზაცია, საწარმოთა კაპიტალიზაცია და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება სინქრონულად უნდა წარიმართოს, რათა მიღწეული იქნას სასურველი შედეგი: კაპიტალის მაქსიმალური მოზიდვა და ჩართვა სამეურნეო აქტიურობაში, მისი ეფექტიანი გადანაწილება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს შორის.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება ბევრ წინააღმდეგობასთან იყო დაკავშირებული და დღესაც რთულ პრობლემებს აწყდება.

მათ შორის, აღსანიშნავია პრივატიზაციის ყველა ეტაპზე პროცესში საფონდო ბაზრის ჩართულობის გამორიცხვა, რომლის ობიექტურ მიზეზს წარმოადგენდა აქციონირების პროცესში დაშვებული შეცდომები და შექმნილი სააქციო საზოგადოებების უპირატესად ფორმალური ხასიათი, მათ მიერ გამოშვებული აქციების საფონდო ბაზარზე კოტირების სირთულეები და ა.შ. ხელშემშლელ ფაქტორად ასევე შეიძლება ჩაითვალოს სააქციო საზოგადოებების საქმიანობის გაუმჭვირვალეობა, ინსაიდერთა ჩაკეტილი ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი აქციონერთა წრის გაფართოებით. საფონდო ბაზრის განვითარებას ხელს უშლის მისი ინსტიტუციური მოუწყობლობა. საპრივატიზაციო ფონდი, რომელიც პროცესის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბდა, ვერ ტრანსფორმირდა სოლიდურ საინვესტიციო კომპანიად. სამაგიეროდ, მრავლად იყო სუროგატი „ფონდები“, რომლებმაც თაღლითური გზით მიითვისეს მოსახლეობის დანაზოგები და გაუჩინარდნენ. ასევე აღსანიშნავია ფასიანი ქაღალდების მთავარი მარეგულირებელი ორგანოს - ფასიანი ქაღალდების კომისიის გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი გაუქმება, მარეგულირებელი ფუნქციის კი საქართველოს ეროვნული ბანკის კომპეტენციაში გადაცემა.

საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებას საქართველოში ყველაზე დიდი წინააღმდეგობა კომერციული ბანკების მხრიდან შეხვდა. განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებში ფასიანი ქაღლდების ბაზარი და საბანკო კრედიტის ბაზარი ერთმანეთისაგან კი არ არის გამიჯნული, არამედ პირიქით, ავსებს ერთმანეთს. ჩვენთან მათი დამოკიდებულება გამოიხატა კომერციული ბანკების მხრიდან არაჯანსაღ კონკურენციაში. საქართველოში ჩამოყალიბდა ე.წ. „ბანკო-ცენტრული“ სისტემა, მისთვის დამახასიათებელი ლობისტური ჯგუფებით, რომლებიც ბანკების მხრიდან, მოსალოდნელი კონკურენციის საშიშროების გამო, ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს სრულფასოვანი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას.

განუვითარებელი საფონდო ბაზრის პირობებში, ერთი მხრივ, არსებითად მცირდება ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინების შესაძლებლობა, ეფექტიანად ვერ გამოიყენება ქვეყნის შიგნით არსებული რესურსები, მეორე მხრივ კი - ხდება მათი არარაციონალური გადანაწილება, რაც გამოიხატება რეალურ ეკონომიკურ

სექტორში ინვესტიციური „შიმშილის“ წარმოშობით. ყოველივე ეს ეჭვის ქვეშ აყენებს ქვეყნის გრძელვადანი წარმატებული განვითარების პერსპექტივას.

სასიცოცხლოდ აუცილებელია ფასიანი ქაღალდების რეალური და ეფექტიანად ფუნქციონირებადი ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა დაიწყოს საფონდო ბირჟის სწრაფი აღდგენით. ამ მიზნით, აუცილებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- ყველა სახის სახელმწიფო ქაღალდის ემისია უნდა ხდებოდეს საჯარო წესით და მხოლოდ ბირჟის საშუალებით;
- უნდა გამარტივდეს პირველად აუქციონებზე შუამავლების დაშვების წესი და გაძლიერდეს კონკურენციის ელემენტები;
- უნდა შემცირდეს საფონდო ბირჟაზე მინიმალური საინვესტიციო თანხის მოცულობა, რაც ხელს შეუწყობს ბაზარზე წვრილი და საშუალო ინვესტორების შესვლას;
- აუცილებელია ფინანსური ბაზრის ინსტიტუციური მოწყობის სრულყოფა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის აღდგენას და მის კომპეტენციაში საფონდო ბაზრის რეგულირების ფუნქციის დაბრუნებას.

პრივატიზაციამ გადამწყვეტ როლი ითამაშა საქართველოში კერძო მეწარმეობის (სექტორის) ფორმირებაში. ჩვენს მიერ განხორციელდა მეწარმეობის ძირითადი მაჩვენებლების ანალიზი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, რომელმაც შემდეგი სურათი გვიჩვენა: საანალიზო პერიოდში რეგულარულად იზრდებოდა დარეგისტრირებული საწარმოების რაოდენობა როგორც საქმიანობის სახეობების, ისე რეგიონების მიხედვით. ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა მთავარი ეკონომიკური მაჩვენებლის გაუმჯობესებას, რომელიც არ იყო მკვეთრი, თუმცა ზრდის ტენდენციის გამოკვეთა ოპტიმიზმის საფუძველს იძლეოდა. სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია შეწყვიტა კორონავირუსის პანდემიამ, რომელმაც უმწვავესი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნული პრობლემის კვლევა გადის ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ჩარჩოდან და სპეციალურ ანალიზს მოითხოვს.

ჩატარებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ თანამედროვე პირობებშიაც საქართველოში ეკონომიკური აქტიურობის

აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი თბილისშია თავმოყრილი. დანარჩენი რეგიონებიდან უმნიშვნელო პროგრესი შეინიშნებოდა აჭარის არ-ში, სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდა იმერეთის რეგიონი, კვლავ დეპრესიულ რეგიონებად რჩებოდა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, და ასევე გურია. შექმნილი პროდუქციის, დამატებული ღირებულების, ბრუნვის აბსოლუტურად უმეტესი ნაწილი მოდიოდა არასახელმწიფო საწარმოებზე, რაც საქართველოში კერძო მეწარმეობის საბოლოოდ და მყარად დამკვიდრების ნათელი დადასტურებაა.

მცირე და საშუალო მეწარმეობა წარმოადგენს ზოგადად მეწარმეობის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. იგი დიდ როლს თამაშობს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების როლი საქართველოს ეკონომიკაში. აღნიშნულია, რომ მცირე და საშუალო მეწარმეობა ქმნის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის „ხერხემალს“. შესაბამისად, სასიცოცხლოდ აუცილებელია აღნიშნული სფეროს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა. საკითხის არქიაქტუალურობიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ შემუშავებულია მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მოიცავს რამდენიმე მიმართულებას:

- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის მოწესრიგება;
- საკრედიტო-ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების სრულყოფა;
- მცირე და საშუალო საწარმოთა ტექნიკური მომსახურება და ლიზინგი;
- მცირე და საშუალო მეწარმეების კონსალტინგური მომსახურება;
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა და განვითარება.

აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკის სწრაფი ზრდა და გლობალურ ეკონომიკაში ეფექტიანი ჩართვა შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური ეკონომიკური სისტემის ფორმირებისა და განვითარების საფუძველზე, სადაც უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ითამაშოს სახელმწიფოსა და მცირე და საშუალო მეწარმეობის თანამშრომლობამ. სახელმწიფო უნდა თავად გახდეს ნოვაციური პროდუქტების აქტიური მომხმარებელი, რაც, პირველ რიგში, უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვებში. ეს უკანასკნელი ინოვაციური ტიპის მცირე და საშუალო საწარმოებს

მისცემს სტიმულს დააჩქაროს თანამედროვე პროდუქტების, მომსახურების და პროცესების ათვისება.

მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერა მუდმივი პროცესი უნდა იყოს და მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩვაძე ი. (2000). ეკონომიკა და დრო. თბ.
2. არჩვაძე ი. (2009). მოსახლეობის კეთილდღეობისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრატიფიკაციის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. კრებულში „ძალაუფლება და საზოგადოება საქართველოში“. თბ., „უნივერსალი“, გვ. 166.
3. არჩვაძე ი., მექვაბიშვილი ე. (2010). საქართველოს სოფლის მეურნეობის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N6, გვ. 107-114.
4. ასათიანი რ. (2017). საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. თბილისი, „სიახლე“.
5. ასლანიშვილი დ. (2014). საფონდო ბაზარი საქართველოში: არსებული რეალობა და გაურკვეველი მომავალი. „თსუ მეცნიერება“, მე-6 გამოცემა.
6. ასლანიშვილი დ. (2015). საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. თბ.
7. აქუბარდია თ. (2002). სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ეკონომიკის სერია), ტ. 10, N 3-4, გვ. 53-62.
8. ბალცეროვიჩი ლ. (2002). სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბ. გვ. 112.
9. ბასარია ვ. (2020). კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობებისა და მეწარმეობის გენეზისის საკითხისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 12. N3, გვ. 49-66.
10. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. (2001). პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. გვ. 239.

11. გველესიანი რ. (1999). მცირე და საშუალო მეწარმეობის წარმატების სტრატეგია და კულტურა. თბილისი.
12. გოგიაშვილი შ. (2008). სახელმწიფოს როლი ქვეყანაში ხელსაყრელი ბიზნესგარემოს ფორმირებაში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, გვ. 57-66.
13. გულედანი კ., გეგენავა ა. (2001). სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში: რეპო და ლომბარდული ოპერაციები. ჟურნ. „ბანკი“, N2.
14. გუჯარაიძე ნ. (2010). სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა, ანუ „პრივატიზება ქართულად“ – 2. თბ., მწვანე ალტერნატივა.
15. დოლიძე ი. (1953). ძველი ქართული სამართალი, თბილისი.
16. ერქომაიშვილი გ. (2009). ბიზნესის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, გვ. 99-104.
17. ერქომაიშვილი გ. (2011). მეწარმეობა და მისი განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N5, გვ. 35-44.
18. ინტერვიუ ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრთან, კ. ბენდუქიძესთან. (2005). გაზეთი „ახალი თაობა“, 20 მარტი, N7, გვ. 2.
19. კოღუაშვილი პ. (2009). აგროწარმოება და სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი. ჟურნ. „ახალი ეკონომისტი“, N3, გვ. 21-27.
20. კოღუაშვილი პ., კუნჭულია თ. (2011) „რას უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია“, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N6, გვ. 49-64.
21. კოღუაშვილი პ., რამიშვილი ბ. (2014). „საქართველოს სოფლის ტევადობა“. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, გვ. 45-46; 43-56.
22. კუნჭულია თ. (1998). საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები. თბ.
23. მარქსი კ. (1954). კაპიტალი. ტ. I, გვ. 49.
24. მექვაბიშვილი ე. (2019). ანაბრები, ბანკები და „კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება“ პოსტკომუნისტურ საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. XI, N1, გვ. 16-35.

25. მიმინოშვილი თ. (2012). სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობა ეკონომიკური კრიზისისა და პოსტკრიზისულ პერიოდებში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, გვ. 77-92.
26. ნაცვლიშვილი ი. (2010). მეწარმეობისადმი დამოკიდებულება საქართველოში (ემპირიული კვლევის შედეგები). ჟურნ „ეკონომიკა და ბიზნესი“, N6, გვ. 129-138.
27. პავლიაშვილი ს. (2009). პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
28. პაპავა ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბ., „ინტელექტი“.
29. პაპავა ვ. (2015). საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ანტირეფორმები. თბ., ინტელექტი, გვ. 51.
30. პაპავა ვ. (2020). არატრადიციული ეკონომიკსი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.
31. პაპავა ვ. (2020). კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ. 12, N2, გვ. 13-16.
32. პაპავა ვ. (2021). „http://dalma.news/ge/mica-ar-unda-iqidebodes-ganatleba-unda-pinansdebodes-interviu/vladimerpapavastan/?fbclid=IwAR2qVzYLsxSQaZvJyoEjtYn2fR_zs-ie2Zfsdcaj7NcVlvwY3JRnSVK6vbk
33. პაპავა ვ. (2010). ნეკროეკონომიკის ზომბირება.
34. სამადაშვილი უ. (2019). მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და როლი თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში.; ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, ტ.11, N4
35. სანთელაძე ნ. (2001). ეკონომიკის რეფორმირება და ახალი სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბება საქართველოში. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, თბ., „სიახლე“, გვ.21-35.
36. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პრობლემები საბაზრო ურთიერთობების პირობებში (1998). სამეცნიერო შრომების კრებული, ტ.1, გვ. 60-71.

37. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი (2002). მოხსენება „სამართალდარღვევები პრივატიზების სფეროში და მათი გამომწვევი ფაქტორები“. თბ.
38. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2010). 2018 წლის 7 დეკემბრის მდგომარეობით. თბილისი
39. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წ.წ. ინდიკატური გეგმა. 1996. გვ.15.
40. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2020. www.geostat.ge
41. საქართველოს მთავრობა (2014). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“.
42. საღარეიშვილი ო. (2001). ძველი ქართული ეკონომიკური წყობის მნიშვნელობა თანამედროვეობისთვის. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 2. თბ., „სიახლე“, გვ. 60-72;
43. http://napr.gov.ge/sourse/%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%/View.File.pdf
44. სილაგაძე ა. (1997). საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების ზოგიერთი საკითხი. კრებულში „სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა სტრატეგია და ტაქტიკა გარდამავალ პერიოდში“. თბ.,ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გვ. 14-18.
45. სილაგაძე ა., დიდბარიძე გ., ჯუღელი ე., გაბუნია მ., ჩხაიძე ი., აფხაზავა ვ. (1996). საქართველოში პრივატიზაციის საკითხები. თბ., „მესაკუთრე“, „კაბადონი“.
46. სილაგაძე ა. (2010). ეკონომიკური დოქტრინები. გამომც. „აზრი“.
47. ტაბატაძე მ. (2012). ქართული სოფლის აღორძინებისათვის. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, გვ. 129-138.
48. ფრიდმანი . (2002). კაპიტალიზმი და თავისუფლება. თბილისი.
49. ქადაგიშვილი ლ. (2016). მეწარმეობის განვითარება საქართველოში: ანალიზი, შეფასება, პერსპექტივები. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. N2, გვ, 66-81.
50. შენგელია თ. (1999). საწარმოთა პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები საქართველოში. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, N3, გვ. 79-85.

51. ჩხაიძე ი. (2015). საქართველოს კაპიტალიზაცია, თბ.
52. ჩხაიძე ი., ტორონჯაძე თ. (2003). რა გვიშველის. „სვპ“ სისტემა. თბ.
53. ჭავჭავაძე ი. (1955). თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ.4, ტ.6, ტ.9. თბ., საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა.
54. ჭითანავა ნ. (1997). გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გვ. 47.
55. ხიშტოვანი გ. (2012). კაპიტალის ბაზრის განვითარება საქართველოში. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N6, გვ. 79-90.
56. ჯავახიშვილი ივ. (1970). სტატია წიგნში „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. 1, გ. მელიქიშვილის რედაქციით. გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
57. ჯავახიშვილი ივ. (1984). თხზულებანი 12 ტომად, ტ. 7, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.
58. ჯანაშია ს. (1949). შრომები, ტ.1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
59. ჯიბუტი მ.(2003). საქართველოს საფინანსო ბაზარი ეკონომიკის რეფორმირების პროცესში. თბ., „სიახლე“.
60. ჯიბუტი მ., (2003). ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი რეგულირება. ჟურნ. „გადასახადები“, თებერვალი, N4.
61. ჰასიდი ჯ., კომსელისი ა.ს., გველესიანი რ., მექვაბიშვილი ე., გაგნიძე ი., ლეკაშვილი ე., ნაცვალაძე მ. (2009). მეწარმეობის საფუძვლები. ნაწ. I, II. თსუ გამომცემლობა.
62. Ardent H. (1998). The Human Condition. Chicago, London, p. 61.
63. Aslund A. (2010). Building States and Market after Communism: The Perils of Polarized Democracy. New York, Cambridge University Press.
64. BIS Economics Paper. (2012). Acces to External Finance, No:16, January.
65. Blanchard O. (1997). The Economics of Transition in Eastern Europe. Oxford: Clarendon Press.
66. Blaszyk B., Woodward R. eds.(1996). Privatization on Post-Communist Countries. Vol. 2, Warsaw, CASE.

67. Boyko Maxim, Shleifer Andrei and Vishny Rober.Privatizing Russia. Cambridge, Mass. MIT Press.
68. Brada Joseph C. (1996). "Privatization is Transition – or is It?". Journal of Economic Perspectives 10 (2): 67-86.
69. Broadman Harry G. ed. (1999). "Russian Enterprise Reform: Policies to Further the Transition. World Bank Discussion Paper no. 400.
70. Brown J. David and John S. Earle (2000). Lesson from Russia. Stockholm Institute of Transition Economics.
71. Castells M. (1996). The Rise of the Network Society. 2nd ed. Oxford: Wiley Blackwell. p.162.
72. Coyle D. (2001). Paradoxes of Prosperity. Why the New Capitalism Benefits All. New-York-London, p. 167.
73. Cristiansen R.E. (2006). Property Rights, Institutions and Growth: will Georgia Make the Transition? Presentation Cato Conference, International Monetary Fund, Resident Representative Office in Georgia. 27th of October http://www.imf.ge/view2.php?lang=1&view=239
74. Croek S., Parulski J., Waters M. (1993). Post modernization. Change in Advanced Society, London, Newbury Park, p. 114-115.
75. Druker P.F. (1995). Post-Capitalist Society. NY.
76. Druker P.F. (1999). Management Challenges for a 21-st Century. Harper Business, N.Y., p. 52.
77. EBRD, Transition Report, 1995, p.85.
78. Economic Comission for Latin America and Caribbian (ECLAC). (2001). Preliminary Overview the Economies of Latin America and the Carribian. Santiago:December. p. 39-40.
79. Elias D. (1999). Dow 40,000. Strategies for Profiting from Greatest Bull Market in History. N.Y., p. 14.
80. Frydman Roman, Andrzej Rapaczynski (1994). Privatization in Eastern Europe: Is the State Withering Away. Budapest: Central European University Press.
81. Fukuyama F. (1992). The End of History and Last Man, London, New-York, p. 116.

82. GPFI and IFC, SME Finance Policy Guide, 2011, October.
83. Glinski Dimitri, and Redway Peter. 1999. "The Ravage of Market Bolshevizm". Jounal of Democracy 10 (2): 19-34.
84. Heilbroner B., Milberg W. (1998). The Making of Economic Society. 10-th ed. Upper Sadolle River (NJ), p. 159.
85. http://www.imf.org/external/pubs/ft/fandd/1996/03/pdf/levine.pdf
86. Kaufman Daniel, and Paul Siegelbaum*(1996).* "Privatization and Corruption in Transition Economies. Journal of International Affairs 50 (2): 419-458.
87. Kornai J. (1990). The Road to a Free Economy. Shifting from Socialist System: The Example of Hungary. NY: Norton.
88. Labor Market and Social Policy in Central and Eastern Europe. The Transition and Beyond (1997). Edited by Nicolas Bar. Oxford University Press.
89. Lavigne M. (1995). The Economics of Transition from Socialist Economy to Market Economy. New York, St. Martin's Press.
90. Levine R. (1996). Stock Markets: A Spur to Economic Growth. FinanceDevelopment/March]
91. Lieberman Ira W., Stilpon S. Nestor, and Raj M. Desai, eds (1997). Between State and Market: Mass Privatization in transition Economies. Washington, D.C.:
92. Lipton David, and Jeffrey D. Sachs (1990). "Privatization in Eastern Europe: The Case of Poland". Brookings Papers of Economic Activity 20 (2): 293-341.
93. Loke J. The Second Treatise of Government. Chap. V, par. 27, p. 2-4.
94. Maxim Boyko, Andrei Shleifer and Rober Vishny (1995), p. 65.
95. Megginson William L., Robert C. Nash, and Mathias wan Pandenborgh (1994). "The Financial and Operating Performance of Newly Privatized Firms: an International Empirical Analysis", journal of Finance 49 (2): 403-452.
96. Murrell Petter and Yijiang Wang (1993). "When Privatization should be Delayed: The Effect of Communist Legacies on Organizational and Institutional Reforms". Journal of Comparative Economics. 17(2): 385-406.

97. Nellis John. (2002). Privatization in Transition Economies: An Update in Harry G. Broadman, ed., Case-by-Case Privatizatin in Russian Federation. World Bank Discussion Paper. p. 13-22.
98. Papava V. (2005). Necroeconomics. The Political Economy of Post-communist Capitalism. iUniverse, Inc. New York, Lincoln, Shanghai.
99. Papava V. (2013). Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years after. New York, Nova Science Publishers.
100. Pipes R. (1999). Property and Freedom. Alfred A. Khopf, New York.
101. Report of the Exper Group. http://ec.europa.eu/enterprise/policies/sme/small-business-
102. Roland G. (1994). On the Speed and Sequencing of Privatization and Restructuring". Economic journal 104: 1158-1168.
103. Roland G. (2000). "Corporate Governance Systems and Restructuring. Lessons from the Transition Experience; Washington D. C. World Bank Annual Bank Conference on Development Economics, April, 18-20.
104. Roland Gerard (1993). "Political Economy of Restructuring and Privatization in Eastern Europe", European Economic Review 37 (2-3): 533-540.
105. Sakaya T. (1991). Knowledge – Value Revolution. N.Y., p. 66.
106. Schumpeter J. (1987). Capitalism, Socialism, Democracy. Routledge, London and New-York].
107. Shleifer A., and Treisman D. 2000) Without a Map: Political Tactics and Economic Reform in Russia. Cambridge, Mass: MIT Press.
108. Smith A., 1986). (Smith A. (1986). Lectures on Justice Police, Revenue and Arms. Oxford, p. 20.
109. The World Bank and the OECD.
110. Thurow L. (1999). Creating Weaith. The New Rules for Individuals, Companies and Countries in a Knowledge Based Economy. London, p. 52.
111. Vining Adan R. and Anthony Boardman (1992). Ownership Versus Competition: Efficiency and Public Enterprise". Public Choice 73: 205-239
112. Weber M. (2002). The Protestant Ethic and the Spirit of Capitalism. Paperback.

113. Вебер М. (1990). Избранные произведения. Москва.
114. Монахова Л. (2003). Трансформация планового хозяйства в рыночных условиях глобализации. М.
115. Панькув В., Гончаж Б., Григолашвили Г. (1996). Трансформация государственных преприятий в Грузии. Исследования и анализ. №93, Варшава, ЦСЭИ.
116. Панькув В., Гончаж Б., Моргошия Г., Ахаладзе Г., Поломски К. (1998). Трансформация предприятий в Грузии. Исследования и анализ. №123, Варшава, ЦСЭИ.
117. Панькув В., Гончаж Б., ред. (1998). Приватизация за любую цену. Анализ опыта республики Грузия за 1997-1998 г.г. Исследования и анализ. №141, Варшава, ЦСЭИ.
118. Папава В. (2013). Экономика Грузии в поиске модели развития. Мир перемен, №3, с.с. 32-43.
119. Силагадзе А. (1998). Социально-экономические аспекты приватизации имущества в Грузии. Журн. «Общество и экономика», с.с. 47-56.
120. Эрхард Л. (1990). Благосостояние для всех. М., «Посев».
121. http://www.globalsmcs.org/news/index.php?func=detail&lan=en&detailid=945&catalog=03.
122. http://afba.ge/?p=173).